ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Batumi Shota Rustaveli State University
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
Niko Berdzenishvili Institute

რუსთაველი და „ოქროს ხანის“ საქართველო

Rustaveli and "the Golden Period" of Georgia

შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი
მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო
კონფერენციის მასალები

Scientific Conference of Professors and Teachers Dedicated
to Shota Rustaveli 850th Anniversary
Materials

ბათუმი - Batumi
2016

UDC (უაკ) 821.353.1.092(რუსთაველი შოთა)+94(479.22)

კრებულში იბეჭდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 20 ოქტომბერს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

კრებული კარგ სამსახურს გაუწევს რუსთველოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევრებსა და მკითხველთა ფართო წრეს.

მთავარი რედაქტორი: ბიჭიკო დიასამიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი პროფესორი

Editor-In-Chief: Bichiko Diasamidze
Doctor of Historical Sciences, Emeritus Professor

პასუხისმგებელი
რედაქტორი: ოლეგ ჯიბაშვილი
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

Responsible Editor: Oleg Jibashvili
PhD in History, Professor

რეცენზენტები: მალხაზ ჩოხარაძე
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ხათუნა დიასამიძე
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

Reviewers: Malkhaz Chokharadze
PhD in Philology, Professor
Khatuna Diasamidze
PhD in History, Professor

ISBN 978-9941-462-45-0
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2016

სარჩევი – Contents

მთავარი რედაქტორისაგან 5
From Editor-In-Chief 5

ბიჭიკო დიასამიძე – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები რუსთაველის ეპოქაში 7
Bichiko Diasamidze – The Tendency of Social-Economic and Political Development of Georgia in Rustaveli Era 21

სულხან კუპრაშვილი – საქართველო და გარე სამყარო რუსთაველის ეპოქაში 22
Sulkhan Kuprashvili – Georgia and Outer World in Rustaveli Era 32

შოთა ზოიძე – ირაკლი აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზე" და პალესტინური ციკლის ლექსები 33
Шота Зоидзе – «По следам Руставели» и палестинский цикл Ираклия Абашидзе 42

მიხეილ მახარაძე – არეოპაგიტული იდეები „ვეფხისტყაოსანში" 43
Mikheil Makharadze – Areopagetic Ideas in "The Knight in the Tiger's Skin" 50

ნაილე მიქელაძე – სახარებისეული მოტივები „ვეფხისტყაოსანში" 51
Naile Mikeladze – Gospel Motives in "The Knight in Tiger's Skin" 61

ტარიელ ფუტკარაძე – ტრადიცია და ქალის თავისუფალი ნება "ვეფხისტყაოსანის" ტექსტში (გენდერული დისკურსი) 62
Tariel Putkaradze – Tradition and Free Will of the Georgian Woman According to "the Knight of the Tiger's Skin" (Gender Discourse) 79

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ლირიკული წიაღსვლები „ვეფხისტყაოსანში" 81

Avtandil Nikolcishvili – Doctor of Philological Sciences, Professor
Lirical Fffusions in "The Knight in the Tiger's Skin" 89

ელზა ფუტკარაძე – ლექსიკური დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“ 90
Elza Phutkaradze – Lexical Dialects in "The Knight in Tiger's Skin" 101

შორენა მახაჭაძე – „ვეფხისტყაოსანი“ მითოკრიტიკის თვალით 102
Shorena Makhachadze – "The Knight in the Tiger's Skin"
Through the Eyes of Mythocritics 112

მთავარი რედაქტორისაგან

პვირფასო მკითხველო, 2016 წელი გენიალური შოთა რუსთაველის წლადაა გამოცხადებული. 850 წელი სრულდება მისი დაბადებიდან. მოგეხსენებათ, პირველად 1937 წელს მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნა პოეტის დაბადებიდან 750 წლისთავი, ხოლო 1966 წელს – 800 წლისთავი. წლევანდელი საიუბილეო დღეები შედარებით მოკრძალებულად, შეიძლება ითქვას, უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ გათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან ეს სასწავლო დაწესებულება მის სახელს ატარებს. საიუბილეო გეგმის მიხედვით, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატის ინიციატივით (დეკანი მ. გიორგაძე), ჩატარდა „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღეები, კალიგრაფიის კონკურსი და სტუდენტთა ნახატების გამოფენა; ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტმა (რ. ხალვაში, მ. ბარამიძე) საზოგადოებას წარუდგინა ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულის – არჩილ ხალვაშის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ორგანიზებით (ბ. დიასამიძე, შ. ზოიძე) ჩატარდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალები ამ კრებულშია წარმოდგენილი. კრებულში შევიტანეთ, აგრეთვე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 18-19 ნოემბერს, რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული ქუთაისელი კოლეგების, პროფესორების – ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ტარიელ ფუტკარაძის და სულხან კუპრაშვილის მოხსენებებიც.

ქართული ფილოლოგიის, ფილოსოფიის და ისტორიის დეპარტამენტების ხელმძღვანელობით (მ. ბარამიძე, ლ. ზაქარაძე, ჯ. კარალიძე), ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“.

ხოლო სააქტო დარბაზში გაიმართა საიუბილეო კონცერტი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ ადგილების მხატვრული კითხვით. კრებულში მკითხველს ვთავაზობთ ჩატარებულ საიუბილეო ღონისძიებათა ამსახველ ფოტომასალასაც.

ბიჭიკო დიასამიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი პროფესორი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები რუსთაველის ეპოქაში

მადლიერი შთამომავლობა ბოლო რვა ათეული წლის მანძილზე მესამედ (1937, 1966, 2016) აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის - შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღს, რითაც გამოხატავს მისდამი უდიდეს პატივისცემას და მისი შემოქმედების დიდ აღიარებას.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ლიტერატურულ-მხატვრული ფორმით ღვთაებრივი ნიჭის გამონაშუქია.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია მოკლედ აჩვენოს მკითხველს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებული ის ტენდენციები, რომლის პირობებში იშვა გენიალური „ვეფხისტყაოსანი“.

დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ქვეყნის მმართველობის, ეკონომიკის, სამხედრო საქმის, ეკლესიის თუ სხვა სფეროებში, მოამზადა საჭირო საფუძველი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერებისა და მუსლიმანთაგან მისი გათავისუფლებისათვის. დავით IV-მ საერო და საეკლესიო მმართველობის სფეროებში დასაყრდენად დაბალი და საშუალო ფენების წარმომადგენლები გაიხადა. ასევე იყო სამხედრო სფეროშიც. გარდა იმისა, რომ მკაცრი წესრიგი დაამყარა არმიაში, მეფემ დასაყრდენად უცხო ძალაც მოიწვია ყივჩაღების სახით და ამით

დიდაზნაურთა სურვილებიც გაანელა და საგარეო პრობლემებიც მოაგვარა. მიუხედავად ამისა, XII საუკუნე მძლავრი შინაბრძოლების ხანა იყო მდაბიორ-მოლაშქრეთა კლასსა და დიდგვაროვან აზნაურთა შორის. აკად. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, XII საუკუნის მიწურულს დიდაზნაურები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მეფე თავისი „წურილი ერით“, „წურილი აზნაურებით“, მოლაშქრე-მოსაკარგავებით, რომელთა ნაწილს იგივე დიდი აზნაურები დაპატრონებოდნენ, ნაწილი კი მეკობრეებად ქცეულნი, გზა-ჯვარედინებზე საბრჩობლებზე ეკიდნენ. ქალაქებიც კი – ეს ერთადერთი რეალური ძალა, მეფის ხელისუფლების დასაყრდენი, სრულიად ანტიფეოდალური ტენდენციების მქონე, მეფის მიერვე არა მცირედ გაიცემოდა გამარჯვებულ დიდ აზნაურებზე სამამულოდ, საკუთრად, სანახევროდ, სახარჯოდ *[ბერძენიშვილი, 1965: 30]*.

XII საუკუნის დასასრულისათვის მეფესა და დიდაზნაურებს შორის ურთიერთობა ისეთ სახეს იღებს, რომ აშკარად ჩანს მეფის შიში, დიდაზნაურები არ გაერთიანებულიყვნენ მის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ეს უკანასკნელნი ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ მეფესთან დაახლოება, მისგან სარგებლის მიღება. ამ პროცესს მემატიანე ასე გადმოგვცემს: „და იყო ყოველგან მშვიდობა, წარმატება. დღითი-დღე შემატება სამეფოთა ღმრთივდაცულისა მეფის თამარისა, ხოლო სპანი მისნი განსუენებასა, ნადირობასა და ბურთობასა. თვით თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფის წინაშე იყვნიან, განისუენებდიან და აღივსებოდიან საბოძუარითა მეფისა მიერ მათისა“ *[ქცა, 1959: 112]*. ბასილი ეზოსმოძღვარი მეფედიდებულთა შორის ასეთი ურთიერთობის საფუძვლებზეც მიგვანიშნებს: „თამარი არავის მისცემდა მოცალეობასა... რათა არამოცლილთა განსვენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა ალაღებულთა, ანუ ერთ-ურთისა მტერობად მოიცლიდეს და ვითარ ბრძოლად“ *[ქცა, 1959: 138]*.

განიხილავს რა ამ ურთიერთობათა არსს, ნ. ბერძენიშვილი დაასკვნის: „თუ მეფე დაინტერესებულია იმით, რათა დიდგვაროვანნი კარზე იყვნენ, რომ რაღაც განზრახვებს არ გამოეკიდნენ, დიდგვაროვანნიც არანაკლებ არიან დაინტერესებულნი, რომ მეფის კარზე იყვნენ, რათა მისსივე მოძმე დიდგვაროვანმა არ მოასწროს და მეფის წყალობა უპირატესად არ ირგოს“ *[ბერძენიშვილი , 1974: 235]*.

შეიძლება დავასკვნათ, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის დიდგვაროვანი აზნაურები მეფესთან ბრძოლაში გამარჯვებული არიან და ე.წ. დროებითი ჰარმონია ამ ორ ძალას შორის მხოლოდ გარიგებებითაა შენარჩუნებული.

დიდგვაროვან აზნაურთა გაძლიერება უპირატესად გაპირობებული იყო იმ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI-XII საუკუნეებში. წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ ამ პერიოდში სულ უფრო იკვეთება ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ ფენებად დიფერენციაციის პროცესი. მიწისმფლობელი თავისუფალი ადამიანების რიცხვი მცირდება და ისინი ბოლოს აზნაურის, ეკლესიის ან სამეფო ყმებად არიან ქცეულნი. აზნაურებიც, თავის მხრივ, გვაროვნულ და მსახურეულ აზნაურებად იყოფოდნენ. ხელისუფლება, მეფე ყოველნაირად ცდილობდა თავის დასაყრდენად უგვარო, მისი ხელშეწყობით გამდიდრებული, მაგრამ ერთგული მსახურეული აზნაურობა გამოეყენებინა, ხოლო ლაშქარი თავისუფალი ადამიანებით შეევსო. ამას მიაღწია კიდეც დავით აღმაშენებელმა, მაგრამ ფეოდალიზმის პროცესი სულ უფრო ცვლიდა ძალთა თანაფარდობას. გლეხობა კარგავდა მიწას. იგი უმეტესწილად გვაროვნული აზნაურების, ან ეკლესიის ხელში ვარდებოდა, ხოლო მისი ძველი მესაკუთრე ან ყმად იქცეოდა, ანდა საერთოდ გლახაკ-მაწანწალად. ასე, რომ “XIII საუკუნის საქართველოში უკვე უმიწაწყლო გლეხები ყოფილან, რომლებიც მხოლოდ მუშაობით ირჩენდნენ თავსა” *[ჯავახიშვილი, 1998: 247]*. ამ პროცესმა არსებითად შეცვალა ფეოდალური ლაშქრისა და

საერთოდ, სამხედრო ძალის შინაარსი და ხასიათი. მოლაშქრის, მებრძოლის მატერიალური უზრუნველყოფა ლაშქრობათა სიხშირესა და მოპოვებული ალაფის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაა, რომ ზოგჯერ მეფეებიც კი უძლურნი არიან შეაკავონ ჯარისკაცთა თუ სარდალთა მხრივ ლაშქრობის სურვილი. მემატიანე გვაუწყებს, რომ რაკი დიდხანს ომი არ იყო, დიდებულებმა და ჯარმა გიორგი III მოახსენეს: „არ არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“ და ამას მოჰყვა უაზრო რბევა მეზობელთა, რომელსაც მემატიანე ასე აფასებს: „იქმნა ესე ვითარი უცხო ლაშქრობა, რომელ არა ოდეს ვის ეხილაო“. ასეთივე უმიზეზო, უაზრო ლაშქრობები ეწყობოდა თამარის დროსაც. მემატიანე გვაუწყებს, რომ „მხარგძელი ზაქარია სპასალარი, მსახურთუხუცესი იოანე და ვარამ გაგელი წარუდგნენ ხელმწიფეს და მოახსენეს: „აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არა ცუდად ვაუქმოთ სპანი თქვენი და დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი, არამედ აღვამხედროთ ერაყს, რომგურსა ზედა, რომელ არს ხვარასანი“ *[ქცა, 1959: 103]*... ან კიდევ: ლაშა-გიორგის დაბადება გახდა საბაბი ლაშქრობისა, რომლის შესახებ მემატიანე გვამცნობს: „იქმნა ლაშქრება... ბედსა და სუესა ზედა ლაშასა“. როცა ლაშქრობის არავითარი საბაბი და მიზეზი არ მოინახებოდა, ლაშქრობებს ასეთ გამართლებას უძებნიდნენ: „რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სიმხნე სპათა“ [ქცა, 1959:103]. მოყვანილი მაგალითები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან XII ს. დასასრულის და XIII ს. დასაწყისის საქართველოს სამხედრო დიდკაცობასა და მეომრებში შექმნილ მორალურ-ზნეობრივ ატმოსფეროზე.

XIII საუკუნის ათიანი წლებისთვის, როგორც ჩანს, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია, მემატიანეები აღმატებულად წარმოაჩენენ თამარის დროის საქართველოს სიმდიდრეს: „ვერცხლისა ჭურჭელთა არღარა აქუნდა პატივი პალატასა შინა მეფისასა, რამეთუ ყოველი ოქროსა და ბროლისა წინაგებულ იყო ინდოურთა ქვათაგან შემკობილი“,

მაგრამ იგივე მემატიანე გვაუწყებს გლახაკთა, მაწანწალათა და მეკობრეთა სიმრავლეზე, რომელთა მიმართ უმკაცრეს ზომებს - „ძელსა ზედა ჩამორჩობას“ იყენებდნენ *[მეტრეველი, 2002: 297]*. ეჭვი არ არის, რომ თამარის მეფობისას, ხშირი წარმატებული ომებით დიდი შემოსავალი ჰქონდა ქვეყანას ალაფისა და ხარკის სახით. მარტო შამქორის ბრძოლის შემდეგ, მემატიანის თქმით, „მოიღეს ნიჭი არმაღანი და განძი აურაცხელი, კაცი (ხელმწიფეაზნაურთა მონამდის) თორმეტი ათასი, ავაზა – ორმოცი, ცხენი – ორმოცი ათასი, ჯორი – შვიდი ათასი, აქლემი – თხუთმეტი ათასი... სიმრავლეთა საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა უძლო აღრიცხვად?“ *[ქცა, 1959: 73-74]*, მაგრამ ყველაფერ ამის საფუძველი მხოლოდ საკუთრივ ქვეყანაში შექმნილი დოვლათი როდი იყო. მისი სიმრავლე წარმატებულ ომებსა და მოხარკე ქვეყნებიდან ამოღებულ სიმდიდრეზეც იყო დამოკიდებული. ამასთან, ასეთი გზით მოპოვებული სიმდიდრე მოსახლეობასაც შრომის, ოფლის ღვრით დოვლათის შექმნის სურვილს აკარგვინებდა და აუსაქმურებდა. ყველაფერმა ამან კი თამარის სიკვდილის შემდეგ აშკარად აჩვენა თავისი შედეგი. მალე დაწყებულა ეკონომიკური კრიზისი. ეს კარგად ჩანს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სომხეთის ბველ დედაქალაქ ანისში განვითარებული მოვლენებით. იქ ვითარების დაძაბვის მაჩვენებელია 1218 წლის „ეტიფანე კათალიკოზის“ განჩინება.

აქაურ სამღვდელოებას, ცხოვრების გაძვირებისა და სიდუხჭირის გამო, საეკლესიო წესების (ჯვრისწერა, მიცვალებულის წესის აგება და სხვა) შესრულებისათვის დაწესებული გადასახადი გაუდიდებია. ხუცესი თითოეული წესის შესრულების საფასურად 100 ტფილურ დრამას, კარგ პურისჯამას, ქელეხს, ბრობის მთლიან ტყავს ითხოვდა *[ჯავახიშვილი, 1982: 7]*. ამას მოსახლეობა აღუშფოთებია, უარი უთქვამს მისართმეველზე და ეკლესიაში სიარულისათვის თავი მიუნებებია. მდგომარეობა იმდენად დაძაბულა, რომ ეკლესიის ახალი შენობის კურთხევის საბაბით, ანისში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ჩასულა და საგანგებო საეკლესიო კრება ჩაუტარებია. პატრიარქის განჩინება ერთ-ერთი ქართული ეკლესიის კედელზე ამოუკვეთიათ *[ჯაფარიძე, 2003: 166]*.

განჩინებაში დაგმობილია სამღვდელოების მოქმედება და მოცემულია რჩევა მრევლისადმი: „მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალსა“, ან „ლოცვასა ნურც თქვენ დააკლდებით“ *[ჯაფარიძე, 2003: 166]*. კათალიკოსსა და საეკლესიო კრებას დაუდგენია მისაცემელის ოდენობის სამჯერ შემცირება *[ქართული... 1970: 154]*.

ასე, რომ XII საუკუნის ბოლოსათვის, ერთი მხრივ, გამოვლინდა ყველაზე მეტად ფეოდალურ ურთიერთობათა დასრულება ყველა თავისი შედეგით (მეფის ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლების ჩამოყალიბება, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ქალაქების ზრდა განვითარება და შესაბამისად მოქალაქეთა ანუ ბიურგერული ფენის ჩამოყალიბება, ხელისუფლების დასაყრდენად მოქალაქეებისა და მსახურეული არისტოკრატიის გადაქცევა და სხვა) და, მეორე მხრივ, აშკარა გახდა ქვეყნის განვითარების დონის შეუსაბამობა სახელმწიფო მმართველობის სისტემასა და მის იდეოლოგიასთან. ამას კი მოჰყვა იმ დროის მსოფლიოში სრულიად ახალი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის – რენესანსის გაჩენა.

ამ იდეური მიმართულების აზრი შეიძლება გამოიხატოს, როგორც „მოძრაობა მიწიერი სინამდვილისა და ადამიანის მიწისმიერი არსებობის ღირებულების უარყოფიდან, მათი ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარებამდე. ამით ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა დედამიწამ, როგორც „მდაბალმა“, „უბადრუკმა“ და „მოძულების საგანმა“ *[ხიდაშელი, 1998: 6; მაზარაძე, 2003: 27]*. დედამიწასთან ერთად ღირებულება და მნიშვნელობა მოიპოვა ადამიანის მიწიერმა არსებობამაც (შ. ხიდაშელი). ამიტომ რენესანსი, როგორც ანტიკურობის აღორძინება და ჰუმანიზმი, როგორც ადამიანის ახლებური, შუა საუკუნეების ასკეტური იდეალისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული გაგება, ერთად განიხილება და

რენესანსულ ჰუმანიზმს მსოფლმხედველობად აღიარებენ *[ბიდა-შელი, 1998: 5]*.

ეს დიდი გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XV-XVI საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, მიმართული იყო შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკისა და ქრისტიანული დოგმატების წინააღმდეგ და წინ სწევდა ადამიანთა საერო, ამქვეყნიურ ინტერესებს, ჰუმანისტურ მისწრაფებებს. ეს იდეები და მისწრაფებები ყველაზე რელიეფურად იჩენდნენ თავს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფილოსოფიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

დიდხანს რენესანსი, როგორც იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა, დასავლური კულტურული სამყაროს კუთვნილებად და იმ დიდ უპირატესობად ითვლებოდა, რაც დასავლეთის კულტურამ მოიპოვა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, მაგრამ XX საუკუნის 70-იან წლებში საბჭოურ ისტორიოგრაფიაში პირველად, შალვა ნუცუბიძემ დასვა საკითხი აღმოსავლური რენესანსის შესახებ *[ნუცუბიძე, 1976]* და არგუმენტირებულად დაასაბუთა აღმოსავლეთის გავლენა დასავლური რენესანსის საწყისებზე *[Лосев,1978: 72]*. შ. ნუცუბიძემ „ვეფხისტყაოსანი“ იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს შუქზე განიხილა და იგი რენესანსის აღმოსავლური სამყაროს ნიშანსვეტად გამოაცხადა *[სურგულაძე, 1989: 204]*. ამით მან დაასაბუთა ქართული რენესანსის რეალური არსებობაც. ამასთან, დადგენილია, რომ ქართული რენესანსი ტიპოლოგიურად მაინც დასავლურია, რადგან „ვეფხისტყაოსანიშიც“ იგივე სააზროვნო პრობლემატიკაა აღძრული, მას იგივე საფუძველი და ნიშანთვისებები აქვს, რაც ევროპულ რენესანსს ახასიათებს *[სურგულაძე, 1089: 207]*. ქართული რენესანსის უპირველესი საფუძველი იყო ქართული ქრისტიანული კულტურა, რომლის ფესვები ადრე შუა საუკუნეებშია გადგმული. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, გიორგი მერჩულე „სულ სხვა მიმართულების კაცი იყო... მას გულში უღვივოდა ბუნების მშვენიერების ტრფიალება, იგი აღტაცებული შეჰხაროდა ბუნების ლამაზსა და მომხიბლავ სურათებს“, ხოლო გ.

ჩუბინიშვილის მიხედვით, ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთ მეგლზე (973 წლის იშხანის ჯვარცმა) ქრისტე გამოსახულია „დახუჭული, ჩავარდნილი თვალებით, გამხდარი სახით, რომელიც აღსავსეა გადატანილი ტანჯვის სევდით" *[ბიდაშელი, 1998: 11]*. სახარების ამგვარი ინტერპრეტაცია უჩვეულოა იმ დროის ევროპისათვის, საქართველოში კი, როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, რენესანსულ აზროვნებას და სამყაროს ახლებურად გააზრებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ადრეშუასაუკუნეებში.

ინტერესის გადაადგილება მიწიერისა და ადამიანურისკენ, შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XI-XII საუკუნეებში. ეს გაპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ წინსვლასთან ერთად, ეკლესიის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებითაც. ამ ეპოქის ქვეყნის მმართველებმა და მეფეებმა შეცვალეს ცხოვრებიდან განდგომილი მონაზვნები არა მხოლოდ საისტორიო მწერლობაში, არამედ პოეზიასა და ფერწერაშიც. ამ ხანას ეკუთვნის ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი III, თამარისა და ლაშა-გიორგის ფრესკული გამოსახულებანი, სადაც, მხატვრობა ჯერ კიდევ არაა თავისუფალი შუა საუკუნეების ტრაფარეტისაგან, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხაზი აქვს გასმული მათ „ცხოვრებისეულ" თვისებებს – პორტრეტულ მსგავსებას, მიმზიდველობას, ფიზიკურ ძალას, სიბრძნეს, ნებისყოფას, ენერგიასა და სამხედრო დახელოვნებას *[ბიდაშელი, 1998: 15]*.

ქართული რენესანსული აზროვნება, იდეები და შეხედულებები ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში", რომლის გმირები თავისუფალი არიან შუასაუკუნეობრივი რელიგიურ-მისტიკური შეხედულებებისაგან და ცხოვრების აზრს ამქვეყნიურ ბედნიერებაში ხედავენ. მათი დევიზია „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა, რა მისჰკიდრეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა". მათი ცხოვრებისეული დევიზია ადამიანური, წმინდა სიყვარული და ერთგულება, მოყ-

ვასისათვის თავის დადება, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლიანობა და სიკეთე. რუსთაველის გმირები პიროვნულად თავისუფლები არიან, მათ ნებელობას არ ზღუდავს არც უზენაესი ძალა და არც ბრმა ბედისწერა. რუსთაველმა გაცილებით ადრე მკაფიოდ გამოხატა ის უდიდესი მიდრეკილებანი, რაც ჩვეულებრივ ევროპული რენესანსის ნიშანდობლივ დამახასიათებელ თვისებად იქცა *[კვაჭაძე, 1969: 281]*. პოემაში გაცხადებულია სახელმწიფოს მართვის პრინციპიც: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების“ – არიგებს მეფედ კურთხევისას შვილს – თინათინს როსტევანი. ასევე იბარებს ავთანდილი ანდერძად: „რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად, მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად“.

ასეთი იდეები, შეხედულებები და მისწრაფებები შემთხვევითობად, ან რუსთაველის, როგორც ინდივიდის მსოფლმხედველობის ნაყოფად არ უნდა მივიჩნიოთ. ეს საერთო საკაცობრიო ჰუმანური მოთხოვნები XI-XII სს. საქართველოში არსებულ იმ იდეოლოგიაში უნდა იღებდეს სათავეს, რომელსაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა განვითარებამ მოუმზადა საფუძველი, ოღონდ იგი რუსთაველთან მაღალ რანგშია აყვანილი და ლიტერატურულ-მხატვრული ფორმით წარმოდგენილი *[გამსახურდია, 1995: 83]*.

რუსთაველის პოემა თამარ მეფეს ეძღვნება და თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის მოღვაწეობის დროის საქართველოს რეალობას ასახავს. იმ დროის ჩვენი ქვეყნის ფინანსური შემოსავალი ყმადნაფიცების გარეშე 3,750 000 ოქროს უდრიდა, როცა მცირე აზიისა, სპარსელი გეოგრაფის – ყაზვინის მიხედვით, 2,475 000 ოქროს შეადგენდა, საფრანგეთისა კი, ზომბარტის მიხედვით, 3000 000 ფრანკს *[ჯავახიშვილი, 1989:392]*. განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა; ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობა აქვს ირანთან, ერაყთან და სირიასთან და სხვა ახლო

თუ შორეულ მეზობლებთან. ადგილობრივი, საქართველოს ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, თელავის, ახალციხის, არტანუჯის და სხვათა პარალელურად საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების სამსახურში დაგანან შემომტკიცებული ქალაქები ანისი, დვინი კარი (სომხეთი), განძა, ბარდავი (რანი), შამახია, ყაბალა (შარვანი) და სხვები. შესამჩნევი ცვლილებებია ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში. გლეხების, აზნაურების და სასულიერო ფენის გვერდით, უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ხელოსნები და ვაჭრები და შესაბამისად ქალაქები. ქვეყნის ასეთი ეკონომიკური აღმავლობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობისათვის. საქართველოს, როგორც აღმოსავლეთის და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას საშუალება ჰქონდა დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა ისლამის ნიადაგზე შექმნილ ახალ, მეტად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება კიდევ უფრო გაემდიდრებინა *[პაპუაშვილი, 1979: 370]*. ამ დროს დაარსდა საქართველოში იყალთოსა და გელათის აკადემიები, კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა საზღვარგარეთ არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებმა (ივერიის მონასტერი ათონის მთაზე; შავი მთა სირიაში, ანტიოქიის მახლობლად; ჯვრის მონასტერი პალესტინაში; პეტრიწის მონასტერი დღევანდელ ბულგარეთში), ითარგმნა და ადგილზე შეიქმნა მსოფლიო დონის მხატვრული თუ ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები, რომლებშიც ასახვა ჰპოვა იმ დროის საქართველოს საზოგადოების მიღწევებმა პოლიტიკურ თუ სულიერ სფეროში. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით მრავლისმთქმელი უნდა იყოს ქალის – თამარის გამეფებაც.

თამარის მეფობის წლები მრავალმხრივ საინტერესო ეტაპად ჩანს ქვეყნის ისტორიაში. ერთი მხრივ, ესაა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანა, როცა სრულად გამოავლინა ქვეყანამ თავისი შესაძლებლობანი და დათრგუნა და დაამარცხა

ყველა მოწინააღმდეგე, მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარად გამოჩნდა ამ ქვეყნის შინაგანი წინააღმდეგობანი და სისუსტე თამარის გარდაცვალებიდან უახლოეს – ლაშა-გიორგის მეფობისა და მომდევნო წლებში.

საქმე იმაშია, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო თავისი განვითარების სრულიად ახალ საფეხურზეა ასული. XII საუკუნის 80-იან წლებში დასრულებული სახე მიიღო მმართველობის სისტემამ. მეფესთან არსებობდა სათათბირო ორგანოები – დარბაზი და სავაზირო. ამ უკანასკნელში ჯერ ოთხი ვაზირი შედიოდა: ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. თამარ მეფის სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა ზაქარია მხარგრძელი-ამირსპასალარი გარდაიცვალა და მეფემ მის ძმას ივანეს შესთავაზა ეს სახელო, ამ უკანასკნელმა იცოტავა ეს პატივი და მეფეს სთხოვა: „ახალსა და უაღრესსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო“. თამარმაც ახალი პატივი-ათაბაგობა შემოიღო და იგი ივანე მხარგრძელს უბოძა *[სიხ., 1979: 358]*. რუსუდანის მეფობაში კიდევ ერთი ვაზირი დაემატა-მსახურთუხუცესის სახით. განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო ათაბაგის სახელოს შემოღება და ამირსპასალარ ივანე მხარგრძელზე ბოძება, რითაც პირველი ნაბიჯი გადაიდგა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გავლენისა და პირველობის შესუსტებისაკენ, ვაზირთაგან შეუზღუდავი უფლებების მოპოვებისაკენ. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, XIII საუკუნეში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი“ ნამდვილად არის არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ ათაბაგი ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მენაპირეთა მხრიდანაც. მენაპირე საერისთავოები საქართველოს სამხრეთ საზღვრებში დაარსდა, რადგან აქედან მუდმივი საშიშროება ელოდა ქვეყანას. მენაპირეთა მთავარი ფუნქცია სამხედრო-საომარი მზადყოფნა და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე მეთვალყურეობა იყო. ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით, მენაპირე ერისთავის მოქმედება მთლიანად მეფეზე იყო დამოკიდებული

[ბერძენიშვილი, 1965: 60], მაგრამ რუსუდანის მმართველობის ხანაში მენაპირეები სულ უფრო დამოუკიდებლობას იჩენდნენ, რითაც ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების რღვევას აძლიერებდნენ. სამეფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა: ერთი – ფეოდალური საერო და სასულიერო არისტოკრატია, რომელიც იბრძვის მეფის ძალაუფლების შესუსტებისა და მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური პრივილეგიების მოპოვებისათვის და მეორე, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული, მაგრამ – ჯერ კიდევ სუსტი მესამე წოდება (ხელოვნები, ვაჭრები...), რომელიც ხელისუფლების მხრივ მხარდაჭერას მოითხოვს. ამათ მხარეზე უნდა ვიგულისხმოთ ქალაქისა და სოფლის დეგრადირებულნიც. ასეთ პირობებში თამარმა თავის დასაყრდენად მსხვილი არისტოკრატია გაიხადა. მისი წინაპრები – დავით IV და გიორგი III კი მეფის ძალაუფლების განმტკიცებისათვის უგვარო, პირადი ღირსების მქონე ერთგულ მოხელეებს ეყრდნობოდნენ. როგორც ჩანს, ამასთან იყო დაკავშირებული ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა, რომელიც შეეცადა, ჯერ ერთი, მესამე წოდების უფლებების გაძლიერება-განმტკიცებას და, მეორე, სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეცვლას. მართალია, ისტორიოგრაფიაში ყუთლუ არსლანის დასის შემადგენლობისა და მის მიზანდასახულობის შესახებ სხვადასხვა აზრია, მაგრამ მემატიანის ცნობა, რომ ყუთლუ არსლანი იყო უგვარო, რომლის წრეს „აღამაღლებდის სიმდიდრე" და სხვა ცნობები ამტკიცებს, რომ ყუთლუ არსლანი დაბალი სოციალური წარმოშობის პირია. ამასთან, „სიმდიდრით ალაღებულნი" და „ამაღლებულნი", ქალაქის მოსახლეობის ფენიდან გამოსული მსხვილი ვაჭრები და ამ წრიდან დაწინაურებულნი უნდა იყვნენ *[მესხია, 1962: 105]*. ივ. ჯავახიშვილი წერს: „რაც უნდა იყოს, ერთი რამ სრულებით ცხადი და აუცილებელია: ყუთლუ არსლანისა და მისი თანამოაზრეების მიერ წაყენებული მოთხოვნილებანი სახელმწიფოს ცხოვრებაში განსაკუთრებულ მეტად საგულისხმო მოვლენად უნდა ჩაითვალოს;

რამდენადაც ვიცით, არასოდეს ასე მკაფიოდ და ნათლად არ ყოფილა წამოყენებული საკითხი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომ მეფეს „თვითმპყრობელობით“ და მხოლოდ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უფლება არ ჰქონოდა, არამედ ეს უფლება განსაკუთრებულს, უზენაესს დაწესებულებას მიჰნიჭებოდა, მეფეს კი მარტო ამ დაწესებულების „განგებულის“ აღსრულების, სრულქმნის უფლება შერჩენოდა *[ჯავახიშვილი, 1983: 248-249]*. ასეთი მოთხოვნები ცოტა მოგვიანებით ჩანს ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში, რასაც წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა (პარლამენტი, გენერალური შტატები, კორტესები) მოჰყვა, მაგრამ თამარის დროის საქართველოში მეფემ და ფეოდალურმა არისტოკრატიამ გაიმარჯვა და ამდენად „უგვაროთა“ ამაღლების გზაც ჩაიკეტა.

თუ ყველა ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს სახელმწიფო, მიუხედავად მისი გარეგნული ბრწყინვალებისა, მძაფრ შინაგან ტკივილებს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ კრიზისს განიცდიდა. დავით IV და გიორგი III მიერ გატარებულმა რეფორმებმა თავისი დრო მოჭამა, ქვეყანა განვითარების ახალ საფეხურზე იყო ასული და შესაბამის სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს, ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებებს ითხოვდა, რასაც ჩვენი აზრით, გრძნობდა თამარის მემკვიდრე გიორგი-ლაშა და პირველ ნაბიჯებს დგამდა კიდეც ქვეყნის გადასარჩენად *[დიასამიძე, 2008: 47-49]*, მაგრამ მისმა ნაადრევმა სიკვდილმა და მონღოლებისა და ხვარაზმელების გამოჩენამ ქვეყანას პოლიტიკური დამოუკიდებლობა დააკარგვინა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ბერძენიშვილი, 1965: – ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი.

ბერძენიშვილი, 1974: – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბილისი.

გამსახურდია, 1995: – გამსახურდია სვ., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბილისი.

დიასამიძე, 2008: – დიასამიძე ბ., საქართველოს ოქროს ხანის შუქ-ჩრდილები, ბათუმი.

კეკელიძე.., 1969: – კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი.

მახარაძე, 2003: – მახარაძე მ., რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო, თბილისი.

მესხია, 1962: – მესხია შ., საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი.

მეტრეველი, 2002: – მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბილისი.

ნუცუბიძე, 1976: – ნუცუბიძე შ., რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, შრ., IV, თბილისი.

პაპუაშვილი, 1979: – პაპუაშვილი თ., კულტურა, – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი.

სინ, 1979: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი.

სურგულაძე, 1989: – სურგულაძე ა., ქართული კულტურის ისტორიის საკითხები, I, თბილისი.

ქცა, 1959: – ქართლის ცხოვრება, II, თბილისი.

ქართული... 1970: – ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი.

ხიდაშელი, 1998: – ხიდაშელი შ., შუა საუკუნეების კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები აქსიოლოგიის თვალ-საზრისით, – კრ.: ქართული რენესანსის საკითხები, თბილისი.

ჯავახიშვილი, 1983: – ჯავახიშვილი ი., თხზულებანი, II, თბილისი.

ჯავახიშვილი, 1998: – ჯავახიშვილი ი., თხზულებანი, XII, თბილისი.

ჯავახიშვილი, 1982: – ჯავახიშვილი, თხზულებანი, III, თბილისი.
ჯაფარიძე, 2003: – ჯაფარიძე ან. საქართველოს საეკლესიო კრებები, II, თბილისი.
Лосев, 1978: – Лосев А.Ф., Эстетика Возрождения, Москва.

Bichiko Diasamidze
Doctor of Historical Sciences,
Professor Emeritus

The Tendency of Social-Economic and Political Development of Georgia in Rustaveli Era

Summary

The thesis shows that, at the crossroads of XII-XIII centuries, feudal Georgia reached the highest stage of its development in the system of state management and ideology, which was followed by the world's newest thinking and worldview – Reticence emergence. This was reflected in the fiction of Shota Rustaveli Poem "the knight in the tiger's skin".

სულხან კუპრაშვილი
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

საქართველო და გარე სამყარო რუსთაველის ეპოქაში

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, „რუსთაველის ეპოქაში ანუ საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში“ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და პოლიტიკურად დაწინაურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. საქართველოს სამეფოს ძირითადი ტერიტორია მოიცავდა კავკასიის როგორც სამხრეთს, ასევე ჩრდილოეთ ტერიტორიებსაც. ქვეყნის მოსახლეობა, სავარაუდოდ, 5 მილიონს აღემატებოდა, რითაც იგი წინა აზიის რეგიონში და ევროპის კონტინენტზე ძალზედ სოლიდურად გამოიყურებოდა. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო შემოსავალი ბევრად აღემატებოდა ევროპისა და აზიის იმდროინდელი ბევრი დიდი ქვეყნის შემოსავალს.

საქართველო, თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო აღებმიცემობის წყალობით, ფინანსურად მდიდარი ქვეყანა იყო. სპარსელი გეოგრაფის ჰამადალაჰ ყაზვინის ცნობით, საკუთრივ საქართველოს (ყმადნაფიცი ქვეყნების გარეშე) ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს ფულადი შემოსავალი 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანაში კი მცირე აზიის შემოსავალიც კი 2.475.000 მან., არაბეთის ერაყის – 2.250.000 მან. და ფარსის – 2.153.460 მან. შეადგენდა მხოლოდ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც, ზომბარტით, ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4.000.000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთის 1311 წელს – 3.000.000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის ზემოაღნიშნული შემოსავლის ⁄ანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამას გარდა მას სულადობრივად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა. მხოლოდ ასეთმა ეკონომიურმა კეთილდღეობამ მისცა საშუალება საქართველოს და ხალხს აეტანა ის საშინელი პოლიტიკუ-

რი და ეკონომიური განსაცდელი, რომელიც მას XIII საუკუნეში დაატყდა თავს, მეტადრე, მონღოლთა ბატონობის ხანიდან მოყოლებული *[ჯავახიშვილი, 2012: 377]*.

ამ დროს შეიქმნა საქართველოში იყალთოსა და გელათის აკადემიები, კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა საზღვარგარეთ არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებმა (ივერიის მონასტერი ათონის მთაზე; შავი მთა – სირიაში, ანტიოქიის მახლობლად; ჯვრის მონასტერი – პალესტინაში, პეტრიწონის მონასტერი – ბულგარეთში), ითარგმნა და ადგილზე შეიქმნა მსოფლიო დონის მხატვრული თუ ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები, სადაც ასახვა ჰპოვა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოების მიღწევებმა პოლიტიკურ თუ სულიერ სფეროში. თამარის მეფობის წლები მრავალმხრივ საინტერესო ეტაპად ჩანს ქვეყნის ისტორიაში. ერთი მხრივ, ესაა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანა, როცა სრულად გამოავლინა ქვეყანამ თავისი შესაძლებლობანი და დათრგუნა და დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე, მაგრამ მეორე მხრივ, აშკარად გამოჩნდა ამ ქვეყნის შინაგანი წინააღმდეგობანი და სისუსტე თამარის გარდაცვალებიდან უახლოეს – ლაშა-გიორგის მეფობისა და მომდევნო წლებში *[დიასამიძე, 2009: 154 – 155]*.

ასე, რომ XII საუკუნის ბოლოსათვის საქართველო ტერიტორიულად და მოსახლეობით ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა იყო ახლო აღმოსავლეთში. მის ძლიერებასა და ავტორიტეტს აღიარებდნენ დასავლეთშიც და რაც მთავარია თვითონ ქვეყანას გაცნობიერებული ჰქონდა ეს მისია და ცდილობდა მის რეალურად განხორციელებას დავით IV აღმაშენებლის დროიდან და უფრო ადრეც. ეს ჩანს საქართველოს ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული ხასიათის ღონისძიებებით მეზობელ ბიზანტიის სახელმწიფოსთან მიმართებაში *[დიასამიძე, 2016: 220]*.

ყველა ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის, საქართველო, სამხედრო-პოლი-

ტიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, საყოველთაოდ ანგარიშგასაწევ სახელმწიფოს წარმოადგენდა. 1212 წელს ერთი ჯვაროსნის მიერ საფრანგეთში გაგზავნილი წერილის მიხედვით, ევროპელ ჯვაროსნებს საქართველო მშველელად, იერუსალიმის მხსნელად და მუსლიმანთა დამმორჩილებლად მიაჩნდათ. წერილის ავტორი მხარის მთავარსა და მთავარეპისკოპოსს აიმედებს, რომ გეორგიანთა ახალგაზრდა მეფე (იგულისხმება გიორგი-ლაშა - ს.კ.) ურიცხვი მხედრობით ჩავა წმიდის ქალაქის იერუსალიმის მიწის სახსნელად და წარმართთა დასამორჩილებლად *[დიასამიძე, 2016: 224]*.

საქართველოს მეზობლები ძირითადად ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრებოდნენ. საქართველოს შავიზღვისპირეთი ქართული ფლოტის არარსებობის გამო პრაქტიკულად საზღვაო გზებს მოწყვეტილი იყო. აღმოსავლეთით საქართველოს სახელწმიფოს შირვან-შაჰების სამფლობელო ესაზღვრებოდა, რომელიც ჯერ კიდევ 1124 წლიდან, დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდიდან, საქართველოს ჯერ უშუალო ნაწილი, ხოლო დემეტრე I-ის მეფობიდან – აღმოსავლეთ შირვანი საქართველოს ერთგული ყმადნაფიცი და მოკავშირე იყო და ამ მიმართულებით საქართველოს, მანამ, სანამ შირვან-შაჰების სახელმწიფო არსებობდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემები არ წარმოქმნია.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, საქართველოს გავლენის სფეროში იგი ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის საბოლოო პოლიტიკურ გაერთიანებამდე შედიოდა. ჩრდილო კავკასიური პოლიტიკური ერთეულები საქართველოს სამეფოს ერთგულები იყვნენ და საჭიროების შემთხვევაში პირნათლად ასრულებდნენ უზენაესი ხელისუფლის – საქართველოს მეფისადმი დაკისრებულ ვალდებულებებს. ჩრდილო კავკასიელი მეომრები საუკუნეების განმავლობაში ერთიანი საქართველოს არსებობის პერიოდში მსახურობდნენ ჩვენი ქვეყნის ჯარში და მათი სამხედრო ფორმირებები, ძირითადად,

ერთგულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ ქართული სამეფო კარისათვის.

სხვაგვარი სიტუაცია იყო საქართველოს სამხრეთით. XII-XIII საუკუნეების პირველი მესამედი იყო ქრისტიანული საქართველოსა და ისლამური სამყაროს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ასევე მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ეპოქაც. ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში საქართველო უპირისპირდებოდა როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს, ისე, საერთოდ, მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოებს. XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში ქრისტიანულ საქართველოსთან კონფრონტაციის დროს ისლამი იყო ძირითადად უფრო თავდაცვაზე, ვიდრე შეტევაზე. საქართველოს სამეფო წარმოადგენდა სერიოზულ ძალას და მნიშვნელოვან ფაქტორს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ცხოვრებაში *[ჯაფარიძე, 1995: 4]*.

საქართველოს სამეფომ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე წარმატებით გადაჭრა მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობის პრობლემური საკითხები. 1195 წლის შამქორის ბრძოლაში აბუ-ბექრის, ხოლო 1202 წელს ბასიანის ბრძოლაში რუქნადინის დამარცხების შემდეგ საქართველო მაშინდელ მსოფლიოს უძლეველ ძალად მოევლინა, ქვეყანად, რომელმაც ბაღდადის ხალიფას მიერ „საღვთო ომად“ შერაცხულ ორ უდიდეს სამხედრო კამპანიაში მახლობელი აღმოსავლეთის ორი გამორჩეული და ლიდერი პოლიტიკური ძალა დაამარცხა, რასაც შემდეგ მოჰყვა ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, რითაც თამარ მეფემ შექმნა „ახალი ბიზანტიის იმპერია“. ამ ბრწყინვალე სამხედრო პოლიტიკური აქტით ამიერიდან არათუ ქართველები გამოდიოდნენ ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ქრისტიანულ ქვეყნად, არამედ თამარის მიერ დაარსებული ახალი ბიზანტია ტრაპიზონის იმპერიის სახით იყო საქართველოს გავლენის სფერო.

1205 წელს ქართველებმა მნიშვნელოვანი ქალაქი კარი აიღეს. მის მმართველად თამარმა ივანე ახალციხელი დანიშნა. 1205-1206

წლებში ქართველებმა რამდენჯერმე დალაშქრეს ხლათის სასულთნოს ტერიტორია და ქალაქ მანაზკერტამდეც კი მიაღწიეს. ხლათი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ხლათის დაკავება ქართველთა დიდი გამარჯვება იქნებოდა *[აბაშიძე, 2013: 173]* საქართველოს სახელმწიფო ცდილობდა ხლათის დაუფლებასაც, რომელიც 1208 წლიდან სალადინის მემკვიდრეების ეგვიპტის აიუბიანების ხელში იყო.

ხლათის აიუბიანთა ხელში გადასვლა საქართველოსათვის მიუღებელი იყო და ქართველებმა ხლათის მიმართულებით შეტევა განაახლეს. 1209 წელს აღებულ იქნა ქალაქი არჭეში, ხოლო 1210 წელს ქართველებმა, ზაქარია და ივანე მხარგრძელების მეთაურობით, ხლათს ალყა შემოარტყეს. ქალაქის აღებას ბევრი არაფერი აკლდა, რომ მოულოდნელად ტყვედ ჩავარდა ივანე მხარგრძელი. ერთ დღეს მან, მცირე ამალის თანხლებით, ხლათის გარეშემოვლა განიზრახა. მოულოდნელად მის ცხენს ფეხი თხრილში ჩაუვარდა, წაიქცა და მხედარი ქვეშ მოიყოლა. ყოველივე ეს ხლათელებმაც დაინახეს. სასწრაფოდ გამოვიდნენ ციხიდან და ივანე თავისი ამალითურთ დაატყვევეს. ამან მთლიანად შეცვალა ბრძოლის მიმდინარეობა. ზაქარიამ ხლათელებს შეუთვალა, ჩემს ძმას არაფერი დაუშავოთ, თორემ ისე გაგანადგურებთ, რომ მიწას ჯო-რებს ავკიდებთ და საქართველოში წავიღებთო. ივანე მხარგრძელის გასათავისუფლებლად ქართველები იძულებული გახდნენ 100000 დინარი გადაეხადათ, 5000 ტყვე გაეთავისუფლებინათ და 27 ციხე დაეცალათ. ამავე დროს ივანე მხარგრძელმა თავისი ასული თამთა ხლათის სულთანს ალ-ავჰადს მიათხოვა, რომლის გარდაცვალების შემდეგაც თამთა მისმა ძმამ, ალ-აშრაფმა შეირთო. საქართველოსა და აიუბიანებს შორის 30 წლიანი ზავი დაიდო. საზღვარმა ორ სახელმწიფოს შორის მდინარე არაქსზე გაიარა. ხლათის სასულთნოს ის ტერიტორია, რომელიც არაქსის ჩრდილოეთით მდებარეობდა, საქართველოს გადაეცა *[აბაშიძე, 2013: 174]*.

საქართველოს ჯარმა 1210 წელს მხარგრძელების მეთაურობით ილაშქრა ირანში, აღებული იქნა ქალაქები: მარანდი, თავრიზი, მიანა, ზენჯანი და ყაზვინი.

როგორც ირკვევა, ქართველების ეს ჩრდილოირანული ლაშქრობა ხორეზმის მზარდი და დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ჩამოთვლილ ქვეყნებში ხორეზმი ის ტერმინია, რომლის ქვეშ კონკრეტული და იმხანად ნამდვილად არსებული სახელმწიფო იგულისხმება. ხორეზმი XIII საუკუნის დასაწყისში აზიის პოლიტიკურ სამყაროს ყველაზე მძლავრ და ტერიტორიულად უდიდეს ქვეყნად მოევლინა.

ხორეზმი (ხვარაზმი) ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო იყო შუა აზიაში, მას მოიხსენიებდნენ ბველი ბერძენი ავტორები ჰეკატეოს მილეთელი და ჰეროდოტე. 329 წელს ქ.შ.-მდე ხორეზმი დალაშქრა ალექსანდრე მაკედონელმა. წარმოშობით ხორეზმიდან იყვნენ შუა საუკუნეების დიდი მეცნიერები მუჰამად ბენ მუსა ალ-ხვარაზმი (ასტრონომი, გეოგრაფი და მათემატიკოსი), იბნ სინა (ფილოსოფოსი, პოეტი, ექიმი) და ამ უკანასკნელის თანამედროვე დიდი ალ-ბირუნი (ასტრონომი, ფიზიკოსი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, გეოლოგი). XI საუკუნის 40-იან წლებში ხორეზმი თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, რომელთა ბატონობა 150 წელი გაგრძელდა *[ბაშეიძე, 2013: 197]*. ამ პერიოდის განმავლობაში ხორეზმს თურქული დინასტიები მართავდნენ.

ანუშთეგინიდ-ხორეზმშაჰთა თურქული დინასტიის წინაპარი იყო ვინმე ანუშთეგინი, რომელიც ბექდილის ოღუზური საგვარეულოდან წარმოდგებოდა. სიყმაწვილეში ანუშთეგინი იყო მონა (მამლუქი), თანამედროვე ავღანეთისა და ირანის საზღვარზე მდინარე მურღაბის ზემო წელზე მდებარე მახრე გარჩისტანში. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ანუშ-თეგინი სელჯუკიდმა ამირამ ბილთე-თეგინმა შეიძინა, რომლის დახმარებითა და საკუთარი ნიჭის წყალობით ანუშთეგინი სულტან მალიქ-შაჰის ამალაში აღმოჩნდა.

მან წარმატებული კარიერა შეიქმნა და ტაშდარის (სულთნის საბანოე ნივთების მცველის) ფრიად საპატიო თანამდებობასაც მიაღწია. პარალელურად, ხორეზმის შიჰნის საპატიო ტიტულიც მიიღო, ვინაიდან ყველა მისი თანამდებობრივი ხარჯი ხორეზმიდან შემოსული თანხებიდან იფარებოდა. ანუშთეგინის სიკვდილის შემდეგ, მისი ვაჟი კუტბ ად-დინ მუჰჰამადი ხორეზმის ვალი (მმართველი გახდა) და პარალელურად, ხორეზმშაჰის საპატიო ზედწოდებაც მიიღო. მეცნიერების, კერძოდ, ზ. მ. ბუნიატოვის აზრით, სწორედ ამ მმართველიდან იწყება ხორეზმშაჰთა დინასტიის ისტორია, რომელმაც ასოც წელზე მეტ ხანს იარსება, სანამ 1220 წელს იგი მონღოლებმა არ გაანადგურეს. კუტბ ად-დინ მუჰჰამადი ხორეზმს ოცდაათი წლის მანძილზე მართავდა. იგი იყო სულთან სანჯარის (1119-1157 წწ.) ერთგული თანამდგომი და სულთნის ხაზინაში რეგულარულად შეჰქონდა ხორეზმში აკრეფილი გადასახადები.

1127 წელს, კუტბ ად-დინ მუჰჰამადის სიკვდილის შემდეგ, სულთანმა ხორეზმის მმართველად მისი ვაჟი ასტიზი დანიშნა, რომლის სახელსაც უკავშირდება ხორეზმის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და ხორეზმშაჰთა დინასტიის განმტკიცება. ათი წლის განმავლობაში ასტიზი ერთგულად ემსახურა სანჯარს, მაგრამ შემდეგ მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა და ღია ომში გადაიზარდა. კერძოდ, ასტიზმა აიღო სირდარიის ქვემო წელზე მდებარე ქალაქი ჯენდი. ამის შედეგად, სულტან სანჯარს ასტიზის დასამორჩილებლად სამჯერ მოუწია ხორეზმში ლაშქრობის მოწყობა. მიუხედავად ამისა, ასტიზმა ურთიერთობა დაამყარა ბაღდადის ხალიფასთან (რომელიც ნომინალურად მუსლიმანური სამყაროს მეთაურად ითვლებოდა), რომელმაც მას სულთნის ტიტული მიანიჭა. 1141 წლიდან ასტიზმა დაიწყო საკუთარი სახელით ოქროს მონეტების მოჭრა, რომელიც იმ დროს უზენაესი სუვერენული მმართველის პრეროგატივად ითვლებოდა. ასტიზმა ისარგებლა 1141 წელს კატვანის სტეპში კარაკიტაებთან სულტან სანჯარის

დამარცხებით და ჯერ სანჯარის სატახტო ქალაქი მერვი, ხოლო შემდეგ ნიშაპური და ხორასნის სხვა ქალაქებიც აიღო. ამან სანჯარი აიძულა სამჯერ გაელაშქრა ხორეზმში. შემდგომში, გურიდებთან, კარაკიტაებთან და ოღუზებთან (რომელთაც იგი დაატყვევეს კიდეც) განუწყვეტელი ომების გამო სანჯარის ხელისუფლების დასუსტების შედეგად, ასტიზი განაგრძობდა ხორეზმის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და საკუთარი სამფლობელოების განვრცობის პოლიტიკას. ასტიზი გარდაიცვალა 1156 წელს. ვ.ვ. ბარტოლდის შეფასებით, იგი იყო „ხორეზმული დინასტიისა და ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამაარსებელი“. ასტიზი ტახტზე მისმა შვილმა ილ-არსლანმა (1156-1172წწ.) შეცვალა, რომელმაც გადადგა პირველი ნაბიჯები სახელმწიფოს გასაფართოებლად და დინასტიის განსამტკიცებლად. მისი მმართველობის წლებში, ხორეზმი გადაიქცა უძლიერეს სახელმწიფოდ მავერანნაჰრში. განსაკუთრებულ დიდებას ხორეზმის სახელწმიფომ სულტან ტეკიშის დროს მიაღწია, მაგრამ ხელისუფლებაში ტეკიშის მოსვლას წინ უსწრებდა ხანგრძლივი შინაომი უმცროს ძმასთან – სულთან-შაჰთან, რომელიც 1172 წლიდან 1189 წლამდე გრძელდებოდა. ამ დროისთვის ტეკიშის ძლიერება იმდენად გაიზარდა, რომ სულთან-შაჰი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკებებზე წასულიყო და 18 ჯუმადას, ჰიჯრით 585 წ./1189 წ. 4 ივლისს, ქ. რადეკანში ტეკიში საზეიმოდ ავიდა ტახტზე. სულთან-შაჰი, ზავის მიუხედავად, ბრძოლას განაგრძობდა, რომელიც დასრულდა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1193 წ. ამ წლიდან იწყება ხორეზმ-შაჰების სახელმწიფოს აღმასვლა. ტეკიშის დროს დაპყრობილ იქნა თითქმის მთელი მავერანაჰრი, ირანი, ხორასანი და შვიდმდინარეთი. ამის შედეგად ხორეზმშაჰთა სახელმწიფო იქცა შუა აზიისა და ირანის უდიდეს სახელმწიფოდ, რომლის დედაქალაქი იყო გურგანჯი (თანამედროვე კუნია ურგენჩი). 1200 წელს ტეკიში გარდაიცვალა და ტახტზე მისი შვილი კუტბ ად-დინ მუჰჰამადი ავიდა. მან მიიღო საკუთარი მამის საპატიო ზედწოდება ალა ად-

დინი და სახელი – სანჯარ მეორე. კუტბ ად-დინ მუჰამადმა განაგრძო ტეკიშის საქმიანობა ხორეზმის ძლიერების განსამტკიცებლად და ისლამურ სამყაროში უძლიერეს სახელმწიფოდ გადასაქცევად. მან გაანადგურა კარაკიტაები და გურიდები, ჩაახშო ხორასნის მოსახლეობისა და ბუხარაში მალიქ სანჯარის აჯანყებები. 1212 წელს მუჰამმადმა სიკვდილით დასაჯა სამარყანდის უკანასკნელი კარაჰანიდი მმართველი უსმანი, ხოლო ორი წლის შემდეგ კი სხვა სამფლობელოთა კარაჰანიდი მმართველებიც და მავერანაჰრის ერთპიროვნული მფლობელი გახდა. ხორეზმშაჰთან ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა არანი და აზერბაიჯანი, რომლის ათაბაგი უზბეგიც იძულებული გახდა ხუტბა აღევლინა სულთან მუჰამმადის სახელზე. ჰიჯრით 614 წლისათვის/1217 წ., მან დაიმორჩლა სპარსეთის ერაყი, მაზანდარანი, არანი, აზერბაიჯანი, შირვანი, ფარსი, ქერმანი, მექრანი, მანგიშლაყი, ქეში, გური, ღაზნა და მთელი მავერანაჰრი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხორეზმშაჰთა სახელმწიფოს საზღვრებმა ინდოეთს უწიეს. გახდა რა უზარმაზარი სახელმწიფოს მფლობელი, ხორეზმ-შაჰმა მოისურვა ხალიფა ან-ნასირს იგი ეღიარებინა ისლამისა და ყველა მუსლიმის სულთნად, რასაც ვერ მიაღწია მამამისმა ტეკიშმა. ხალიფამ მას უარით უპასუხა. მაშინ მუჰამმადმა ბრძანა ხალიფას სახელი ამოეღოთ ხუტბიდან და მონეტებიდან. ჰიჯრით 609 წ./1212 წ. მან შეკრიბა ხორეზმის ულემთა და იმამთა კრება და მისგან მიიღო ფეტვა ხალიფა ან-ნასირის დასამხობად და ხალიფების ტახტზე ალი იბნ აბუ თალიბ ალა ალ-მულკ ათ-თერმეზის შთამომავლის ასაყვანად. ხალიფას დასამხობად მუჰამმადი დიდი ჯარის ბაღდადისკენ დაიძრა, მაგრამ ეს ლაშქრობა წარუმატებლად დამთავრდა ასადაბადის უღელტეხილზე თავსდამტყდარი ძლიერი თოვლი'ა და ყინვების გამო. ხორეზმშაჰი სამარყანდში დაბრუნდა, რომელიც მისი დედაქალაქი გახდა, ხოლო გურგანჯში ფაქტიური ხელისუფლება მის დედას, წარმოშობით ყივჩაღ ტიურკან-ხათუნს ეკუთვნოდა *[რთველაძე, 2005: 131-134].*

ხორეზმის შაჰის მუჰამედის გაბატონება არანში, აზერბაიჯანში და ერაყში საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს საფრთხეს უქმნიდა. ხორეზმი, ქართველი ისტორიკოსის – ჟამთააღმწერლის მიხედვით, დიდი სახელმწიფოა, ხოლო მის მმართველს მუჰამედს ქართველი ისტორიკოსი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ესე მაღალმან ყოველთა ხელმწიფეთა უდიდესმან ხუარაზმშა, რომელიც დღეთა სიმრავლითა მიმცხოვნებული, ხელთ ედვა სულტანნი და ქუეყანანი, რომელნი ეპყრა ჯეონს აქათ ხუარასნისა და ერანისა“. *[ჟამთააღმწერელი, 2008: 532]*. ჩვენი აზრით, რომ არა ჩინგიზ ხანის მიერ ხორეზმის განადგურება, საქართველოსა და ხორეზმის ომი წინა აზიაში პირველობისათვის გარდაუვალი იქნებოდა და ამ დაპირისპირების მთავარ გმირებად ხორეზმშაჰი მუჰამედი და საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა მოგვევლინებოდნენ. „ვეფხისტყაოსანში“ გამორჩეულად არის ხორეზმშაჰის მემკვიდრის მკვლელობის ეპიზოდი, რომელიც მაშინდელი მსოფლიოს ორი ზესახელმწიფოს – ხორეზმისა და საქართველოს დაპირისპირების გამოძახილი უნდა იყოს. ხორეზმისა და საქართველოს დაპირისპირება მართლაც მოხდა, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა და „რუსთაველის ეპოქისა და ოქროს ხანის ფარგლებს“ სცილდება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აბაშიძე, 2013: – აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები (საკითხავი წიგნი), თბილისი.

დიასამიძე, 2009: – დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ბათუმი.

დიასამიძე, 2016: – დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ტ. II, ბათუმი.

რთველაძე, 2005: – რთველაძე ე., უზბეკეთის ისტორიული წარსული, თბილისი.

ქართლის ცხოვრება, 2008: – ქართლის ცხოვრება, თბილისი.

ჯავახიშვილი, 2012: – ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი.

ჯაფარიძე, 1995: – ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბილისი.

Sulkhan Kuprashvili
PhD in History, Professor

Georgia and Outer World in Rustaveli Era

Summary

In between XI-XII centuries, Georgia was one of the largest and politically advanced country. Main land of the Georgian Kingdom covered territory of North and South Caucasus. It is estimated that population exceeded 5 million and that made it look solid in Upper Region of Asia and The European Continent. Income of our country in many times exceeded income of magnificent countries of Europe and Asia in those days. Many great countries had boarders with Georgia in the South: in South-West Rum or Icon Sultanate, which was a constant rival of Georgia in the Black Sea South-West. Rum Sultanate in the times of Sultan Rukn ad-Din attempted weakening of Georgia's political authority. However, in 1204 as a result of the Battle of Basiani their ambitions were suppressed. Sultanate of Khlat or Shah-Armens was a Southern neighbor of Georgia. Despite of its power it was not the power of concern for the Kingdom of Georgia. On the territory of present Iran, the state of Eldiguzian existed, its territory was occupied by powerful Khoresm state and in the early XIII century in South-East it became a close neighbor of the Kingdom of Georgia. The Khoresm became a significant role-player in those days Asia and achieved the greatest power in the time of rule of Khoresm Shah, Shah Muhamed in 1200-1221. It is worth to be mentioned that in Shota Rustaveli's "Knight in Pantera Skin" Khoresm is a term denoting existence of genuine states in the noticed countries.

შოთა ზოიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი პროფესორი

ირაკლი აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზე“ და პალესტინური ციკლის ლექსები

თითქოს გუშინ იყო, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ჩვენი მწვანე პლანეტის ცაზე რომ გადაიქუხა შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილემ. მსგავსი არ ახსოვს ლიტერატურის ისტორიას. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე ელვის სისწრაფით გასულა. და აი, კარზე მოგვადგა გენიოსი მოაზროვნის 850 წლისთავი. შოთა რუსთაველი აღარ არის მხოლოდ ქართველი ხალხის საკუთრება. დასავლეთის გამოჩენილმა მოღვაწეებმა დიდი ხანია აღიარეს ეს. ინგლისელმა მეცნიერმა სერ მორის ბოურამ მას კაცობრიობის სკოლა უწოდა. 1966 წელს გამართული იუბილის მოწყობაში ლომის წილი გამოჩენილ პოეტს ირაკლი აბაშიძეს მიუძღვის. უნდა აღინიშნოს ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის ვასილ მჟავანაძის კეთილი ნება, რომლის გარეშეც შოთას საიუბილეო დღეების საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაქცევა შეუძლებელი იქნებოდა. საიუბილეო დღეების წინ და მისი პროგრამის ფარგლებში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია იერუსალიმში, პეტრე იბერის მიერ დაარსებული ჯვრის მონასტრის სიძველეების შესასწავლად. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, აკადემიკოსები აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი. ჩვენს მეცნიერებს ჯვრის მონასტერში მეგზურობდა ცნობილი მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის წიგნი „მიმოსვლა“. ეს ის ტიმოთე გაბაშვილია, რომელმაც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოიხილა და აღწერა პალესტინის ქართული სიძველეები და ჯვრის მონასტერიც. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში" წერია: „გუმბათის ქვეშოთ სვეტნი

გაუახლებია და დაუხატვინებია... შოთას, ვიტყვი რუსთაველსა, მეჭურჭლეთუხუცესსა, თვითონაც შიგ ხატია მოხუცებული." ტიმოთე გაბაშვილი ვარაუდობს, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესი პოეტი შოთა რუსთაველი უნდა იყოს. მას ხელნაწერის კიდეზე მიუწერია, რომლითაც შოთას „მთქმელთა ლექსთა ბოროტთასა" უწოდებს: „რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა". ცნობისათვის, ფართო მკითხველი ტიმოთე გაბაშვილს ნაკლებად იცნობს. მისი დამოკიდებულება რუსთაველთან გაარკვია ე.მეტრეველმა. იხილეთ მისი გამოკვლევა „მიმოსვლა",1956წ. იგი იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი, ქუთაისის მიტროპოლიტი, რომელმაც 1755-1759 წლებში საბერძნეთსა და პალესტინაში იმოგზაურა. ჯვრის მონასტერი მოუნახულებიათ ნიკო მარს, კონჭომვილს, ცაგარელს, რომელთა ცნობები ხელთ ჰქონდათ ექსპედიციის მონაწილეებს.

მე აქ აღარ შევუდგები ექსპედიციის შედეგების კომენტირებას. იგი საყოველთაოდ ცნობილია. ვიტყვი მხოლოდ ერთს – ექსპედიციის იდეის ავტორიც და ორგანიზატორიც ირაკლი აბაშიძეა. მისი „პალესტინის დღიური" და მოგზაურული ჟანრის წერილები ერთგვარი გზამკვლევია პოეტის ახალი ლექსებისა, რომლის შთაგონების წყარო, სწორედ რომ, რუსთაველის ნაკვალევზე მოგზაურობა იყო. ამ ციკლის ლექსებს არაერთი გამოჩენილი მოღვაწის კალამი შეეხო, რომელთა შორის არიან ირაკლი ანდრონიკოვი, შალვა ნუცუბიძე, ედუარდას მეჟელაიტისი, ნიკოლოზ ტიხონოვი, გურამ ასათიანი, შალვა აფხაიძე, ჯანსულ ღვინჯილია, გიორგი ნატროიშვილი, ვლადიმერ ოგნევი, იური სუროვცევი, დემნა შენგელაია, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, სერგი ჭილაია და ბევრი სხვა. 1966 წელს გამოცემული წიგნის ანოტაციაში ირაკლი აბაშიძე ამბობს: „გულით მწყუროდა შენს შორეულ შთამომავალს წარმომედგინა, რას განიცდიდი და ფიქრობდი შენი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

მაშ, ეს „ხმები" ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მართლაც გაეგონოს იგი პალესტინის ქართული ჯვრის მონასტერში, შენს უკანასკნელ თავშესაფარში შენი დაკარგვიდან მვიდასი წლის შემდეგ".

პალესტინური ციკლის ლექსებზე ანალოგიური და უაღრესად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა გამოჩენილმა ბალტიისპირელმა პოეტმა ედუარდას მეჟელაიტისმა. „მე დღეს ჩამესმის ირაკლის დრამატული ხმა, როცა ბრწყინვალე „რუსთაველის ნაკვალევზე" მიკითხავდა. რომ ახალი პოეტები მიდიან – განაგრძობს იგი – ისეთ შემოქმედთა ნაკვალევზე, როგორიც შოთაა. ასეთი გზა აქვს ჩვენს პლანეტაზე უკვდავებას და მარადიულობას.

ირაკლის საუბარი შოთასთან გამონაგონი არ იყო. იერუსალიმში დღესაც არი ქართველთა მიერ აშენებული ჯვრის მონასტრის ნანგრევები. ამ მონასტერში ჰპოვა შოთამ უკანასკნელი ნავსაყუდელი. რუსთაველზე ძალიან ცოტა საბუთია შემონახული. მისი სურათიც კი არ მოიძებნება. დადიოდა ჯიუტი ხმები, რომ ჯვრის მონასტრის კედელზე გამოხატულია შოთას სახეც. და, აი საქართველოდან იერუსალიმს მიემგზავრება მეცნიერთა დელეგაცია. დელეგაციის წევრია ირაკლი აბაშიძეც. თავისი პოეტური ტალანტის ძალით ირაკლიმ მონასტრის კედლებში გამოიძახა დიადი შოთას სული და მისი ნამდვილი ხმაც მოისმინა.

„სიყვარულმა გადმომხვეწაო... ამბობს რუსთაველი. რა არის აქ მოულოდნელი? ყოველი პოეტი იმიტომ იბადება, რომ სიყვარულს უმღეროს. ყოველი პოეტის დამლუპველიც სიყვარულია და მეტი არაფერი".

ამ სტრიქონების ავტორის აზრით, ხალხმა რუსთაველზე ლეგენდა შექმნა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბიოგრაფიული ანკეტა. უცხოენოვანმა პოეტმა თავის კომენტარებში სრულიად გაითავისა ქართული ლეგენდა რუსთაველის იგავმიუწვდომელი ცხოვრებისა და მისი წიაღიდან ძვირფასი თვალები ამოკრიბა. უთუოდ მნიშვნელოვანია ირაკლი აბაშიძის პოეზიის ზოგადად და კონკრეტულად – პალესტინური ციკლის ლექსები.

ერთადერთი, რასაც ვერ გავიზიარებთ, ეს ქართველი ავტორების კომენტარებშიც ფიქსირდება, არის რუსთაველის სიყვარულის, მეგობრობისა და რაინდობის მომღერლად წარმოდგენა. მე არ მიმაჩნია მართებულად სინტაგმა „პოეტი მომღერალი“, სულერთია გენიოსია იგი თუ მოკვდავი.

„მარკ ავრელიუსი ამბობდა: ყოველ კაცს შიგნით სულის ტაძარი უნდა ედგასო. ირაკლი აბაშიძე ასეთი ტაძრის ქურუმია და მეც მის ლექსებს ასე გულდასმით კიდეც იმიტომ ვკითხულობდი. მისი ლექსები წრფელი ინტიმითა და მეგობრული ინტონაციით, ფრაზის საკვირველი სინატიფით, უსაზღვრო დარდითა და ასკეტური სიმარტივის საშინელი გრძნობით ხან ლირიკულად ლივლივებდა, გულის სიღრმეში ატანდა იქ, სადაც რექვიემივით ქვითინებდა“. ეს ციტატა დემნა შენგელაიას სარეცენზიო წერილიდანაა, რომელიც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1966 წლის 5 თებერვლის ნომრებშია დასტამბული. უნდა დავეთანხმოთ ამ შეფასებას. იგი გულწრფელია და სანდო. დავამატებ მხოლოდ ერთს. ეს ლექსები „წრფელი ინტიმით“ რომ არის გაჟღენთილი ნათელია, მაგრამ „მეგობრული ინტონაცია“ რა არის ამ ლექსებში, ჩემთვის გაუგებარია.

გამოჩენილმა შალვა ნუცუბიძემ თავის სტატიაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი ირაკლი აბაშიძის ერუდიციულ წვდომას რუსთა-ველის სულისკვეთების გადმოცემისას. მისი აზრით, ეს ლექსად დაწერილი ტრაქტატია, დიდი ცოდნითა და ოსტატობით შესრულებული, სადაც მძიმე აზრები არ ავიწროებენ ლექსს და ლექსი არ ასუსტებს აზრის სიმკვეთრეს. სჯობს მას მოვუსმინოთ: “პალესტინის თემამ, როგორც საკაცობრიო ძიებათა ხან მართალმა და ხანაც მტყუანმა, მომეტებულად კი არც ერთმა და არც მეორემ, ისეთ სიმღეს მიაგნო, პოეტის გულში, სადაც თქმა გმირობად იქცა და ნათქვამი – სიბრძნედ. თურმე ეს იყო ირაკლი აბაშიძის შემოქმედება რომ ეძებდა: სამშობლოში ანთებული ცეცხლის ნაპერწკლებს გაყჭვა უცხოეთში, წინ რუსთაველის სინათლე მიუძღვოდა და გზას

მისი ნაკვალევით იკვლევდა, ქართულ სავანეში მისი „ხმები“ სინამდვილედ მოევლინა, აღსასრულს მიუსწრო და ლექსი საგანგებოდ ააჟღერა.“

ჩემი ფიქრით, აქ ერთმანეთს დაემთხვა ლექსების ავტორის ირაკლი აბაშიძისა და მისი კომენტატორების ედუარდას მეჟელაიტისისა და შალვა ნუცუბიძის შეფასებები, რვა საუკუნის წყვდიადში დაგუბებული „ხმების“ შესახებ, რომლებსაც რუსთაველის შორეულმა შთამომავალმა პირველად მიუგდო ყური და საქართველოში ჩამოგვიტანა.

1977 წლის 4 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა რუსი მწერლის იური სუროვცევის სტატია „გადაუშლია შენთვის მგოსანს სული და გული“, რომელითაც იგი გარკვეულწილად ენათესავება შალვა ნუცუბიძისა და ედუარდას მეჟელაიტისის მიერ პალესტინური ციკლის ლექსების შეფასებას. მისი აზრით, ამ ლექსებში ირაკლი აბაშიძის მიერ რუსთაველის კვალის ძიებაა მთავარი პათოსი: „ირაკლი აბაშიძე, უპირველესად, ლირიკოსია. მის წიგნში თითქმის არ არის პალესტინის მართლმადიდებლურ მონასტერში გამგზავრებული შოთა რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი წლების ამსახველი რეალისტური სურათები. ანდა როგორ შეიძლება ყოფილიყო, როცა ბერად აღკვეცილი რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი წლები მეცნიერებისათვის ბურუსით არის მოცული. ირაკლი აბაშიძე ყველგან ეძებდა დიდი წინაპრის კვალს – მტკვრისა თუ განგის ნაპირებზე, მესხეთში (რუსთაველი ხომ მესხს უწოდებს თავისთავს), აღმოსავლეთის გზებზე, მაგრამ ყველა ეს გზებიც სდუმდნენ და სდუმდნენ მანამ, სანამ ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ, რომელშიც ირაკლი აბაშიძეც მონაწილეობდა, იერუსალიმის მონასტრის კედელზე არ აღმოაჩინა შოთას პორტრეტი“.

რაც აქამდე ვისაუბრე, მსგავსი არაფერია გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ დასტამბულ კრებულში („ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში“) რიგ, მსუბუქად ვიტყვი,

დაუსაბუთებელ შეფასებებზე, რომელთა ავტორები უხერხულობაში აგდებდნენ პოეტს და ისიც ჩვეული იუმორით აღიქვამდა. „თქვენ მიეცით დასაბამი და ავითარებთ ქართულ ფილოსოფიურ პოეზიას", – მიმართავს გიორგი ჩიტაია. ქართულ ფილოსოფიურ პოეზიას დასაბამი ჯერ კიდევ რუსთაველამდე მიეცა. „პალესტინა, პალესტინა" და „რუსთაველის ნაკვალევზე" თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური ზეშთაგონებით მსოფლიო პოეზიის შედევრებს უტოლდება", – ამბობს ლონგინოზ სუმბაძე. ეს რომ ასე არ არის, დღესავით ნათელია. „ირაკლი აბაშიძე დიდოსტატია მონუმენტური პოეტური სიურპრიზებისა", – წერს დევი სტურუა. „მადლიერმა ხალხმა ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინით შეგამკოთ, საქართველოს უგვირგვინო მეფე გიწოდათ", – ბრძანებს აკაკი სურგულაძე. ხალხმა უგვირგვინო მეფე მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს უწოდა და არავის სხვას. ამ თემას თავის დროზე მნიშვნელოვანი კომენტარები მიუძღვნა მწერალმა ჯანსულ ღვინჯილიამ.

ამ კომენტარების შემდეგ, გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ირაკლი აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზე" და „პალესტინა, პალესტინა" XX საუკუნის ქართული პოეზიის მართლაც მნიშვნელოვანი შენაძენია. ახლახან პოეტმა მურმან ჯგუბურიამ ერთი ჩინური სიბრძნე შეგვახსენა, რომ „ის, ვინც „დაო დე ძინს" ათასგზის წაიკითხავს, მის ავტორს ლაო ძის ცოცხლად დაინახავსო. ირაკლი აბაშიძემ „ვეფხისტყაოსანი" ათგზის და მეტგზის წაიკითხა და რაკი რუსთაველის ხმა გაიგონა, ეს იმას ნიშნავს, რომ თითქოს ცოცხლადაც იხილა.

ირაკლი აბაშიძის კომენტატორებს მიაჩნიათ, რომ „პალესტინა, პალესტინა" არის დიდი ნახტომი ირაკლი აბაშიძის პოეზიაში. მე კი ვთვლი, რომ ეს ციკლი საუკეთესო გაგრძელებაა პოეტის მანამდე შექმნილი ნიმუშებისა და არა ნახტომი. მისი ენის სტრუქტურა, სტილისტური ხერხები და გამომსახველობითი საშუალებები არაფრით განსხვავდება ადრინდელი ნაღვაწ-ნაამაგარისაგან. ირაკლი აბაშიძის ლექსის ძირები თუ ფესვები ერთი და იგივეა. ადრინ-

დელი ლექსები „მაშ, შენ ხარ მუზა?“, „ხან წუთი, ხან საუკუნე“, „ვინ რას დამძრახავს“, „შეკრიბე ერთად“, „მიახლოება“, „ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე“, „მცხეთა“, „ბილიკი მღერის“ და სხვა, ის ლექსებია, რომელთა ჩასმა თავისუფლად შეიძლება პალესტინური ციკლის ლექსებში და პირიქით. ესენიც და ისინიც ღვთისდამღიანი კალმით არის შექმნილი. თემატიკურ-იდეური და გამომსახველობითი საშუალებებით ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. ყველა მათგანში წუთისოფლის რაობისა და წარმავალ-წარუმავლობის განცდა და სულიერი ტკივილი წინაურდება.

აქ არის ორი პოეტის სულის მონოლოგი – გენიოსი შოთა რუსთაველისა და ჩვენი თანამედროვის. იგი ადრინდელ ლექსებში საკუთარი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით, ხოლო პალესტინური ციკლი რუსთაველის ხმით ქმნის მეტაფორულ ფოიერვერკებს. ირაკლი აბაშიძე თავისი ხმით ამბობს: „შუახანს გასცდი ხან გულმკვდარი, ხან კმაყოფილი; რას არ უსმინე, რას არ შეხვდი, რას არ უყურე... ჰო, წუთიც არის, საუკუნეც არის სოფელი... რომელი სჯობდა, წუთი სჯობდა თუ საუკუნე“. ახლა მინდა კომენტარის გარეშე შემოგთავაზოთ რუსთაველის ხმა. მე კიარა, თავად ირაკლი აბაშიძემ შემოგვთავაზა:

„დამამხობელმან მე საწუთრომ დამამხო, თამარ!
დიდება ღვთის მადლს, ჩემს ჭირს წამლით არ ეწამლება;
გასრულდა ჩემი უდაბური სულის წამება,
გასრულდა ჩემი ხეტიალი ტრამალ და ტრამალ“.

ამ ციკლის ლექსებზე ძალიან ბევრი დაწერილა. მათ შორის, ჩემთვის ყველაზე უფრო სანდოა გურამ ასათიანის, ჯანსულ ღვინჯილიას და ავთანდილ ნიკოლეიშვილის შეფასებები.

„მხატვრულ ნაწარმოებში რუსთაველისა და ჰომეროსის, ან დანტეს მოქმედ პირად გამოყვანა და მათი ამეტყველება თითქმის შეუძლებელია. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს გადაულახავი სირთულე დაძლია და როგორც ბიბლიურმა მთხრობელმა იაკობმა იეღოვას შეაჭიდა, „პალესტინა, პალესტინაში“ ირაკ-

ლი აბაშიძემ რუსთაველიც ღმერთს შეაჭიდა და იმ ჭიდილში რუსთაველი გამარჯვებული გამოიყვანა. აქ დოსტოევსკის მიერ „ძმებ კარამაზოვებში" შეტანილი ლეგენდა მაგონდება, „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე". რა თქმა უნდა, დოსტოევსკისა და ჩვენ შორის უდიდესი დისტანციაა, მაგრამ მისი ლეგენდა „დიდ ინკვიზიტორზე" შედარებისათვის მოვიტანე. დოსტოევსკის „დიდ ინკვიზიტორში" საკითხი სხვანაირად დგას. ვიდრე აბაშიძის „პალესტინაში". დოსტოევსკიმ ინკვიზიტორს ქრისტე დააპატიმრებინა, საბრალდებო სკამზე დაასმევინა, ინკვიზიტორი მაცხოვარს შეაჭიდა და დამარცხებული თვითონვე გამოიყვანა. მდუმარე ინკვიზიტორის შეკითხვაზე პასუხი არ გასცა. ადგა და აკოცა მხოლოდ..." (ა.ქუთათელი).

არაერთმა მკვლევარმა შენიშნა, რომ რუსთაველისათვის მიუღებელია ჯვარცმულის განუსჯელი თაყვანი, სადაც წინაურდება გონებრივი განსჯის აუცილებლობა, სადაც ღვთაებრივი ჭეშმარიტება გონებრივი განსჯით ვლინდება: „მე ჩემს გონებას, ცნობას ვთვლიდი ჩემს დიდ საუნჯედ, რადგან არსთაგანს მე მებოძა ეს საბოძველი, – შენ მთხოვდი თაყვანს, მხოლოდ თაყვანს, თაყვანს განუსჯელს, მე მხოლოდ განსჯის, მხოლდ განსჯის ვიყავი მლოცველი." პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა პალესტინური ციკლის ლექსებს მიწიერ სამყაროსთან გამოთხოვების წინ წარმოთქმული მონოლოგი უწოდა. ეს ლექსები „პიროვნულ ზრახვებზე ამაღლებისა და საქვეყნო პრობლემებზე დიდი დაფიქრების პოეზიაა, რასაც არსებითად განსაზღვრავს ნათლად გაცნობიერებული რწმენა იმისა, რომ მართალია, პიროვნების ამქვეყნიური სიცოცხლე დამთავრდა, მაგრამ დარჩა მშობლიური მიწა და ხალხი, როგორც მარადიული გაგრძელება მისი სისხლისა და ჯილაგისა. „პალესტინა, პალესტინაში" ერის უკვდავებისა და მარადიულობის ეს ამაღლებული თვითშეგნება განსაკუთრებული მხატვრული ძალით გამოიხატა ლექსით „ხამ კატამონთან," რომელიც პოეტური აპოლოგიაა მშობლიური ენისა".

ირაკლი აბაშიძემ საკუთარი სულის მონოლოგები, რომლებიც რუსთაველის ნაკვალევისა და პალესტინური ციკლის დაწერამდე ვიხილეთ, რუსთაველის ხმებით კიდევ უფრო გააღრმავა და ახალ საფეხურზე აიყვანა. ამიტომაც მიგვაჩნია ეს ციკლი, მთელი მისი პოეტური შემოქმედების გათვალისწინებით, XX საუკუნის ქართული პოეზიის თვალსაჩინო მიღწევად.

დავასრულებ გურამ ასათიანის სიტყვებით: „ცხოვრების ულმობელი მიმწუხრის ჟამს, სივრცისა და მარადისობის წინაშე მართოდმარტო დარჩენილი პოეტის სულიერი სამყარო საოცრად მოახლოვდა თანამდეროვე მკითხველის შეგნებამდე და სამუდამოდ შეიჭრა ქართველი ხალხის გონებრივ სამკვიდრებელში“.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე 1965: აბაშიძე ირაკლი, „მიახლოება“, გამ. „ მერანი“, თბილისი.

აბაშიძე 1977: აბაშიძე ირაკლი, თხზულებანი 2 ტომად, ტ. II.

ასათიანი 1965: ასათიანი გურამ, „შთაგონებული შემოქმედი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 თებერვალი, №6.

გაბაშვილი 1983: გაბაშვილი ტიმოთე, „მიმოსვლა“, „ქართული პროზა“, V, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, გვ.455.

ზოიძე 2013: ზოიძე შოთა, რჩეული ნაწერები ორ ტომად, II.

ნიკოლეიშვილი 2003: ნიკოლეიშვილი ავთანდილ, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, გვ. 608.

ნუცუბიძე 1965: ნუცუბიძე შალვა, „პოეტური სპექალი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 თებერვალი, №6.

მეჟელაიტისი 1966: მეჟელაიტისი ედუარდას, „კიდევ ერთი კავკასიური ლეგენდა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9 დეკემბერი.

სუმბაძე 1980: სუმბაძე ლონგინოზ, კრ.: „ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში“, თბილისი.

სურგულაძე 1980: სურგულაძე აკაკი, კრ.: „ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში", თბილისი.

სტურუა 1980: სტურუა დევი, კრ.: „ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში, თბილისი.

სუროვცევი 1979: სუროვცევი იური, „გადაუშლია შენთვის მგოსანს გული და სული", გაზ. „კომუნისტი," 4 ნოემბერი.

ჭუთათელი 1969: ჭუთათელი ალექსანდრე, „მრავალჟამიერ", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 8 ნოემბერი, №4.

ღვინჭილია 2001: ღვინჭილია ჯანსუღი, „ჩვენი დუმილის პასუხი", თბზ.4 ტომად, III, თბილისი.

შენგელია 1965: შენგელია დემნა, „ვისი ხმა არის?" გაზ. „ლიტერატურული სა-ქართველო", 5 თებერვალი, №6.

ჩიტაია 1980: ჩიტაია გიორგი, კრ.: „ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში", გამ. „მეცნიერება", თბილისი.

Шота Зондзе
Доктор филологических наук,
Профессор эмеритус

«По следам Руставели» и Палестинский цикл Ираклия Абашидзе

Резюме

Ираклий Абашидзе особая фигура грузинской поэзии двадцатого века. В его произведениях широко отразился портрет гениального поэта Шота Руставели. На портрет которого оказало вляние научной экспедиции в Палестине, где были найдены пристанище и фреска-портрет поэта.

Одухотворённый этим событием, поэт создал цикл новых стихотворенный, которым развил и на новый уровень поднял свои поэтические выразительные средства и художественное мастерство.

მიხეილ მახარაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

არეოპაგიტული იდეები „ვეფხისტყაოსანში“

დღეისთვის ქართულ მეცნიერებაში ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია არეოპაგიტული მოძღვრების რელიგიურ-ფილოსოფიური იდეები. განვიხილოთ, თუ როგორ აისახა არეოპაგიტული იდეები „ვეფხისტყაოსანში“ და როგორ არის გაგებული ეს საკითხი ქართულ მეცნიერებაში. ამის თაობაზე არაერთი ქართველი მეცნიერი აღნიშნავს. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შალვა ნუცუბიძის (1988-1969), შალვა ხიდაშელისა (1911-1994) და ელგუჯა ხინთიბიძის თვალსაზრისები.

ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ საკითხს, რამდენიმე წინასწარ შენიშვნას გავაკეთებთ. ნეოპლატონიზმში, არეოპაგიტულ მოძღვრებასა და XI-XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზრში ერთ-ერთი მთავარი საკითხი სიკეთისა და ბოროტების მიმართებაა. როგორც ერთ, ისე მეორე და მესამე შემთხვევაში ბოროტება უარსებოა, ის არასუბსტანციურია. ეს იდეა რუსთაველთან არეოპაგიტიკიდან გადმოდის და ამ საკითხში არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ქართული რენესანსის პოეზიის კავშირის თვალნათლივ მაგალითად ნუცუბიძეს მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ცნობილი სტროფი:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“.

ნუცუბიძის აზრით, სიკეთისა და ბოროტების მიმართების თვალსაზრისი ნეოპლატონიზმიდან გადადის ქრისტიანულ ნეოპ-

ლატონიზმში – არეოპაგიტიკაში, სადაც ნეოპლატონიზმი „გადარგულია“ ქრისტიანულ ნიადაგზე და საუკუნეების შემდეგ ამ საკითხზე არეოპაგიტულ თვალსაზრისს პეტრიწისეული რედაქციით „პოეტური ფორმით“ გადმოსცემს რუსთაველი *[ნუცუბიძე, 1976: 179]*.

რუსთაველისადმი მიძღვნილ ახალ გამოკვლევაში, სხვა საკითხებთან ერთად, ნუცუბიძემ გამოკვეთა რუსთაველის პოეზიის სათავეები, კერძოდ: რუსთაველის პოეზიის ხალხური და ლიტერატურული ძირები და რუსთაველის შემოქმედების ფილოსოფიური ძირები. რაც მთავარია – აქვე არის მსჯელობა „ვეფხისტყაოსანზე“ არეოპაგიტიკის გავლენის შესახებ.

ნუცუბიძე განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ იმ ცნობილ სტროფს, რომელიც სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების არასუბსტანციურობას ეხება და, სადაც რუსთაველი პირდაპირ მიუთითებს ამ თვალსაჩინო ავტორზე – „ბრძენ დიონოსზე“. ის ორ დებულებას გამოყოფს სტროფში, რომლებიც ღმერთის მიერ კეთილის მოვლინებასა და ბოროტების წარმოუშობლობას ეძღვნება *[ნუცუბიძე, 1980: 121-123]*.

ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის“ ამ საოცრად შინაარსიან და ტევადი სტროფის დასაწყისში მოცემული „დაფარული საქმის“ („ამ საქმესა დაფარულსა“) სათავესაც არეოპაგიტულ მოძღვრებაში ხედავს, რაც კარგად ჩანს ავთანდილის ლოცვაში ტარიელთან მეორედ გამგზავრების წინ:

„ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,...

უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“.

აქ რუსთაველის შემოქმედების სიახლოვე და კავშირი არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ეჭვგარეშეა, რაც კარგად აქვს შენიშნული ნუცუბიძეს.

ჯიდაშელის აზრით, ნუცუბიძის გაწეული კვლევა-ძიებით, „არსებითად რუსთაველის წყაროს ძიება ამ მიმართულებით რჩებოდა ნეოპლატონიზმის თეორიის ფარგლებში, რადგან თვით

არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროს იგივე ნეოპლატონიზმი წარმოადგენდა“ *[ხიდაშელი, 1988: 239]*.

ხიდაშელი იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებიდან ისეთ ადგილებს, რომელთა კავშირი არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ეჭვგარეშეა.

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებდით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

„არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ, რა დავრჩე, ხელსა მხდი რასას,
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა“.

ხიდაშელის აზრით, ამ სტრიქონებში კარგად ჩანს რუსთაველის შეხედულება არსის, როგორც „მწყობრთა წყობის სირას“ ნეოპლატონურ-არეოპაგიტული წარმომავლობა. სწორედ ნაოპლატონიზმში და განსაკუთრებით არეოპაგიტიკაში ბოროტება განისაზღვრება მხოლოდ სიკეთესთან დაპირისპირებაში და პრედიკატებით: უმიზეზობა, უმიზნობა, უარსობა, უკეთურობა და ა.შ. ყოველი ამ განსაზღვრების საპირისპიროდ კი, მოიაზრება მხოლოდ დადებითი ფორმა – სიკეთე *[ხიდაშელი, 1988: 266]*.

ფილოსოფიის პოზიციიდან ყურადღებას იმსახურებს ვეფხისტყაოსნისეული „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ცნებების ხიდაშელისეული ანალიზი. იგი კრიტიკულად იხილავს ამ ცნებების შესახებ სხვადასხვა ავტორთა თვალსაზრისებს და საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ „რუსთაველი იმდენად ღრმადაა გაცნობიერებული მოძღვრებაში, საიდანაც „მზიანი ღამე“ მომდინარეობს, რომ ამოდის ამ თვალნათლივი სახის მოაზრების ყველაზე რთული და ამავე დროს თავისებური შეხედულებიდან ნათელისა და ბნელის, „მზიანისა“ და „ღამის“ გაერთიანების შესახებ. რუსთაველის „მზიანი ღამე“ არაა არც ცალკე აღებული ნათელი (მზე) და მისი წარმოდგენა, არც ცალკე აღებული ბნელი (ღამე) და მისი წარმოდგენა. ესაა ერთი მთლიანი წარმოდგენა, რომელშიც ნათელი და ბნელი ერთმანეთს ემთხვევა, ისევე როგორც ღმერთში ერთმანეთს

ემთხვევა არსებობა და არარსებობა, ცოდნა დამყარებული მის არსებობაზე ყოველივეში, ცოდნას დამყარებულს არ-არსებობაზე არ-სად" *[ხიდაშელი, 1988: 288]*.

ხიდაშელი ამავე კონტექსტში იხილავს „უჟამო ჟამის"ცნებას. არეოპაგიტიკაში დაპირისპირებული პრედიკატები, ხიდაშელის მართებული აღნიშვნით, ღმერთის მისტიკური წვდომის საფეხურზე „მოიხსნება", როცა ღმერთი ხასიათდება „არცა საუკუნე, არცა ჟამი", „არცა სიდედე, არცა სიმცირე", იგი „არცა დგას, არცა იძვრის" და ა.შ. აქედან ხიდაშელი ასეთი შემაჯამებელ დასკვნას აკეთებს: „მაგრამ ამას რუსთაველის „უჟამო ჟამის" გარკვევისათვის ის მნიშვნელობა ენიჭება, რომ რუსთაველის დამოკიდებულებას არეოპაგიტიკისგან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით ადასტურებს. აქ კი საკმარისია იმის დადგენა, რომ არეოპაგიტიკაში „უჟამო" და „ჟამი" გარკვეულია როგორც ერთი მეორის საპირისპირო ცნებები და ორივე მათგანი მიეწერება პირველმიზეზს; გამართლებულია და დასაბუთებული ღმერთის წარმოდგენა, როგორც „უჟამოსი" და როგორც „ჟამის" *[ხიდაშელი, 1988: 297]*.

რუსთაველის ეს თვალსაზრისი, ხიდაშელის შენიშვნით, პირდაპირ კავშირშია არეოპაგიტიკასთან, რომ ამ მოძღვრებაში მოცემული ღმერთის დადებითი (კატაფატიკური) და უარყოფითი (აპოფატიკური) დახასიათება სწორედ ასეთად წარმოადგენს ღმერთს. დადებითი დახასიათების მიხედვით, ღმერთი ნათელია, ხოლო აპოფატიკური მეთოდით დახასიათებული ღმერთი არის გაურკვეველი და ბნელი. ხიდაშელი აქ არ ჩერდება და მრავალმხრივ საყურადღებოდ შენიშვნას აკეთებს: „მაგრამ ამით არ ამოიწურება საბოლოო პასუხი კითხვაზე. ცალ-ცალკე აღებული „ნათელი" და „ბნელი" დაპირისპირებულ მიმართებათა გამოხატულებაა. „მზიანი ღამე" კი ერთი ცნებაა და პრობლემა დაპირისპირებული წარმოქმნების გაერთიანებაში და მისი ონტოლოგიური საფუძვლების დასაბუთებაშია. ეს ნიშნავს ამავე დროს იმის დასაბუთებას,

რომ „მზიანი ღამე“ არის coincidentia oppositorum და არა contradiction in adjecto“ *[ხიდაშელი, 1988: 289].*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხიდაშელის აზრით, რუსთაველის <ვეფხისტყაოსანში> მოცემული „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ გამოხატავს ღმერთს, რომელიც, როგორც უმაღლესი არსება, თავის თავში მოიცავს დაპირისპირებულ მხარეებს და საკუთრივ მაღლა დგას ყოველგვარ დაპირისპირებაზე. მსგავსი ვითარებაა არეოპაგიტიკაში, სადაც ღმერთი მაღლა დგას ყოველგვარი დადებითი და უარყოფითი დახასიათებით მიღებულ ცოდნაზე. ამ საკითხში რუსთაველი ამოდის არეოპაგიტიკიდან და პოემის ცნობილ სტროფში იტყვის:

„ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა, ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის გმორჩილებენ ციერნი, ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!
ვისს ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“.

რუსთაველი თვითონ მიუთითებს მისი ამ სახეების წყაროზე „ფილოსოფოსნი წინანიზე“. საკმარისია გავიხსენოთ თუ ვინ იყვნენ ის ფილოსოფოსები, რომლებიც მზეს ღმერთის მხატად თვლიდნენ და ძნელი არ იქნება იმის გარკვევა, თუ ვინ იგულისხმებიან მათში.

მზეს ღმერთის ხატად მიიჩნევდნენ ნეოპლატონიკოსები და მათ შორის, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის წარმომადგენელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. ამასთან, ღმერთისა და მზის ანალოგიის ცნობილი თვალსაზრისი ფსევდო-დიონისემ განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა. იმის გათვალისწინებით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ კარდინალური საკითხზე დამოწმებულია „ბრძენი დივნოსი“ – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი და არა სხვა ვინმე, საფუძველს გვაძლევს „ფილოსოფოსნი წინანიში“ ვიგულისხმოთ ნეოპლატონიკოსები, ზოგადად და ფსევდო-დიონისე, კერძოდ.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ არეოპაგიტული მოძღვრების გავლენა ყველაზე ნათლად რუსთაველის “ეფხისტყაოსანშია” და კარდინა-

ლურ საკითხებში სწორედ ფსევდო-დიონისეს დამოწმება პოემაში იმის დასტურია, რომ მისი ძირითადი მსოფლმხედველობრივი წყარო სწორედ არეოპაგიტიკაა.

ნუცუბიძემ და ხიდაშელმა ნათლად აჩვენეს "ვეფხისტყაოსნის" სიახლოვე და მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება არეოპაგიტულ მოძღვრებასთან.

არეოპაგიტულ მოძღვრებასთან "ვეფხისტყაოსნის" მიმართებას განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს ელგუჯა ხინთიბიძე. რუსთაველის მსოფლმხედველობაზე მის ფუნდამენტურ გამოკვლევაში საგანგებო თავია შეტანილი სათაურით – „არეოპაგიტიკა და რუსთველი". ავტორი ნაშრომის ამ მონაკვეთში იმეორებს იმ მთავარ აზრს, რუსთაველისთვის არეოპაგიტული მოძღვრების დიდი მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ თუკი „მზიანი ღამისა" და „უჟამო ჟამის" ცნებების, სიკეთისა და ბოროტების მიმართების, კატაფატიკისა და აპოფატიკის წყაროების კვლევისას, ავტორი უშუალოდ არეოპაგიტიკაზე მიუთითებს, საერთო ვითარების განხილვისას არეალი ფართოვდება. კერძოდ, რუსთაველის ფილოსოფიური წყაროების გარკვევისას თავის ადგილს მიუჩენს პლატონიზმსაც და არისტოტელესაც. მეტიც აქ, ავტორი უკვე საუბრობს რუსთაველის მსოფლმხედველობაში არისტოტელიზმისა და ნეოპლატონიზმის სინთეზზე *[ხინთიბიძე, 2009: 69]*.

ხინთიბიძის აზრით, რუსთაველისთვის არეოპაგიტიკის მნიშვნელობის გასაგებად ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ "ვეფხისტყაოსანში" არეოპაგიტიკა მოტანილია არისტოტელეს გაზაზე. „რუსთაველის ფილოსოფიური წყარო რომ მხოლოდ არეოპაგიტიკა ყოფილიყო არისტოტელიზმის გარეშე, მაშინ რუსთველის აზროვნებაში რენესანსული არაფერი იქნებოდა და არეოპაგელიც ალბათ გააზრებული იქნებოდა ისევე ორთოდოქსულ-ქრისტიანულად, როგორც გაიგო და მიიღო იგი ქრისტიანულმა ეკლესიამ" *[ხინთიბიძე, 2009: 730]*.

აქ ავტორი პარალელს ავლებს რუსთაველისა და დანტეს შემოქმედებას შორის და აღნიშნავს, რომ დანტე ემყარება პლატონსაც, არისტოტელესაც, ფსევდო-დიონისესაც, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც არისტოტელეს აყენებს.

გავეცანით რუსთაველის მსოფლმხედველობაზე არეოპაგიტიკის გავლენის შესახებ ქართველი ავტორების – შ. ნუცუბიძის, შ. ხიდაშელის და ე. ხინთიბიძის თვალსაზრისებს. შეიძლება ითქვას, რომ მათ საკმაოდ წარმატებულად დაასაბუთეს ამგვარი გავლენების უეჭველობა.

ამის გარდა, რუსთაველის პოემაში გატარებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური და ეთიკური თვალსაზრისები, როგორებიცაა: სიკეთის მონიზმი, სამყაროს მთლიანობა, დასახული მიზნის მისაღწევად ადამიანთა ურთიერთთანადგომა, კრიტიკულ ჟამს „ჭირთა თმენა“ და მრავალი სხვა.

რაც მთავარია რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში" გატარებული ფილოსოფიური იდეები ეპოქის საერთო მსოფლმხედველობის გამომხატველია, კერძოდ: რუსთაველის შემოქმედებაში ასახულია იმ დროისთვის დასავლურ კულტურაში გავრცელებული და საქართველოში შემოქმედებითად ათვისებული ნეოპლატონურ-არეოპაგიტული თვალსაზრისები ღმერთზე, როგორც ერთზე, „მზიან ღამესა“ და „უჟამო ჟამს“, მისგან მომდინარე სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების არასუბსტანციურობაზე და სხვა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და მასში მოცემული მსოფლმხედველობრივი იდეები თავისი დროის ეპოქის შესაბამისია და თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც იმდროინდელ საერთო ვითარებას ჰქონდა დაყენებული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ნუცუბიძე, 1976: – ნუცუბიძე შალვა, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, შრომები, IV, „მეცნიერება", თბილისი.

ნუცუბიძე, 1980: – ნუცუბიძე შალვა, შოთა რუსთაველის შემოქმედება, შრომები, VII, „მეცნიერება", თბილისი.

ხიდაშელი, 1988: – ხიდაშელი შალვა, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბილისი.

ხინთიბიძე, 2009: – ხინთიბიძე ელგუჯა, რუსთაველის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბილისი.

Mikheil Makharadze
Doctor of Philosophical Science, Professor

Areopagetic Ideas in "The Knight in the Panther's Skin"

Summary

The article demonstrates aeropagetic philosophic ideas of the most important religious and philosophical teaching of Shota Rustaveli "The Knight in the Panther's Skin" created in the second half of 5th century.

The article convincingly demonstrates that from absoluteness and non-substance point of view of the kindness given in "The Knight in the Panther's Skin" like "sunny nights" and "timeless hour" concepts etc., stand close to ideology similar to aeropagetic teachings.

For more clearance the author critically discusses the ideas of Georgian scientists – Sh. Nutsubidze, Sh. Khidasheli and E. Khintibidze on the subject.

ნაილე მიქელაძე
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

სახარებისეული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი” ქართველების წმინდა წიგნია. სამთავროელი ღირსი ბერის, მამა გაბრიელის სიტყვებს თუ დავესესხებით: „რუსთაველის პოემა ახალი “ქებათა ქებაა სოლომონისა”. პოემის განხილვა, ისე როგორც ანტიკური და შუასაუკუნეების ლიტერატურის ყველა დიდი პოეტური ქმნილების შესწავლა სხვადასხვა პოზიციიდან ანუ სხვადასხვა ასპექტით შეიძლება მოხდეს. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ყოველთვის არაა სათანადოდ გააზრებული შუა საუკუნეების თეოლოგიის პროცესი. მსჯელობენ რა რუსთველის ქრისტიანობაზე და ვეფხისტყაოსნის ცალკეულ თეოლოგიურ სახეებსა და ტერმინებზე, პოემის ტექსტში ეძიებენ არა კონკრეტულად რუსთველის ეპოქის ქრისტიანობის ცალკეული გამოვლინების ანარეკლს, ანუ რუსთველის ეპოქის საეკლესიო თუ სხვა ინტელექტუალური წრეების წინაშე წამოჭრილი პრობლემების კვალს, არამედ ქრისტიანული თეოლოგიის დასაბუთებას ზოგადად ქრისტიანული არსის რაობისა და ქრისტიანული დოგმატიკის ფორმულირებას. პოეტის მსოფლმხედველობით პოზიციაში როგორც პიროვნების, პირადი ქრისტიანული აღმსარებლობისა, პოემაში არეკლილია ქრისტიანული თეოლოგიის პროცესის ის პრობლემები, რომლებიც აქტუალური იყო გვიანდელი შუასაუკუნეებისათვის, კერძოდ XI-XIII სს. *[ბიწითბიძე, 1993: 15].*

პოემის უნივერსალურობა და განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ბიბლიაში, ისე ამ ნაწარმოებშიც, ყველა ადამიანი საღმრთო სიბრძნესთან ერთად პოულობს თავისთვის შესაფერის გულის პასუხს და იქ ასახული მოვლენების სიღრმეს სწვდება თავისი ნიჭისა და უნარის შესაბამისად.

აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში "ვეფხისტყაოსანს" განიხილავდნენ, როგორც იგავს სოფლის შექმნის შესახებ, ადამიანის ცოდვით დაცემისა და კვლავ აღდგომის შესახებ. ნამდვილად "სამყაროს შექმნა" მოცემულია თავად ბიბლიაში, დაბადების წიგნში, რუსთაველი კი გვაძლევს მის მხატვრულ ინტერპრეტაციას.

პოემაში უხვად გვხვდება მხატვრულად გააზრებული ბიბლიური ციტატები. პოემის პროლოგი იწყება ღვთისადმი მიმართვით, რომელშიც მოცემულია ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნის ბიბლიური სურათის გააზრება:

"რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა" *[1.1]*[1].

საღვთო წიგნი ბიბლია ამოსავალი, საბირკველი, უმნიშვნელოვანესი წყარო არის "ვეფხისტყაოსნისთვის.

შდრ: "შექმნა ღმერთმან სამყარო..." *[დაბად. 1, 7].*

"ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა" *[1.2].*

შდრ. "შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად" *[დაბად. II, 7].*

"ჩვენ კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა" *[1. 3].*

შდრ: "აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას მთავრობდით თევზთა ზღვითასა და მხეცთა და ფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა ქუეყანასა ზედა" *[დაბად. I, 28].*

უფალმა შექმნა (მოგვცა) ზეციური და მიწიერი ქვეყანა – ნარჩენი და მრავალფეროვანი (უთვალავი ფერითა).

"მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა" *[1. 4].*

რომ მისგან ღვთისგან არის მოვლენილი ყველა ხელმწიფე ღვთიური (ღვთის მსგავსი) ხატით. (მიგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მისმიერითა).

---

[1] შენიშვნა: ნაშრომში გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის" ტაეპები დამოწმებულია წიგნიდან – *შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", გამ. „პალიტრა", 2012, თბილისი.*

შდრ: "არა არს ხელმწიფებაი, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი იგი არიან ხელმწიფენი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან" *[რომ. XIII, 1].*

ამქვეყნიური მეფობა ღვთიურ ზეუფლობას განასახიერებს. ღვთის შექმნილ სამი სკნელიდან ადამიანი სწორედ შუასკნელის მკვიდრად დასახა. ასევე მნიშვნელოვნია ის ფაქტიც, რომ ადამიანი ერთადერთია, რომელიც ღმერთმა საკუთარი თავის "ხატად და მსგავსად" შექმნა.

შდრ:"შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად"...

"ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა" *[2. 1].*

რუსთაველი ბრძანებს: ღმერთო, ერთოო. ასე სწამს ყოველ ქრისტიანს ღმერთი ერთია. ისაა სამყაროს შემოქმედი შემქმნელი ხატი (სახე) "ყოვლისა ტანისა". სამების ხსენების შემდეგ მიმართავს სამივე პირს (მამა ღმერთს, ძე ღმერთს და სულიწმინდას) ღმერთს არის ერთი "ჰე ღმერთო ერთო" ერთარსება და ამასთან სამება.

რელიგიური წარმოდგენით, ადამიანის უმთავრესი მოწოდება ამქვეყნად არის ის, რომ მუდმივად ესწრაფვოდეს ღვთაების მიმსგავსებას. სწორედ ამგვარი სწრაფვაა პიროვნების სრულქმნილების საფუძველი.

შდრ: "იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს" *[მათე, 5, 48].*

ღვთით მიმსგავსებულობა ადამიანური სრულქმნილების საფუძველია. ვეფხისტყაოსნისეული სიყვარული სრულქმნილებისაკენ სწრაფვის უმთავრესი იმპულსია. უსიყვარულოდ ადამიანი შორდება ღვთაების ხატებასა და მსგავსებას და, მაშასადამე, საკუთარ ჭეშმარიტ ბუნებასაც კარგავს *[მურღულია.., 1992: 159].*

უფალმა ყველა სულიერი და უსულონი სწორედ დიდი სიყვარულით შექმნა და დალოცა. შესაძლებელია, უფალმა, სწორედ საკუთარ არსებაში დაუტეველი სიყვარულის გამო შექმნა ქვეყანა.

რუსთველისათვის ბუნებაში ყველაფერი წარმავალია, სიკეთისა და სიყვარულის გარდა.

"ბრძენთა უთქვამთ სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომა" *[1530, 4]*.

"როდესაც ღვთისმეტყველებაში საუბარია ღვთისაგან გამომავალ სიყვარულზე, რომელიც მიემადლება ადამიანს, ყოველთვის იგულისხმება სულიწმიდა"...წმინდა მამათა გაგებით, სულიწმინდა არის სუბსტანციური სიყვარული, ღმერთი სიყვარულის ასპექტში, როგორც შესაქმის, ასევე კაცობრიობის ხსნის პროცესში. სულიწმიდისაგან მომდინარეობს, როგორც ღვთის სიყვარული ქმნადობისადმი, ასევე ქმნადობის სიყვარული ღვთისადმი *[გამსახურდია, 1991: 118]*.

"ვეფხისტყაოსანში" მარადიულ ქრისტიანულ სიყვარულზეა საუბარი. ღმერთი ხომ თავადაც სიყვარულია. სიყვარული ქრისტიანული აღმსარებლობისა და მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია:

"წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ?
[782. 1].

ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ *[782, 2]*.

"სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეჯვანნი ამას ჟღერენ..."
[782, 3].

ეს სტროფი მთლიანად ეხმიანება ქრისტიანული რწმენისა და აზროვნების უდიდესი მქადაგებლის წმინდა პავლე მოციქულის სიყვარულის ამაღლებულ საგალობელს: "...სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურს, არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებს თავისასა, არა განრისხნის, არა შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებისა თანა, ყოველსა თავს-იდებს, ყოველი ჰრწამნ, ყოველთა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდის, წინაისწარმეტყველებანი გან-ვე-ქარდენ, გინა თუ ენანი და-ვე-სცხრენ, გინა თუ მეცნიერებანი გან-ვე-ქარდენ" *[1*

კორინთელთა 8,1] სიყვარულის აღშენება" სულიერ ამაღლებას, განახლებას, სიკეთით ავსებას ნიშნავს.

იოანე ღვთისმეტყველი გვასწავლის "ღმერთი სიყვარული არს *[იოანე 4,8].*

განა უფალმა დიდი სიყვარულით არ შექმნა სამყარო... განა მაცხოვარმა ადამიანებისთვის არ ეცვა ჯვარს...

და მართლაც... ღვთის ნება პირველადი და უზენაესია...მისი შეცვლა არცეთ ძე ხორციელს არ შეუძლია... ღვთის კანონსა და ნებას ვერავინ გაექცევა:

"უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების *[188, 3].*

განგებასა ვერვინ შეცვლის, არ-საქმნელი არ იქნების" *[188, 4].*

"რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების" *[784, 1].*

"არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა" *[786, 4]*

"...არ თუ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების"

შვდ: "ვინაიდან ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძლებელი *[ლუკა 1, 37].*

უფლის რწმენა მორწმუნეს ყველაფერს შეაძლებინებს:

"ვინ დამბადა შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად *[783, 1]*

ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად *[783, 2].*

ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკდავი ღმერთი ღმერთად *[783,3].*

იგი გახდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად" *[783,4].*

პოეტი არამარტო ეხმიანება სახარებისეულ შეგონებებს, არამედ სულით-ხორცამდე იზიარებს მას. უფალი უხილავი უკდავი ძალაა, ყოველთა მიწიერთა შემწე, ყოველივეს შემომსაზღვრელი, საზღვართა დამწესებელი (არსთა გამმოუკვნელი) იგი თვალის დახამხამებაში (წამისყოფით) ქმნის სამყაროს მრავალფეროვნებას (გახდის...ერთსა ასად, ასსა ერთად).

"საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების *[696, 1].*

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების *[696,2].*

აქამდის ჭირი ჩემზედა, აწ ესე ლხინი უძღვების *[696, 3].*

რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების *[696, 4].*

შად: ესე ყოველი ცხოვრებაი, ვითარცა ყუავილი ველთაი, წარმავალ არს და დაუდგრომელ, ვინა, სთესა, მოიმკო, და ვინ განაბნია შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳის, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი...

პროლოგში, ასევე მოცემულია რუსთველისეული გაგება ღვთისმეტყველებისა და მხატვრული ლიტერატურის ურთიერთმიმართების შესახებ. მისი აზრით, სიტყვიერი ხელოვნება, შაირობა სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. რაკიღა შაირობა სიბრძნის დარგია, სამყაროს წვდომის საშუალებაა, ბუნებრივია ის "საღმრთოა", იმიტომ რომ სამყაროს წვდომა მოიაზრებს ღვთის წვდომასაც. რა თქმა უნდა, ღვთის წვდომა "მსმენელთათვის დიდი მარგია". მათთვის პოეზიის მიწიერი მნიშვნელობაც საამო და სასარგებლოა *[მურღულია.., 1992: 155].*

"შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი *[12, 1].*

. საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგ *[12,2].*

კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი *[12, 3].*

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი" *[12, 4].*

რუსთველისათვის შაირობა, პოეზია საღვთო ინტერპრეტაციის ობიექტია.

პოეტის რელიგია ქრისტიანობაა. იგი XII საუკუნის ქრისტიანული ქართული სახელმწიფოს მკვიდრი და აპოლოგეტია. აღიარებს უფლის არსებობასა და სულის უკდავებას იცნობს და ეყრდნობა ქრისტიანობის პირველწყაროს ბიბლიას...ის ხსირად ემყარება ბიბლიურ სიბრძნეს, ესესხება ბიბლიურ სახეებს: ავთანდილი როსტევან მეფეს ანდერძში შეახსენებს:

"არ დავიწყება მოყვრისა არდეს გვიზამს ზიანსა *[789, 1].*

ვგმობ კაცსა კაცსა აუგიანსა ცრუსა და ღალატიანსა *[789, 2].*

სახარებაში ვკითხულობთ: ფარისეველები ბუზღუნებდნენ "ცოდვილებს ღებულობს და მათთან ჭამსო" – მაცხოვარი მიმართავს: რომელიმე თქვენგანს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი დაეკარგოს, განა არ დატოვებს ოთმოცდაცხრამეტს უდაბნოში და არ წავა დაკარგულის საძებრად, ვიდრე არ იპოვის ერთს? *[მათ. 18, 12].*

შესაბამისად, ავთანდილი ტოვებს არაბეთის მხედრიონს და მიდის გზააბნეული ტარიელის გადასარჩენად...

შდ: უფალი ბრძანებს: "მეტი სიხარული მაშინ იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ ოთმოცდაცხრამეტი მართლის გამო, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ" *[მათ. 18, 12].*

ვაჟკაცის, ადამიანის მთავარი მისია გაჭირვებულთა დახმარება, ჭირში მყოფი მოყვასის გადარჩენაა..."

როსტევან მეფეს ავთანდილი ანდერძში წერს:

"რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა წასვლა გვიანსა" *[790,1].*

"კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა" *[780, 2].*

შდ: სიყუარულმან მოყუასსა თჳსსა ბოროტი არა უყჳის *[რომ. 13,10].*

" სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" *[780, 4].*

"რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა„ *[781, 1].*

შდ: რამეთუ რომელსა ჰნებავს სიყუარული ცხორებისაჲ და ხილვად დღენი კეთილისანი, დააცხრვენ ენაჲ თჳსი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყჳედ ზაკუჳასა *[1 პეტრე 3, 10].*

" თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა„ *[872, 4].*

შდ: კაცად-კაცადი განიცადების თჳსისაგან გულის-თქუმისა *[იაკ. 1, 14].*

ავთანდილი ღვთაებრივი ბუნების გამო, შესძლებს საკუთარი ბედნიერება უარყოს მოყვასის სასარგებლოდ:

"ზამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად *[580, 3].*

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად" *[581, 4].*

სწავლა, ცოდნა ურგი და უსარგებლოა, თუ მას პრაქტიკული საქმეები არ ახლავს:

"არა ვიქმნ ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა *[781, 3].*

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა *[781, 4].*

შვდ: "არავინ აღანთის სანთელი და შედგას იგი ქუეშე გვიმრსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაითა ნათობდეს ყოველთა" *[მათ. 5. 15; ლუკ. 11, 33].*

მაცხოვარი შეახსენებს მოციქულებს: "მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ ლელვის ხეს: აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, გაგიგონებდათ" *[ლუკა 15, 7].*

"ვეფხისტყაოსანი" მხატვრული პირობითობის ენაზე ასახავს ღვთაებრივი სიბრძნის ძირითად იდეებს ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისათვის დამახასიათებელი ფორმით.

რუსთველი პირდაპირ ასახელებს დიონისე არეოპაგელს, რომელსაც ეყრდნობა სიკეთისა და ბოროტების საკითხის გარკვევისას, ფსევდო-დიონისეს აზრით, არსი მხოლოდ სიკეთეს აქვს, რადგან ის იბადება მარადიულად ღვთისაგან. ის არის თავად ღვთაება.

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია *[1348, 4].*

სძლე კეთილითა მით ბოროტსა მას *[რომ. 12, 21].*

"ვეფხისტყაოსანი" მხატვრული პირობითობის ენაზე ასახავს ღვთაებრივი სიბრძნის ძირითად იდეებს, ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისათვის დამახასიათებელი ფორმით.

ავტორის მიზანია, კაცობრიობის სულიერი განვითარების სხვადასხვა გზის შეერთება ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე.

"ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოველთა მიწიერთად" *[78, 2].*

შვდ: არა თუ ღმერთი ვის უხილავს *[იოანე 6, 46];*

ნათელსა მყოფ არს მიუწდომელსა, რომელი არავინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ჴელეწიფების *[1 ტიმ. 6,16].*

"ღმერთო, ღმერთო მოწყალეო *[802, 1].*

ღმერთო, ღმერთო, გეაჯები *[801, 1].*

"ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე *[802, 1].*

შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე *[802, 2].*

შვდ: შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი *[ფსალმ. 144, 8].*

უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო *[800, 3].*

შვდ: ძლიერმან მეუფემან მეუფეთამან და უფალმან *უფლებამან [1 ტიმ. 6,15].*

ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით, კაცობრიობისთვის ღმერთი დაფარულია მას შემდეგ, რაც ცოდვით დაცემის შედეგად ადამიანმა დაკარგა სამოთხე, ღვთის ჭვრეტის უნარი. ამიტომ ღვთის არსი მიუწვდომელია, მისი ძიება მრავალ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალი აღთქმა, სახარება, მთლიანად აგებულია იგავური, ანუ ალეგორიული მეტყველების პრინციპზე. ალეგორიული თხრობა და სიმბოლიკა საღვთო წერილისა შუასაუკუნეთა ქრისტიანულ ლიტერატურაში იქცევა კონვენციურ სახეებად *[გამსახურდია, 1991: 59].*

რუსთველის პოეტურ მეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უზენაესის (ღვთაების) გამოხატვის თემას. ქრისტიანული რელიგია, სწორედ სიყვარულს, სიკეთესა და მიმტევებლობას ქადაგებს.

ამ ქვეყნად არსი მხოლოდ სიკეთეს აქვს, რადგან ის იბადება მარადიული ღვთისაგან. ის არის თავად ღვთაება. ბოროტება ღმერთს არ შეუქმნია " და ბოროტსა არ დაბადებს", ამიტომ მას არსი არა აქვს. სიკეთე მარადიულია, ხოლო ბოროტება დროში შეზღუდულია. სიკეთე ყოველთვის დაამარცხებს მცირე ხნით აღზევებულ ბოროტებას – ეს გარდაუვალია *[მურლულია.., 1992: 190].*

სიკეთის გარდაუვალი გამარჯვების რწმენა პირდაპირ გამომდინარეობს ქრისტიანული სარწმუნოებიდან, სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე ღვთაებრივი ნებითა და ბედისწერითაც გარდაუვალია. ყოველივე, რაც კი ხდება, უფლის ნებით და შეწევნით ხდება.

და მართლაც, "ვეფხისტყაოსანი" ქართული ეთიკისა და ესთეტიკის ქვაკუთხედია. მსოფლმხედველობითი აზროვნების კრედოა.

ნაშრომის საკვლევი თემა, სწორედ სახარებისეული იგავებისა და რუსთველისეული აფორიზმების შედარება-ანალიზია. "ვეფხისტყაოსნის" ტროპული მეტყველების სპეციფიკა და დანიშნულება, სიმბოლოებისა და ალეგორიების მნიშვნელობა ქართველოლოგთათვის შეუფასებელი საგანძურია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლია, 1989: – ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.

გამსახურდია, 1991: – გამსახურდია ზვიად, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", გამ. „მეცნიერება", თბილისი.

მურლულია..,1992: – მურლულია, ალიბეგაშვილი, მაღლაფერიძე, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, გამ. „განათლება", თბილისი.

ხინთიბიძე, 1993: – ხინთიბიძე ელგუჯა, „შუასაუკუნოებრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში", გამ. „თბილისი", თბილისი.

რუსთაველი, 2012: – რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი", გამ. „პალიტრა", თბილისი.

Naile Mikeladze
PhD in Philology, Professor

Gospel Motives in "The Night in Tiger's Skin"

Summary

In the scientific literature of Rustaveli studies the theological process of Middle Ages is not always properly considered. Besides the ideology of the poet, the poem performs the problems of Christian Theology, which were of current importance for the late Middle Ages. There are a plenty of artistically considered quotations from Bible in the poem.

Comparison and analysis of the parables and aphorisms of Rustaveli are the main investigating goals of the work. The specific metaphorical speech and its function, the importance of symbols and allegories are invaluable treasure for the scientists of Georgian studies.

ტარიელ ფუტკარაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ტრადიცია და ქალის თავისუფალი ნება „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტში (გენდერული დისკურსი)

„ვეფხისტყაოსანში” ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ არაერთხელ დაიწერა, მაგრამ ჩვენ მიზნად დავისახეთ „ვეფხისტყაოსნის” ტექსტის ანალიზი XXI საუკუნეში აქტუალური გენდერული თანასწორობის კონტექსტით; კერძოდ, შევეცდებით სათანადო ციტირებებით წარმოვაჩინოთ, რომ ტრადიციის არსებობის ბაზგასმის მიუხედავად, XII საუკუნის საქართველოში შოთა რუსთველი ცდილობს, წინა პლანზე წამოსწიოს ქალის თავისუფალი ნება, მეტიც, არაერთ ეპიზოდში ქალს მამაკაცზე ძლიერ და აქტიურ ადამიანად წარმოაჩენს. XII საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში სხვაგან არ გვაქვს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასე გამოკვეთილი, მრავალწახნაგოვნად დაბალანსებული და არგუმენტირებული კონცეფცია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არსებობს სხვა მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ძლიერ, თავისი ნების აღმასრულებელ პიროვნებებად ასე მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ქალთა მთლიანი სპექტრი. შოთა რუსთველის კონცეფცია შორს დგას როგორც მატრიარქატის მემკვიდრეობისაგან, ასევე, პატრიარქატისაგან; XII საუკუნეში მცხოვრები ქართველი შემოქმედის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ არგუმენტირებულად, დამაჯერებლად დახატოს ქალისა და მამაკაცის ჰარმონიული წყვილობა – სრული თანასწორობა.

შოთა რუსთველის „გენდერული კონცეფცია"[1] ჩვენს ნაშრომში რამდენიმე წახნაგადაა განხილული:

- XII საუკუნის ქალი არა მხოლოდ თავისუფლად აზროვნებს, არამედ თავისუფლად ლაპარაკობს თავის განცდებსა და გრძნობებზე; ქალი პერსონაჟები (მამაკაცების მსგავსად!) თავს განიხილავენ სამყაროს ცენტრში (რენესანსის უპირველესი ნიშანი) და უკომპლექსოდაც მოქმედებენ;

- ქალის ნება უფრო მყარია, ვიდრე – მამაკაცისა;

- ტრადიციულად ვაჟია მეფის მემკვიდრე, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" ასულიც ძედ იწოდება; ასულიც მეფის მემკვიდრეა;

- სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფი ქალიც კი შეიძლება იყოს მამაკაცის მეგობარი, და, დობილი;

- „ვეფხისტყაოსანში" ქალია მამაკაცისთვის დავალების მიმცემი; ქალი უპირატესია თანასწორ წყვილში[2];

---

[1] ბუნებრივია, ტერმინი "გენდერი" მაშინ არ არსებობდა, მაგრამ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის გააზრებული კონცეფცია ნამდვილად რომ ჰქონდა შოთა რუსთველს, ამას ნათლად წარმოაჩენს ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი ციტირებები და ჩვენეული ანალიზი.

[2] შდრ., ნესტანისა და თინათინის "ვარსკვლავური თანასწორობის" შესახებ მსჯელობა: "ვ. ნოზაძე „ვეფხისტყაოსანში" ვენუს-ასპიროზ-ცისკრის გამოყენებას დროის აღმნიშვნელად სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლოდ მიიჩნევს. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ რუსთველის მიერ ასპიროზ-ცისკრის ვარსკვლავის მოხმობა ნესტან-თინათინის სწორფერობის ჩვენებას ემსახურება, რასაც მეფექალთა არა მარტო ხორციელი ბუნება, სულიერი თანაზიარობა ქმნის და შინაგანი სამყაროს სისავსეობის მიმანიშნებელია" /ნ. გონჯილაშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ასტრალური სიმბოლიკის ერთი ასპექტი (ნესტანისა და თინათინის სახეთა მიმართებით/; რუსთველოლოგია, 2008-2009 №5; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-------0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.34&d=HASH0101 c86e9ecfc999ef0ece9d.1&gt=1; "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა ხასიათების ანალიზისათვის იხ., აგრეთვე: ვ. ნოზაძე, "ვეფხისტყაოსნის" ვარსკვლავთმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე: 1957; ალ. ბარამიძე შოთა რუსთველი. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემ-

- ქალის ნების აღმკვეთად არასოდეს გვევლინება მამაკაცი; ასეთ სისასტიკეს ისევ ქალი ჩადის.

- ტრადიციის მიხედვით, მამაკაცთან საუბრისას ქალი მორიდებული უნდა იყოს; როგორც წესი, ქალები ამ ტრადიციას არ იცავენ;

- ტრადიციულად, ქალი თხოვდება; "ვეფხისტყაოსანში" კი ორჯერ ხდება ქალის მიერ მამაკაცის შერთვა – ორჯერ თხოვდება მამაკაცი ქალზე...

მოკლედ თითოეულის შესახებ:

1. ავტორის აზრით, ტრადიციის მიხედვით, ქალს მამაკაცის წინაშე კრძალვა მართებს, მაგრამ მამაკაცისადმი რიდს არ უნდა შეეწიროს ქალის თავისუფალი ნება; ქალი არ უნდა დაიტანჯოს მამაკაცისადმი კრძალვის გამო და თავისი ნება უნდა განახორციელოს; საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოხატოს თავისი გრძნობები დ განცდები; ფაქტია: "ვეფხისტყაოსანში" სულ ოთხჯერ გვაქვს სიყვარულის ახსნა; ოთხივე ეპიზოდში სიყვარულის გამჟღავნების ინიციატორია ქალი; ოთხივე ქალმა იცის, რომ ქალს მამაკაცისადმი კრძალვა მართებს, მაგრამ ოთხივე არღვევს ტრადიციას და სიყვარულს პირველი აცხადებს; ოთხივე შემთხვევაში

ლობა, 1975; ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ვეფხისტყაოსანში. თბ. 1993, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, / Medieval and Renaissance Trends in Rustaveli's Vepkhistqaosani (The Man in the Panther's Skin), Tbilisi, 1993; ე. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბ. 2009; ე. ხინთიბიძე, რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი* და ევროპული ლიტერატურა, ლონდონი, 2011 / Rustaveli's *The Man in the Panther Skin* and European Literature, London, Bennett and Bloom", 2011; ბ. დარჩია, კომიკური ვეფხისყაოსანში, რუსთველოლოგია, 2008-2009 №5; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1---0-10-0---0---0direct-10---4------0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.34&d=HASH0101c86e9ecfc999ef0ece9d.1&gt=1; მ. გვაზავა, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები, ქუთაისი, 2015...

საპასუხო სიყვარულით თუ გარკვეული გათვლებით მამაკაცი დაჰყვება ქალის სიყვარულს/თუ საამიკო შემოთავაზებას/.

სიყვარულის ახსნის ოთხივე შემთხვევის ერთნაირად გადაწყვეტა ავტორის კონცეპტუალური გეგმის განხორციელებაა; ავტორის თეზა ასეთია: ქალის თავისუფალი ნება უფრო მეტია, ვიდრე ტრადიცია; შდრ., კონკრტული შემთხვევები:

1.1. ნესტანი:

ნესტანი ტარიელს თამამად უმხელს სიყვარულს, მიუხედავად იმისა, რომ იცის, დედაკაცს მეტი „რიდი ჰმართებს":

(412) თუცა ჰმართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა,
მაგრა მეტი უარეა არა-თქმა და ჭირთა მალვა:
მე თუ ზე-პირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა;
ძოღან ქალი გამოვგზავნე, ვქმენ მართლისა შემოთვალვა.

1.2. თინათინი:

თინათინი ავთანდლს ღიად ეუბნება:

(129) აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია,
ვიცი, რომე გაუწყვედლად თვალთათ ცრემლი გისეტყვია,
და შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.

(131) "შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამსხნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე.
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,
და მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე.

1.3. ასმათი:

ტარიელის აღქმაში თავდაპირველად ტარიელს ასმათი უბსნის სიყვარულს და ტარიელიც ქალის (ასმათის) ნებას დაჰყვება (მოგვიანებით გაიგებს, რომ სინამდვილეში ასმათი თამაშობდა შეყვარებულის როლს);

შდრ., ასმათის სააშიკო წერილი ტარიელისადმი და ტარიელის ფიქრი:

(359) "მონააო ასმათისი". – "რა იცისო?", ვარქვი, ვჰკითხე.
შემოვიდა, სააშიკო წიგნი მომცა, წავიკითხე;
გამიკვირდა, სხვად ვითამცა ვქმენ გულისა მწველთა სითხე?
მისგან ეჭვა არა მქონდა, სევდად მაწვა გულსა მით ხე.

(360) მე გამიკვირდა: "სით ვუყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა?
მიუყოლობა არ ვარგ-ა, დამწამებს უზრახობასა,
ჩემგან იმედსა გარდასწყვედს, მერმე დამიწყებს გმობასა".
დავწერე, რაცა პასუხად ჰმართებდა აშიკობასა.

1.4.ფატმანი:

ფატმანი უხსნის სიყვარულს და ავთანდილი დაჰყვება მის სურვილს:

(1082) ფატმან ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა,
სიყვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა.
დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ჭირთა ვერ ჰმალვიდა,
იტყვის: "რა ვქმნა, რა მერგების?" – აწვიმებდა, ცრემლთა ჰღვრიდა.

(1083) "შიღმა ვუთხრა, ვა თუ გაწყრეს, შეხედვაცა დამიძვირდეს!
თუ არა ვთქვა, ველარ გავსძლებ, ცეცხლი უფრო გამიხშირდეს.
ვთქვა და მოვკვდე, ანუ დავრჩე, ერთი რამე გამიპირდეს;
მას მკურნალმან ვერა ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს".

(1084) დაწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,
მისისა მოკნურობისა, მისთა პატიჟთა მცნეველი,
მისთა მსმენელთა გულისა შემძრველი, შემარყეველი,
უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი...
ავთანდილის პასუხში ხაზგასმულია ქალის ნებაც:

(1095) მიუწერა: წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება,
შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება:
შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვედლად შენი ხლება,
შეყრა არის პირიანი, ორთავეა რათგან ნება.

2. საკუთარი ნების გამოვლენის თვალსაზრისით "ვეფხისტყაოსანში" ტერმინ "ქალით" აღნიშნული ადამიანი უფრო პრინციპულია (სულ სხვა წახნაგითაა განხილული "დიაცი" ლექსემით მონიშნული ქალის არსი; ამაზე სხვაგან გვაქვს მსჯელობა), ვიდრე მამაკაცი; მამაკაცი კარგი მებრძოლი და კარგი სტრატეგია, მაგრამ ქალი უფრო ძლიერი პიროვნებაა, ქალი მამაკაცზე უფრო "უტეხია": ყოველთვის ქალს თავისი გააქვს; კერძოდ:

2.1. თინათინის ნების სიმყარე:

ავტორმა გადაწყვიტა, რომ ტარიელის ძებნის მიმართულებით უფრო მყარი პოზიცია ქალს (თინათინს) ჰქონოდა, ვიდრე - მამაკაცს (როსტევანს): თინათინი მამაზე უფრო პრინციპულია: მან მამა დააჯერა, რომ "უცხო მოყმე" არ არსებობდა ("უშობელი", ეშმაკეული" - "ეშმაკისა სიცუდე და სიბილწე" იყო!), მაგრამ თავად აქვს სურვილი, იპოვოს:

თინათინი ავთანდილს:

(128) გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა?
მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხო-ცა,
და შენ გენუკეც მონახვასა, კიდით კიდე მოჰლახო ცა.

(131) "შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამსხნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე.
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,
და მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე.

(132) სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებნარი;
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბნარი;

ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურე უჩინარი;
და კოკობი და უფურჩქნელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი.

2.2. ნესტანის ნების სიმყარე:

შოთა რუსთველმა ნესტანის გათხოვების ეპიზოდში ყველაზე პრინციპულ პიროვნებად, თავისი ნების მქონე თავისუფალ ადამიანად, ნესტანი წარმოაჩინა (უფრო პრინციპული, ვიდრე ტარიელი):

ტარიელი თავიდან ემორჩილება გადაწყვეტილებას:

(552) მოედანს დავდგით კარვები წითლისა ატლასებისა.
ოვიდა სიბე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა,
შეიქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა,
დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა.

ნესტანი სასტიკია სასიბოს წინააღმდეგ:

(542) მიბრძანა, თუ: "ხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად,
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად:
რა მოვიდეს სიბე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად.
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

ნესტანი ასევე მკაცრია ტარიელის მიმართ, რომელსაც ასმათის "ვაჭილობაც" ვერ შველის:

(554) ცხენისაგან არ გარდავხე, წავე ფიცხლა, დავჰმორჩილდი;
ქალი დამხვდა ნატირები, ვჰკითხე: "ცრემლსა რასა
ჰმილდი?"
მითხრა: "შენი შესწრობილი ტირილსამცა ვით ავსცილდი?
გაუწყვედლად ვით გამართლო? რაგვარადმცა გავვაჭილდი?!"

2.3. დავარის ნების შეუვალობა:

დავარის სასტიკი გადაწყვეტილება მისი, როგორც პიროვნების შეუვალობა მეტყველებს:

(581) მან უთხრა: "წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია;
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია";
მათ გაეხარნეს, ხმა-მაღლად იყივლეს: "იპი, იპია".
ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია.

(582) ზღვითკე გაარნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა.
დავარ თქვა: "მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და-!
ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა".
დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა.

2.4. ასმათის ნების სიმყარე:

ავთანდილი ცდილობს, ძალით ათქმევინოს ასმათს; ბოლოს ხვეწნაზე გადადის:

(238) კვლაცა ჰკითხა ზენარობით მიუყარნა მუხლნი წინა,
მაგრა ვერა ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეწყინა,
პირსა ზედა გაგულისდა, თვალთა სისხლი მოედინა,
და ადგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჯინა.

(240) ქალმან უთხრა: "ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:
თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი.
რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი?
და კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედან
თავი".

(242) ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია,
მით რომე დამხსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია;
ჩალად მიჩს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემიწონია.
და ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი
მისანდონია?"

(243) ყმამან თქვა, თუ: "არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა,
სხვასა რასმე მოვიგონებ, სჯობს საქმისა გამორჩევა".
გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა,
და ქალსა უთხრა: "გაგარისხე, აწ, ესე თქვი, ვით დავრჩე, ვა!"

ავტორს შეეძლო ამ ეპიზოდში მაინც დაეშვა ქალის სისუსტე, მაგრამ აქაც მთავარი სტრატეგიული ხაზი უცვლელია: მონა ქალსაც კი ძალით ვერ იმორჩილებს მამაკაცი; ავთანდილი მხოლოდ ტირილით შეძლებს მის დაყოლიებას – "ნიბელუნგების მითშიც" კი არ არიან ასეთი ძლიერი ნებისყოფის ქალები.

3. ტრადიციულად, ვაჟია მეფის მემკვიდრე და ძე; ვეფხის-ტყაოსანში ქალიც მემკვიდრეა და ბედად იწოდება; ქალი მეფე ხდება არა მხოლოდ ერთ გამონაკლის, არამედ ყველა შესაძლო შემთხვევაში: არაბეთში, ინდოეთში, ქაჯთა სამეფოში:

3.1. თინათინი:

(39) თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია".
როსტევანი თინათინს საკუთარ ძეს უწოდებს:
(118) მეფე ბრძანებს: "მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო,

3.2. ნესტანი:

ნესტანიც მეფედ, ხელმწიფედ, ბედ ივარაუდება:
(476) აწ მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული:
რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელ-დებული,
ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა დღე, ედემს ხლებული,
გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამხვდით, მოვალ შვებული".

ნესტანი ძეა:

(514) გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოელი;
შესთვალეს: "გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოელი;
არს ერთი ქალი სამეო, არ კიდე-გასათხოელი,
თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი".

ნესტანი ტარიელს:

(537) არ დავიჯერებ მე შენსა ღალატსა, ორგულობასა,
უარის ქმნასა ღმრთისასა, ამისთვის არ მადლობასა;
იაჯდი თავსა ჩემსა და მორჭმით ინდოეთს ფლობასა!
მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა".

3.3. დულარდუხტს ხელმწიფეს უწოდებს ავტორი (და არა – დედოფალს):

(1221) დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია,
ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია;
მას უსხენ წვრილნი ძმის-წულნი: როსან და ერთი როდია,
და აწ იგი ქაჯეთს ხელმწიფედ ქვე ზის, მორჭმული სწოდია.

4. შოთა რუსთველის მიერ დახატულ ორივე მთავარ წყვილში დავალების მიმცემი ქალია; შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანასწორ წყვილში ქალი უპირატესია; შდრ:

4.1. ნესტანი დავალებასაც აძლევს ტარიელს, როგორც ქალი მამაკაცს (და არა როგორც მეფე/დედოფალი – ყმას):

(378) შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მნდომია,
მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია,
ძოღან ხელ-ქმნილსა გიჭვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია,
მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია.

(379) მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე:
წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე;
გიჯობს, ცუდად ნუღარა სტით, ვარდი კვლამცა რად დასტენე?
მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე!"

4.2. თინათინიც მსგავს დავალებას აძლევს:

(130) ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად,

მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
და წა და იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.

5. ქალი, სოციალურ იერარქიაზე დაბლა მდგომიც კი, მამაკაცის თანასწორი, მეგობარი და და არის:

5.1. ასმათი – ტარიელის ღირსეული მეგობარი და დაა:

(734) მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა,
მუნვე დარჩა, დათმობაცა მას თანავე დაება, და-;
რათგან დასწვავს მოახლეთა, ღმერთსა მზედცა დაებადა,
მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო დაებადა.
(584) მე ვუთხარ: "დაო, რად მოგკლა, ანუ რა შენი ბრალია?
რამცა ვქმენ ნაცვლად, თვით რომე მისი ჩემზედა ვალია!
(380) ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალვოდა;
ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ, ლხინი რად დამეთვალვოდა!
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მემალვოდა;
მით პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალვოდა".

5.2. ასმათი – ავთანდილის და:

ავთანდილი

(249) იტყვის, თუ: "ამა სიტყვითა მას ფერი შეეცვალების,
ვისთვისმე ხელი უცილოდ, მას ცრემლი ემალმალების".
კვლა უთხრა: "დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალების;
და ესეცა იცი, სიკვდილსა თვით ეძებს, არ ეკრძალების.
(250) ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად;
ჩემმან მზემან გამოიგზავნა საძებარად იმა ყმისად;
ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე მისრულვარ სადა, მი-, სად!
და გული თქვენი მიპოვნია, მისი შენდა, შენი მისად.
(845) ყმა დაჭმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა;
ქალსა ეტყვის: "აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა!
იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუვე, ვით მეცრუა?
ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!

5.3. ფატმანი – ტარიელის და:

უკვდავ ქმნილებაში გაორებულ აშიკ ქალში ჯერ მიჯნურისათვის დამახასიათებელი განცდები იმარჯვებს (მიჯნურობამდე ამაღლდება), შემდეგ კი სოციალურად მაღლა მდგომი კაცის – ტარიელის – დადაც იწოდება:

(1443) ტარიელ ფატმანს უბრძანა: "მე თავი შენი მიდია;
დავ, ვალი შენი ჩემზედა გარდაუხდელი, დიდია;
აწ რაცა ქაჯთა საჭურჭლე ქაჯეთით ამიკიდია,
და მომიცემია, წაიღე, არ კიდე მომიყიდია".

5.4. ქალი და მამაკაცი ორივე ადამიანია; შდრ., მდედრი და მამრი ლომები: ლეკვი, ჭაკია თუ ხვადი, რომ გაიზრდება, ლომი იქნება: ოღონდ, მდედრი ლეკვისგან მდედრი ლომი გაიზრდება, მამრი ლეკვისაგან კი – მამრი ლომი:

(39) თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ბუ იყოს, თუნდა ხვადია"[3].

არამხოლოდ მეფის ასული, არამედ ასმათიც ლომის ლეკვსაა შედარებული:

(999) ქალი მარტო ქვაბსა შიგან ზის მტირალი, ცრემლ-ნაწთომი;
ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკვსა ვითა ლომი,
მიართვამს და აგრე არჩენს იგი ერთგან ვერ-დამდგომი,
მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი.

5.5. ტარიელისათვის ავთანდილი და თინათინი ერთნაირად არიან ძმა და და:

---

[3] შდრ.: წარმოდგენილი აფორიზმი ზოგს არასწორად ესმის და ფუნქციურად ათანაბრებს ქალსა და მამაკაცს; ეს აფორიზმი ასე უნდა გავიგოთ: ქალი ქალია, კაცი კაცია, მაგრამ ორივე ადამიანია.

(1548) ტარიელცა უთხრა ქებით იმედისა გათავება;
ქალსა ეტყვისა: "შემიყრიხართ, აღარა გწვავს ცეცხლთა დება,
ქმარი შენი ძმაა ჩემი, მწადს ეგრევე შენი დება,
და ორგულთა და შემცილეთა თქვენთა მე ვქმნა გაფლიდება".

6. ტრადიციის მიხედვით, ქალი მამაკაცთან საუბრისას თავშეკავებული უნდა იყოს, მაგრამ შოთა რუსთველისეული ქალები ამ ტრადიციასაც არღვევენ:

6.1. ასმათი თავიდანვე სიცილით ელაპარაკება ტარიელს:
(407) ვითა მმართებდა, ეგზომი რამცა ვით გავიხარეო!
შეღამდა, წავე, ბაღისა მე კარი შევიარეო;
სად ასმათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო,
სიცილით მითხრა: "წამოვლე, მოგელის ლომსა მთვარეო".

6.2. ფატმანი პირველივე შეხვედრაზე მხიარულად ხვდება ავთანდილს:
(1076) ფატმან, ცოლი უსენისი, გაეგება კართა წინა,
მხიარულმან უსალამა, სიხარული დაიჩინა;
ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდეს და დასხდეს შინა;
ფატმან ხათუნს მოსლვა მისი, შე- ვით -ვატყვე, არ ეწყინა.

6.3.ნესტანის მრისხანება ასეა აღწერილი:
(522) ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
ასმათთან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული;
მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.
(523) მიბრძანა: "მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა?!
მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი, ცისა!"
ვჰკადრე: "რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უვიცისა?"

6.4. ქალები თამამნი არიან უცხო კაცის დანახვის შემთხვ - ვაშიც:

(1075) ზარი გახდა, შემოაკრბეს ქალაქისა ერნი სრულად,
იქით-აქათ იკრებოდეს: "ვუჰვრიტოთო ამას რულად!"
ზოგნი ნდომით შეჰფრფინვიდეს, ზოგნი იყვნეს სულ-
წასრულად;
მათთა ცოლთა მოიძულვნეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად.

6.5. მიუხედავად იმისა, რომ ტარიელი რეალური მეფეა, ფარ- სადანის მეუღლეს, ინდოეთის დედოფალს, დიდი გლოვის დასრუ- ლებისა და მხიარულების დაწყების ბრძანება შეუძლია:

(1632) ადგეს და ქალაქს შევიდეს, თვით გარდახდეს სრასა მათსა;
ერთსა ბრძანებს დედოფალი, მართ სიტყვასა ვითამ ათსა:
"ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი, ვერ დაგვცემენ ყოლ
შამათსა,
და ამად შევიქმ სიხარულსა მართ გულისა საკამათსა".

(1633) უბრძანა: "გლოვა გახსენით, ქოს-ნინწილასა ჰკარითო,
დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენით კარითო;
ნახლები თქვენი ოქროსა სარტყლითა მოიკარითო,
და იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი აწანწკარითო".

7. ტრადიციულად, მამაკაცი ირთავს ცოლს; ვეფხისტყაოსანში ქალიც ირთავს ქმარს, ანუ თხოვდება კაციც, თუკი ქალს ეს სურს:

7.1. ნესტანს არ სურს, მაგრამ ხვარაზმშას ნებით, მასზე თხოვ- დება ხვარაზმშას შვილი:

(514) გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოელი;
შესთვალეს: "გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოელი;
არს ერთი ქალი საპეო, არ კიდე-გასათხოელი,
თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი".

(515) კაცი მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და რიდითა,
გაჰხარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა;

ებრძანა: "მოგეხვედა ღმრთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდითა!
და თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა
ვჰხდიდითა!"

7.2. ასმათი თხოულობს მამაკაცს – ასმათი შეირთავს ქმარს:

(1650) ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე;
მუნიდაღმა გვმსასურებდი, თავი შენი დაგვამონე!"
ასმათ ფერხნი გარდუკოცნა: "შენგან-აო ჩემი ღონე,
და მონობისა უკეთესი რამც ვიშოვნე, რამც ვიქონე?"[4]

XII საუკუნის საქართველოში ქალისა და მამაკაცის ასეთი სრული თანაბრობა (სრული გენდერული ბალანსი!) შემთხვევითი არ არის: ეს თანაბრობა მოდის მანამდელი ტრადიციული ქართული ცნობიერებიდანაც და იმჟამინდელი რეალობიდანაც; კერძოდ:

- ქართულმა ენამ ორ მთავარ სიტყვაში თავიდანვე ასახა ქალისა და მამაკაცის თანაბრობა, არა მატრიარქატი, არა პატრიარქატი, არამედ – თანასწორობა; ეს სიტყვებია: დედა-კაცი, მამა-კაცი, კაცი არის ადამიანი (და არა – მამაკაცი); სავარაუდოდ, "კაც-" – ფუძე იგივეა, რაც "კეც-" (თიხა).
- ბველ ბერძენთა გადმოცემით, კოლხეთში (ბველ საქართველოში!) წინარექრისტიანული მთავარი ღვთაება იყო ქალი;

---

[4] ასმათს ქმარი შერთეს! ამას ეწინააღმდეგება მომდევნო სტრიქონი, რომელშიც ნათქვამია, რომ ასმათი მისცეს ქმარს:

(1653) დაჰმორჩილდა, მოახსენა: "ჭირთა ჟამი ერთხელია".
მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია;
ასმათ მისცეს, მიუძღვების, დაუჭირა სახელია,
და იგი კაცი გაადიდეს, აქვს მეფობის სახელია.

ეს სტრიქონი არ გვაქვს არც ვახტანგისეულ და არც ინგოროყვასეულ გამოცემაში. თუკი ეს სტროფი ავტორისეულია, ასმათ ფორმასთან მიცემითის ს ხომ არ უნდა აღდგეს?

მაშინ ტაეპი ასე იქნება: "ასმათს მისცეს, მიუძღვების, დაუჭირა სახელია".

- ქართველი ერისათვის საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა;
- ქართველი ერისათვის განმანათლებელია ქალი წმინდა ნინო;
- ქართულ ჰაგიოგრაფიაში ქალი წმინდანია (შუშანიკი); ხოლო მონაზონი ქალი მეფეზეც ძლიერია (ფებრონია);
- XII საუკუნის საქართველოში მეფის ძე, მეფე ხდება ქალი – თამარ მეფე...

დასახელებულმა წინაპირობებმა ქართველურ ცნობიერებაში შექმნა იმანენტური საფუძველი, რომელიც გამდიდრდა X-XII საუკუნეების ქრისტიანული თუ აღმოსავლური (ძირითადად სპარსული) კულტურული ნაკადებით და იქცა რუსთველური რენესანსული მსოფლაღქმის წიაღად.

ჩვენი მსჯელობა მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ:

შოთა რუსთველის "გენდერული კონცეფცია" რამდენიმე წახნაგად შეიძლება განვიხილოთ:

- XII საუკუნის ქალი არა მხოლოდ თავისუფლად აზროვნებს, არამედ თავისუფლად ლაპარაკობს თავის განცდებსა და გრძნობებზე; ქალი პერსონაჟები (მამაკაცების მსგავსად!) თავს განიხილავენ სამყაროს ცენტრში (რენესანსის უპირველესი ნიშანი) და უკომპლექსოდაც მოქმედებენ;

- ქალის ნება უფრო მყარია, ვიდრე – მამაკაცისა;

- ტრადიციულად ვაჟია მეფის მემკვიდრე, მაგრამ "ვეფხისტყაოსანში" ასულიც ძედ იწოდება; ასულიც მეფის მემკვიდრეა;

- სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფი ქალიც კი შეიძლება იყოს მამაკაცის მეგობარი, და, დობილი;

- "ვეფხისტყაოსანში" ქალია მამაკაცისთვის დავალების მიმცემი; ქალი უპირატესია თანასწორ წყვილში;

- ქალის ნების აღმკვეთად არასოდეს გვევლინება მამაკაცი; ასეთ სისასტიკეს ისევ ქალი ჩადის.

- ტრადიციის მიხედვით, მამაკაცთან საუბარისას ქალი მორიდებული უნდა იყოს; როგორც წესი, ქალები ამ ტრადიციას არ იცავენ;

- ტრადიციულად ქალი თხოვდება; "ვეფხისტყაოსანში" კი ორჯერ ხდება ქალის მიერ მამაკაცის შერთვა – ორჯერ თხოვდება მამაკაცი ქალზე...

XII საუკუნის საქართველოში ქალისა და მამაკაცის ასეთი სრული თანაბრობა (სრული გენდერული ბალანსი!) შემთხვევითი არ არის: ეს თანაბრობა მოდის მანამდელი ქართული ცნობიერებიდანაც და იმჟამინდელი რეალობიდანაც; კერძოდ:

- ქართულმა ენამ ორ მთავარ სიტყვაში თავიდანვე ასახა ქალისა და მამაკაცის თანაბრობა, არა მატრიარქატი, არა პატრიარატი, არამედ – თანასწორობა; ეს სიტყვებია: დედა-კაცი, მამა-კაცი, კაცი არის ადამიანი (და არა – მამაკაცი); სავარაუდოდ, კაც- ფუძე იგივეა რაც "კეც-" (თიხა).
- ძველ ბერძენთა გადმოცემით, კოლხეთში (ძველ საქართველოში!) წინარექრისტიანული მთავარი ღვთაება იყო ქალი;
- ქართველი ერისათვის საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა;
- ქართველი ერისათვის განმანათლებელია ქალი – წმინდა ნინო;
- ქართულ ჰაგიოგრაფიაში ქალი წმინდანია (შუშანიკი); ხოლო მონაზონი ქალი მეფეზეც ძლიერია (ფებრონია);
- XII საუკუნის საქართველოში მეფე ხდება ქალი – თამარ მეფე...

დასახელებულმა წინაპირობებმა ქართველურ ცნობიერებაში შეიქმნა იმანენტური საფუძველი, რომელიც გამდიდრდა X-XII საუკუნეების ქრისტიანული თუ აღმოსავლური (ძირითადად სპარ-

სული) კულტურული ნაკადებით და იქცა რუსთველური რენესანსული მსოფლაღქმის წიაღად.

Tariel Putkaradze
Doctor of Philological Sciences, Professor

Tradition and Free Will of the Georgian Woman According to "the Knight of the Panther's Skin" (Gender Discourse)

Summary

The 'gender concept' proposed by Shota Rustaveli can be seen in several facets:

- The 12th century woman not only thinks but also speaks freely about her feelings and emotions; female characters (like the male ones!) see themselves in the center of the universe (the first sign of Renaissance) and act without any restrictions; Woman has firmer will than man;
- Traditionally, son is an heir. However, daughter is referred to as son in 'the Knight in the Panther's Skin'; daughter can also be an heir.
- Woman from the soccially lower stage can become man's friend or his sister;
- In 'the Knight in the Panther's Skin', woman gives tasks to man; woman is superior to her counterpart;
- Man never deprives rights from woman; this brutality is in the realm of the woman;
- According to the traditions, woman is supposed to be modest while speaking to man; neither this tradition is adhered in the poem;
- Traditionally, man gets married with a woman (he proposes to her), whereas in 'the Knight in the Panther's Skin', woman makes the proposal;

The absolute equality of woman and man in the 12th century Georgia is not accidental: this equality is based on the consciousness and reality of the 12th century and earlier period Georgian; i. e.:

- Male and female equality is reflected in the Georgian language highlighting gender equality. For instance, Georgian word for woman is **'deda-katsi'** and for man – **'mama-katsi'**, where 'katsi' denotes a person in general and not a man; most likely, the stem of 'kats' is similar to 'kets' (i.e. clay).
- According the ancient Greek sources, the chief deity in Kolkheti (old Georgia) was a woman;

Georgia is regarded to be the nation under the patronage of Virgin Mary;

- Christianity was introduced by a woman – St. Nino;
- Woman is a saint (Shushaniki) in the Georgian hagiography; while the nun (Pebronia) is stronger than the king;
- A woman (King Tamar) becomes the king of Georgia in the 12th century ...

The abovementioned facts created immanent basis for the creation of the Georgian consciousness, which was enriched by the 10th and 12th century Christian and Eastern (mainly Persian) streams of culture and became the foundation for **the Rustavelian Renaissance ideology**

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ლირიკული წიაღსვლები „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთველის "ვეფხისტყაოსნის" განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ის ფაქტიც განსაზღვრავს არსებითად, რომ იგი პოეტური ოსტატობის სფეროშიც ბევრი სიახლის დამამკვიდრებელი ნაწარმოებიცაა. ნათქვამის დასტურად ყურადღება ამჯერად პოემის იმ ფრაგმენტებს მინდა მივაქციო, რომლებშიც პოეტი ლირიკული ლექსისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ჟანრობრივი სპეციფიკით გამოხატავს სათქმელს.

მართალია, "ვეფხისტყაოსანი" ეპიკური პოემაა, მაგრამ რუსთველოლოგთა უმეტესობის მართებული ხაზგასმით, იგი საკუთრივ ამ ლიტერატურული ჟანრის ჩარჩოებით შებოჭილ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და სათქმელის ეფექტური და ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოსახატავად ავტორს სხვადასხვა ჟანრისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც აქვს გამოყენებული.

ნათქვამისათვის მეტი კონკრეტულობისა და დამაჯერებლობის მისაცემად პოემის ტექსტიდან ამჯერად ის პასაჟები მინდა გამოვყო, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ფაქტობრივად ლირიკული ლექსის ფორმით გამოხატავს როგორც მის პიროვნულ გრძნობებსა და ემოციებს, ისე ნაწარმოების პერსონაჟთა სულიერ განცდებსა და მისწრაფებებს. სამწუხაროდ, "ვეფხისტყაოსნის" ჟანრული სპეციფიკის ფართოდ წარმომჩენი ეს მხარე დღემდე მხოლოდ ზოგადი მსჯელობისა და შეფასების დონეზე დარჩა.

არადა, "ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სრულყოფილების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ავტორის მიერ ლირიკული პასაჟების მიზანმიმართულად გამოყენებაც რომ წარმოად-

გენს, ამ გარემოებას არაერთი რუსთველოლოგი აღნიშნავს ხაზგასმით. მაგალითად, სარგის ცაიშვილის შეფასებით, პოემაში "ძალზე საგრძნობია ლირიკული ნაკადი" და მასში "ჩართული ავტორისეული წიაღსვლები და ლირიკული გადახვევები სიუჟეტს იცავს ერთფეროვნებისაგან" *[ცაიშვილი, 1990: 50]*, ელგუჯა ხინთიბიძის აზრით კი "ვეფხისტყაოსანი ლირიკული პასაჟების შემცველ ეპიკურ თხზულებას" წარმოადგენს *[ხინთიბიძე, 2009: 65]*.

როგორც ითქვა, შოთა რუსთველის პოეტური ოსტატობის ეს მხარე რუსთველოლოგთა სპეციალური შესწავლის საგნად დღემდე არ ქცეულა და ფაქტობრივად მხოლოდ ზოგადი შეფასებებით შემოიფარგლა. ამთავითვე ვიტყვი, რომ რუსთველოლოგიური მეცნიერების ამ ხარვეზის შევსება და პოემის ჟანრობრივ თავისებურებათა საფუძვლიანად შესწავლა უაღრესად რთული საქმეა და წინამდებარე ნაშრომს საამისო პრეტენზია არ აქვს. ჩემი მიზანი ამ შემთხვევაში გაცილებით მოკრძალებულია და "ვეფხისტყაოსნის" მხოლოდ ზოგიერთი იმ პასაჟისთვის ყურადღების მიპყრობით შემოიფარგლება, რომელთა მეშვეობითაც პოეტი ლირიკული ლექსისთვის დამახასიათებელი ჟანრობრივი სპეციფიკით გამოხატავს სათქმელს.

პოემის ამგვარ სტროფებში ლირიკული გრძნობები და ემოციები იმდენად მძლავრად და ძირითადი ტექსტისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ფორმითაც კია გამოხატული, რომ ისინი პირობითად დამოუკიდებელ ლირიკულ ლექსებადაც კი შეიძლება გამოვყოთ ნაწარმოებიდან ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის სტროფები, სადაც წუთისოფლის წარმავლობასა და სიმუხთლეზეა მსჯელობა.

ნათქვამის ნათელსაყოფად თუნდაც ავთანდილის მიერ წუთისოფლის სიმუხთლის შესახებ წარმოთქმული კარგად ცნობილი ეს პოეტური მონოლოგი გავიხსენოთ (940-ე სტროფი):

> ვა, სოფელო, რაშოგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!
> ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

ან კიდევ: ავტორის ის ლირიკული მონოლოგი, რომელიც ქაჯთა მიერ ნესტან-დარეჯანის ამბის თხრობას უძღვის წინ (1201-ე სტროფი):

ვა, საწუთროო, სიცრუით თავი სატანას ადარე!
შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?
მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი, სად არე!

როგორც ითქვა, დამოწმებული სტროფები და წუთისოფლის სიმუხთლისა და ამაოების წარმომჩენი მსგავსი ლირიკული წიაღსვლები, გარდა იმისა, რომ ისინი ორგანულად ერწყმიან პოემის შესაბამის სიუჟეტურ ეპიზოდებს და კიდევ უფრო მეტი შთამბეჭდაობით გამოხატავენ პერსონაჟთა სულიერ განცდებს, პირობითად დამოუკიდებელ პოეტურ ქმნილებებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ "ვეფხისტყაოსნის" ამ სტროფებმა, როგორც წუთისოფლის არსის ფილოსოფიური თვალთახედვით წარმომჩენ-გამააზრებელმა პოეტურმა ელეგიებმა, საუკუნეთა განმავლობაში იმდენად დიდი პოპულარობაც კი მოიპოვა, რომ ისინი არაერთი პოეტური ნაწარმოებისა თუ ფოლკლორული ტექსტის შთაგონების წყაროდაც იქცა. პოემის ხსენებულ სტროფთა ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ თუნდაც თეიმურაზ პირველის "მაჯამიდან" ამ სტრიქონების გახსენებაც იქნება საკმარისი:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქმენ დასადაგე?
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

"ვეფხისტყაოსნიდან" ცალკე, დამოუკიდებელ, ლირიკულ ლექსებადაც გამოსაყოფი სტროფები უაღრესად საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ისინი თემატური მრავალფეროვნებითაც გა-

მოირჩევა. კერძოდ, გარდა წუთისოფლის წარმავლობის პრობლემისა, რუსთველის პოემის ლირიკული წიაღსვლები პირობითად შემდეგ თემატურ ჯგუფებად შეიძლება დავყოთ: ღმერთის, როგორც სამყაროს შემქმნელი იდუმალი ძალის, განდიდება; სიყვარულისთვის ხოტბის შესხმა; ციურ მნათობთა სადიდებელი; დიდაქტიკური შეგონებანი მეგობრობასა და ადამიანის პიროვნულ მოვალეობაზე; ბიოგრაფიული მინიშნებანი თავად პოემის ავტორის შესახებ; თამარ მეფისა და დავით სოსლანისადმი მიძღვნილი სახოტბო სტრიქონები; პოეზიის არსის განმარტება...

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ "ვეფხისტყაოსნის" ლირიკული ნაკადი ყველაზე მეტად პროლოგში გამოვლინდა, რის გამოც პოემის ეს ადგილი არა მარტო ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის მსოფლმხედველობრივ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული, არამედ ქართული ლირიკული პოეზიის უბრწყინვალეს და თემატური მრავალფეროვნებით გამორჩეულ ნიმუშადაც.

იმის გამო, რომ "ვეფხისტყაოსნის" ამ ნაწილის პრობლემატიკაცა და პოეტური სტრუქტურაც რუსთველოლოგთა მიერ საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი და ამ თვალსაზრისით პრინციპულად რაიმე ახლის თქმა ფაქტობრივად ძნელია, მასზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საჭირო აღარ მიმაჩნია. დამატებით კიდევ ერთხელ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოემის პროლოგში გამოთქმულ მოსაზრებებს რუსთველმა მოვლენათა ლირიკული თვალთახედვით აღქმა-წარმოსახვის შედეგად კიდევ უფრო მეტი ემოციური შთამბეჭდაობა მიანიჭა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ "ვეფხისტყაოსნის" პროლოგში განმარტებული საკუთარი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის განმსაზღვრელი არსი რუსთველმა პოემის ძირითად ტექსტშიც წარმოაჩინა სასურველი რეალობის ლირიკულ-მედიტაციური განჯა-გააზრების გზით. მაგალითად, ნაწარმოების დასაწყისის პირველ და მეორე სტროფებში ღმერთის, როგორც სამყაროს შემოქმედი

უზენაესი ძალის, განსადიდებლად აღვლენილ პოეტურ ხოტბას შოთა ბირითად ტექსტშიც არაერთგზის მიუბრუნდა და საკუთარი რელიგიური თვალთახედვის გამოხატვას მეტი ემოციური სიმძაფრე და ფილოსოფიური განზოგადებულობა პირველ ყოვლისა სწორედ ლირიკული მონოლოგების ფართოდ გამოყენების გზით შესძინა. მაგალითად, გავიხსენოთ ფრაგმენტი ავთანდილის ლოცვიდან (802-ე სტროფი):

ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე გამარიდე!
თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე.

ან კიდევ, ნაწყვეტი ავთანდილის ანდერძიდან (783-ე სტროფი):

ვინ დამშვიდა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად;
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი
ღმერთად,
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

როგორც ითქვა, ღვთაებრივი ძალის უზენაესობისა და ყოვლის შემძლეობის ამდაგვარად განმადიდებელი ლირიკული მონოლოგები "ვეფხისტყაოსანში" საძებარი არ არის და საკმაოდ ბევრია.

იგივე უნდა ითქვას უმთავრესად მიჯნურობის სახელით მოხსენიებული სიყვარულის განსადიდებლად აღვლენილი პოეტური მონოლოგების შესახებაც. კერძოდ, პოემის პროლოგში წარმოდგენილი ამ სტროფების შინაარსი, რომელშიც პოეტს ფილოსოფიური განზოგადებულობით აქვს განმარტებული მიჯნურობის ბუნება, ნაწარმოების ბირითად ტექსტშიც არაერთგზის იქცა ლირიკული მედიტაციის საგნად.

"ვეფხისტყაოსნის" ინტიმურ-სასიყვარულო ურთიერთობებზე საუბრის დროს რუსთველოლოგთა გარკვეული ნაწილი დარწმუნებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საამისო საფუძველი პოეტს ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა თამარ მეფისადმი მისმა პიროვ-

ნულმა ურთიერთობამ მისცა. მართალია, ეს მოსაზრება მყარად არგუმენტირებულ თვალსაზრისს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩემთვის მთავარი არჯერად ეს კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ თამარისადმი მიძღვნილი სახოტბო სტრიქონები ლირიკული პოეზიის ღრმად შთამბეჭდავ ნიმუშადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. მაგალითად (იხ: მე-19 სტროფი):

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

"ვეფხისტყაოსნის" ლირიკულ პასაჟებზე საუბრის დროს პოემის პროლოგისა და ეპილოგის ის სტროფებიც მინდა გავიხსენო, სადაც რუსთველი საკუთარ თავთან დაკავშირებითაც გვაწვდის რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, "ვეფხისტყაოსნის" ავტორის მიერ მოვლენათა ლირიკული თვალთახედვით განსჯა-გააზრების გამომხატველ სფეროდ პოემის ის სტროფები იქცა, სადაც პოეტი და მის მიერ წარმოსახული პერსონაჟები ფილოსოფიურად აფასებენ წუთისოფლის წარმავლობასა და ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებას. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ რუსთველის პოემის ლირიკულ მხარეს უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ თემასთან დაკავშირებული სტროფები წარმოაჩენენ ყველაზე მეტი ემოციური შთამბეჭდაობით. მაგალითად (1586-ე სტროფი):

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვის ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

შოთა რუსთველის პოემის ლირიკულ მონოლოგებში ავტორისეული სათქმელი ცალკეულ შემთხვევებში დიდაქტიკური შეგონების ფორმითაც არის ხოლმე გამოხატული და ცხოვრებისეული სიბრძნის მქადაგებელ ისეთ აფორიზმებად ქცეულნი, რომლებიც

"ვეფხისტყაოსნის" პოპულარობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მაგალითად (656-ე სტროფი):

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისი სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

ან კიდევ (709-ე სტროფი):

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული – ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო ლხინთა მნდომელი,
გული – ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!

მიუხედავად იმისა, რომ ამ და მსგავს აფორისტულ სტროფებში პიროვნულ გრძნობათა და ემოციათა წარმოჩენას ლირიკული პოეზიისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი სპეციფიკით ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი, პოემის შესაბამისი კონტექსტიდან მოწყვეტითაც მათი მეშვეობით გამოხატული სათქმელის არსში სრულყოფილად გარკვევის გამო მათ გარკვეული ტექსტუალური დამოუკიდებლობაც გააჩნიათ.

"ვეფხისტყაოსნის" ლირიკული სულისკვეთების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი პერსონაჟების ელეგიურ სულიერ განცდათა გამოხატვაც წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სასურველი მიზნის მიღწევამდე სავალ გზაზე არსებულ წინააღმდეგობათა და სირთულეთა გამო ისინი დეპრესიულ მდგომარეობაშიც ხშირად ექცევიან ხოლმე, რის გამოსახატავადაც პოეტი ლირიკული ლექსისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელ ელემენტებსაც ეფექტურად იყენებს. მაგალითად (934-ე სტროფი):

ლექსთა მკითხველო, შენიმცა თვალი ცრემლისა მღვრელია!
გულმან, გლახ, რა ქნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!
მოშორვება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია,
ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ბნელია!

მოკლედ, ასეთია უმთავრესი შტრიხები "ვეფხისტყაოსანში" საკმაოდ ფართოდ და ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოვლენილი ლირიკული ნაკადისა. თუმცა, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, აქვე იმ გარემოებასაც დაბეჯითებით გავუსვამ ხაზს, პოემის ლირიკულ წიაღსვლებსა და პასაჟებზე წინამდებარე საუბარი ვინმემ ისე არამც და არამც არ მინდა გამიგოს, თითქოს "ვეფხისტყაოსნის" პოეტური თავისთავადობის გამსაზღვრელ ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას ამით მეტისმეტად ვაზვიადებდე და ნაწარმოებს ფაქტობრივად ლირიკული ლექსების კრებულად მივიჩნევდე. რასაკვირველია, არა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, პოემიდან დამოწმებულ მაგალითებზე დაყრდნობით ,ახალი წახნაგებითა და მეტი არგუმენტირებით წარმოაჩინოს რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდეც არაერთგზის აღნიშნული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ "ვეფხისტყაოსანი" ჟანრული ჩარჩოებით მკაცრად შებოჭილ ლიტერატურულ ქმნილებას არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის გაანალიზების დროს მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ნააზრევის მაღალოსტატურად ხორცშესხმის მიზნით, რუსთველს თავის პოემაში ლირიკული ჟანრისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ელემენტებიც საკმაოდ ფართოდ და ეფექტურად აქვს გამოყენებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

რუსთაველი, 1966: – რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბილისი.

ცაიშვილი, 1990: – ცაიშვილი ს., ქართული მწერლობა, თბილისი.

ხინთიბიძე, 2009: – ხინთიბიძე ე., ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბილისი.

Avtandil Nikoleishvili
Doctor of Philological Sciences, Professor

Lirical Effusions in "The Knight in the Panther's skin"

Summary

An exceptionally important role of "the Knight in the Panther's Skin" in the history of Georgian literature is determined essentially by the fact that it represents the poem that has no constraints in terms of a genre and the author uses a variety of genre-specific elements to express his opinions in an effective way. To make the aforementioned clearer the paper analyses the passages from the poem where the author tries to expresses his personal feelings as well as the spiritual experiences of the characters in the form of a lyrical verse.

ელზა ფუტკარაძე
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ლექსიკური დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, უმვირფასესი იადგარია. სიტყვაკაზმულობის, სიტყვაქმნადობის საოცარი საუნჯე, უიშვიათესი საგანძურია. პოემა მრავალმხრივ არის საინტერესო, თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად გამორჩეულია პოემის მხატვრული სამოსი – ენა.

ქართული სიტყვაწარმოების კლასიკურ ფორმებს ვხვდებით პოემაში. პოემა კიდევ ერთხელ დასტურია ქართული ენის გამომხატველობითი ძალისა. ქართული ენის აგლუტინაციური ბუნებიდან გამომდინარე, ორიგინალურადაა წარმოდგენილი აფიქსთა მოძრაობა-შეხამება. გამორჩეული და სახასიათოა იმ მხრივაც, რომ ავტორი სახელის ფუძისაგან ზმნათა წარმოების უამრავ ფორმას გვთავაზობს და სახელთა გაზმნავების უბადლო ოსტატია. შესაბამისად, სიტყვის ესთეტიზაცია და გამომსახველობითი ძალა უმაღლეს მწვერვალს აღწევს. სახელთა გაზმნავებით შემოქმედი აღწევს საგანთა ურთიერთმიმართების ჩვენებას მოქმედებაში, მოქმედების გასაგნებას. რუსთაველისეულ ზმნურ ფორმებში მინიატურულადაა წარმოდგენილი მთელი წინადადება. გაზმნავებულ სიტყვებში მძლავრად იგრძნობა ის სილამაზე და სურნელება, რაც ახასიათებს ქართულ სიტყვას. ეს კი მკითხველს განაწყობს მხატვრული სურათის ამაღლებული განცდისათვის: ლერწამი – ლერწამობს, დილა – ადილებს, ღმერთი – იღმრთო, ცა – იცო, მზე – მემზოს, ხე – მეხოს, ალმასნი – აალმასნა,ძეწნა – აძეწნა,ლალი – გალალდა...

რუსთველი ამოდის ქართული სიტყვათწარმოქმნის ტრადიციებიდან, ენის მასალას იგი იყენებს სიტყვის მხატვრულ ემბაზში ამოსავლებად, სიტყვაში დებს საოცარ მიმზიდველობისა და ღრმა

აზრის მუხტს. ამ შემთხვევაში ის ტრადიციის ერთგულიცაა და ორიგინალური სიტყვაშემოქმედიც. დიდია სიტყვის გამომსახველობითი ძალა, ესთეტიზაცია პოემაში. სიტყვა თამაშობს, აფერადოვნებულია რუსთაველის ხელში. თავად რუსთაველს დაევესხებით და ვიტყვით „გახმამყივანებულია“ სიტყვა. ამით კი, ასოციაციურად, სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, თითქოს ვგრძნობთ (აღვიქვამთ) რუსთველისეული სიტყვის ფერს და ლამის ჩავაგემოვნებით კიდეც. ამანასთანავე, რუსთველის ენის გამომსახველობითი ძალა ჩანს ლექსიკური დიალექტიზმების ოსტატურ გამოყენებაში.

ამ მიმართებით საინტერესო სურათს იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ ენის ლექსიკურ მასალაზე დაკვირვება. ის, რაც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევად ითვლება, „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ნორმად იქცევა. „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ჟანრის ნაწარმოებია, რომელიც მკაცრად არაა შეზღუდული ძველი სალიტერატურო ენის ნორმებით. მოთა რუსთაველმა სალიტერატურო ენაში ფართოდ გამოიყენა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები მაშინ, როცა მისი დროის სასულიერო მწერლობის ენა ცოცხალ მეტყველებას საკმაოდ იყო დაშორებული. არნ. ჩიქობავას აზრით, როდესაც დიალექტიზმებს ვამჩნევთ „ვეფხისტყაოსანში“, არავითარი დასკვნის გაკეთების უფლება არა გვაქვს მანამ, სანამ არ გავარკვევთ, –ამ დიალექტიზმებიდან რა ეკუთვნის იმდროინდელ ქართულ სალიტერატურო ენას და რა შეადგენს პოემის ავტორის კუთვნილებას, მისი კუთხის მეტყველების გამოვლენას. სხვანაირად რომ ვთქვათ, დიალექტიზმების საკითხის გარკვევა „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ენას ქართული ენის ისტორიაში, რას ეკედლება და აგრძელებს იგი და როგორ აგრძელებს მას, განვითარების რა მომენტი და რა გეზია მასში წარმოდგენილი *[ჩიქობავა, 1938: 220]*.

XII საუკუნის საერო მწერლობის ენა ემყარება და მოიხმარს წინარე იმ მდიდარ სალიტერატურო ტრადიციას, რაც საეკლესიო-თეოლოგიური და ფილოსოფიური ძეგლების სახით შეიქმნა ქართულ ენაზე V-XI საუკუნეებში *[ჩიქობავა, 1966: 31]*. საერო მწერლობა ყველაზე მეტად ლექსიკით განსხვავდება ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენისაგან. სხვაობა ლექსიკის შედგენილობაში, ბუნებრივია, რომ ცოცხალი მეტყველებიდან უნდა მომდინარეობდეს. სასულიერო შინაარსის ძეგლთა თემატიკისა და ჟანრული სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ის, რაც ძნელად შეაღწევდა მასში, ადვილად აღწევს საერო ხასიათის ნაწარმოებებში. „ვეფხისტყაოსნის“ ენაში ფართოდაა გამოყენებული ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თუ გრამატიკული ფორმები. ცოცხალ მეტყველებაში დაუნჯებული ლექსიკური ფორმების გამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ ენას უფრო სახეობრივს ხდის. „ვეფხისტყაოსანში“ ხშირია ისეთი ლექსიკური ფორმები, რომლებიც იმავე ან ოდნავ სახეცვლილი ფორმით დღესაც ცოცხალია აჭარულ დიალექტში. ნაშრომში ყურადღება სწორედ ასეთ ლექსიკურ ფორმებზე გამახვილდება.

განსაკუთრებით საინტერესო ლექსიკური ფორმაა „ნათხზენი“. „ვეფხისტყაოსანში“ ის რამდენჯერმე დასტურდება:

„ბროლო და ლალო – ორივე კვლა ერთგან შენათხზენაო!“ *[1270, 4]*.

„ინდოთა რაზმი ჩემად კვლად თქვა, ესე ტევრი ვთხზა თმანო *[835, 2]*.

ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, დანათხზენი *[1493, 3]*.

„დაბდაბისა და ქოსისა ხმა ტურფად შენათხზარია“ *[1460, 3]*.

დანათხზენი, შენათხზენი დაწნულს, შეწნულს ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ეს სიტყვა აჭარულ დიალექტში. კერძოდ, აჭარული დიალექტის საფეიქრო ლექსიკას შემოუნახავს სიტყვა ათხიზნვა, რაც ძაფის მოგრეხას, რვიანის მსგავსად მოხვევას

ნიშნავს. შდრ.: ნათხზენი//ნათხძენი, იგივე ანაჯაჭვი – რვიანის ფორმით მოხვეული, მოგრებილი ნართი *[ბოლოძელი, 2013: 180]*. ასევე, შდრ. ნიჟარაძე: ათხზნა – თოკის დაკეცვა, დახვევა. ნათხზენი – დაწნული ყველი. ეს ლექსიკური ერთეული ბველი ქართულის ენის ლექსიკაში ასეა განმარტებული: ნათხზენი – კოწოლი, თხზული, ნაწნავი, ქსოვილი *[ახულაძე, 1973: 319]*. ასევე, თხზული – ნათხზენი, კოწოლი, ნაწნავი *[ახულაძე, 1973: 186]*. შდრ. საბა: თხზვა (თხზვნა) – წვნა; თხზული – დაწნული, ნათხაზი – ნაწნავი, თხზულ ქმნილი, დაწნული (ათხზნა-ათხიზნვა). ასევე, შდრ. ნიჟარაძე: ათხზნა – თოკის დაკეცვა, დახვევა.

ეს ლექსიკური ძირი გვხვდება ლაზურში: თხაზ || თხზ, თხოზ||ნთხოზ: ნთხოზუფს – წნავს, ონთხოზუ – დაწვნა, ნთხოზერი – დაწნული. ლაზური თხოზ||ნთხოზ ზუსტად შეესიტყვება ქართულ თხაზ ძირს. ლაზური და მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ. ქართულ-ლაზური ერთიანობისათვის აღდგენილია თხაზ||თხზ ძირი.

„ვეფხისტყაოსანშიც“ ეს სიტყვა ანალოგიურად იმავე შეწნულის, დაწნულის მნიშვნელობითაა გამოყენებული.

საყურადღებო ლექსიკური ფორმაა თანისთან. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება თანისთანი და მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმა – გაათანისთანა: „აქათ ორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა, შეიგენით მივსცემივარ ჭირსა რასმე თანისთანსა“ *[671, 41]*; „მკვდარი მნახო დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე“ *[307, 3]*. ეს ზმნისართი აჭარულშიც დასტურდება და ნიშნავს მიყოლებით, ზედიზედ: „თანისთან მეიყვანა მაგ ჰეჭელა ბროხამ ხბო; ისიც თანისთან წავიდა“ [პირადი არქივი].

გაქარდა: „ვეღარ ვუპვრეტ ცრემლთა შენთა, სოფელიცა გაქარდების“ განქარვება – დაშლა, მოშლა, დარღვევა, დახსნა, გაქრობა, გაფანტვა, შეფერება, დაბრკოლება. განქარვებადი – არად მისაჩნევი, მოსასპობი; განქარვებული – უარყოფილი; განქარვებულება – ურცხვობა *[ახულაძე, 1973: 72]*. აჭარულში გაქარდება გაქრება//ჩაქ-

რება-ს მნიშვნელობით გამოიყენება. შდრ.: შ.ნ. 1. გაქარდება – გაქრება, ჩაქრება. 2. გადატანითი მნიშვნელობით – ბოლო მოეღება, მოისპობა, აღიგვება; მოკვდება, 3. გაუჩინარდება, გადაიმალება. აჭარულ დიალექტში აღნიშნული ლექსიკური ერთეული აქტიურად გამოიყენება დღესაც: სად ხარ გაქარვებული (=სად გაუჩინარდი), ჩანს წყევლის ფორმულებში: შენ გასაქარვებელო. გაქარდა ფორმა ჩვენებურების ქართულის მეტყველებაშიც ისმის, იქაც იმავე მნიშვნელობითაა დაცული: „ამ დილაი ჰა გაქარდა ნეტაი?!“ *[ფუტკარაძე, 1993: 413]*. ფორმა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ უნიშნო ვნებითის ნაცვლად დონიანი წარმოება გვაქვს გაქრა ზმნასთან.

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება ლექსიკური ფორმა დაბურვა: „რომე ჩაცმა-დაბურვასა ვინ ღირს იყო მათგან კიდე“ *[1659, 2]*; დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი“ *[1077, 4]*; ებურა მოშლით პირ-ოქრო, მე მივეც რიდე რომელი“. ებურა ეხურას სინონიმია დღეყანდელ ზემო აჭარულ დიალექტშიც.

საინტერესო ლექსიკური ფორმაა ფრეწა//დაფრეწა. ძველ ქართულში გვხვდება ფორმით განფრეწა – გახევა *[აბულაძე, 1973: 72]*. „ვეფხისტყაოსანში“ აღნიშნული ფორმა რამდენიმეჯერ გვხვდება: „აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა“ *[1416, 2]*; „ასი ერთ კერძოთ მომიხდეს, დავფრიწე, დაიხეოდა“ *[655, 4]*; „თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, და-ცა-სჭრიდითა“ *[1563, 4]*. გვხვდება მიმღეობური ფორმა – დაუფრეწელი: „არ დარჩა ცოცხალი მუნ მისგან დაუფრეწელი“ *[1043, 4]*. მოცემულ კონტექსტში დაფრეწა დამტრევის, დანაწევრების, დაკუწვის, დაქუცმაცების მნიშვნელობითაა გამოყენებული. ანალოგიური სემანტიკური დატვირთვით გამოიყენება საანალიზო ლექსიკური ფორმა აჭარულ დიალექტში. შდრ. რატომ დაფრიწე ფურცლები; ფრეწენ ერთმანეთს, ისე ჩხუბობენ (პირადი არქივი).

საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა რიგში შემოდის სიტყვა დაფუშა: „ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა *[579, 1]* : დაუფუშა ანუ დაუშალა. გვხვდება მიმღეობური ფორმა:

ნაფუშავი (არეულ-დარეული): „ღონე წამწმისა ხშირისა, ყორნის ფრთებრ ნაფუშავისა *[1265, 4]*.

აჭარულ დიალექტში აღნიშნული ლექსიკური ფორმა იმავე მნიშვნელობითაა გავრცელებული: დიგიფუშია ყველაფერი, მიგიყრია აქეთ-იქით. საქმე არ გამეეწყო, ჩეიფუშა (დაიშალა). ფუშავს და არის, ბაღვია. ამდენად, დაფუშვა არევ-დარევის, დაშლის მნიშვნელობითაა დაცული დიალექტში. შდრ. საბა: ფუშვა – მოშლა. ანალოგიური მნიშვნელობით ეს სიტყვა დაცულია „ჩვენებურების“ მეტყველებაში: „მურგვი გააგორვა და დაფუშა ბაფი“ *[ფუტკარაძე, 1993:]*.

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ზმნური ფორმა წადიან, რომელიც მიდიან ზმნის მნიშვნელობითაა გამოყენებული: „რა ქმნეს, ალყა რად მოშალეს, სად წადიან ვითა ბრმანი“ *[983, 2]*. ვიდ ფუძიან ზმნასთან მი და მო ზმნისწინების გამოყენებაა სპეციფიკური და გავრცელებულიც, თუმცა წა ზმნისწინიანი ფორმა საკმაოდ გავრცელებულია დღესაც ზემო აჭარულ დიალექტში: წადიან მთაში, წადიოდენ ხშირად.

წადიან ფორმა გვხვდება ჩვენებურთა მეტყველებაშიც: „დედეი წინწინ მალმალ წადიოდა შეჰერში“ *[ფუტკარაძე, 1993: 652]*. აქაც იმავე მიდიოდა, დადიოდა-ს მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ზმნური ფორმა მოემზადა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება შეკაზმა ფორმით: „ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის საწვეველად“ *[1257, 1]*; „მეფემან ბრძანა: მოკაზმეთ კარვითა მოედანია“ *[551, 1]*; „შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს“ *[73, 1]*; შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა“ *[1379, 1]*; „სავაჭროდა მოვეკაზმვი, საქმესა ვიქმ მე მუხთალსა“ *[1399, 3]*.

ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანში“ შეეკაზმა ნიშნავს მომზადებას და მორთვასაც. შდრ.: შეკაზმვა – განყობა, შემზადება, მორთვა, მომზადება *[ბერულავა, 1973: 476]*. შესაბამისი შინაარსობრივი ნიუანსით ეს ფორმა ბალზე გავრცელებულია აჭარულში: რას აკაზმულხარ? (მომზადებულხარ, მორთულხარ), ამდენ რას იკაზმები? ამდენად,

აღნიშნული ზმნური ფორმა ამ დამატებითი შინაარსობრივი ელფერის მატარებელიცაა იკაზმება და მიდის – ემზადება და თან ირთვება; იკაზმება – საგანგებოდ ირთვება. გვხვდება ცოტათი განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვაც: ლობიო მოიხარშა და შესაკაზმია მარტო. აქ შეკაზმვა შესუნელებას ნიშნავს. დიალექტში ხშირია შეკაზმვის გამოყენება შესუნელების მნიშვნელობით: კაი შეკაზმული საჭმელია.

განსაკუთრებით საინტერესო ფორმაა წადილი: „მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება“ *[99, 4]*; ორნივე მიჰხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე *[1271, 4]*. წადილი სურვილს ნიშნავს. წადილი ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია. წადილი – სურვილი, ნდომა, გულის-სიტყვა, გულის-თქმა *[ამყოლაძე, 1973: 531]*. მსურს, მნებავს, ზმნის გვერდით ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში დასტურდება მწადს, გწადს, სწადს ფორმა. დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში არ გვხვდება მწადს ზმნური ფორმა, არც მიმღეობა წადილი. ძველი არქაული ფორმა დღესაც დაცულია აჭარულ დიალექტში: მე მწადია ამ საქმის გაკეთება. ამასთანავე, არცთუ სპორადულად გამოიყენება ეს ფორმა დიალექტში. საანალიზო ზმნური ფორმა სტატიკურ ზმნათა ია დაბოლოებით გვხვდება დღეს დიალექტში.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური დიალექტიზმია ჯალაბი სიტყვა: „ყველა კაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი“ *[101, 3]*. ჯალაბი აქ წვეულებას, მოწვეულ ხალხს ნიშნავს. სულხან-საბასთან ჯალაბი ასეა განმარტებული: ჯალაბი – დედაწული. შდრ. შ.ნ. ჯალაბი – ვაჭრობისა და აღებ-მიცემობისათვის შესყიდული საქონელი. გარდა აღნიშნული შინაარსობრივი დატვირთვისა, ჯალაბი აჭარულში ოჯახობის სინონიმადაც დასტურდება: ჯალაბობა სახლშია? *[პირადი არქივი: ოჯახობა]*. ჯალაბი გვხვდება ჩვენებურების მეტყველებაშიც ოჯახობის, წვრილშვილის მნიშვნელობით: „ერთ კაცსა მეგომ ჯალაბი მიჰყავს“ *[ფუტკარაძე, 1993: 680]*.

სახასიათო ლექსიკური ერთეულია სულე, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ გაჩუმების შორისდებულის ფუნქციით არის გამოყენებული: „ეტყოდა: „სულე! რამც ვიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“ *[133, 1]*. იდენტური შინაარსობრივი დატვირთვით ეს შორისდებული დღესაცაა გავრცელებული აჭარულში. შდრ. შ.ნ. სოლე (იშვიათად სულე) – შორისდებული სუ, გაჩუმდი, ჩუმად, იყუჩე! შდრ. საბა სულელვა და დასულება. სულე შორისდებულის სემანტიკით აჭარულში პროდუქტიულია უსულით, უსულაი სიტყვის გამოყენებაც (უსულაი – ჩუმად, წყნარად, უხმაუროდ). იმავე შინაარსით დადასტურებულია ჩვენებურების მეტყველებაში: უსულაი გეიცინე, კიბილებ ნუ გამოყრი დიდათ!“ *[ფუტკარაძე, 1993: 580]*. აჭარულში სულე ფორმა ძირითადად სოლე ან მისი შემოკლებული სო//სუ ვარიანტითაც დასტურდება: სო, წუუყურე *[პირადი არქივი]*. ხშირად ისმის სუ ფორმა ბავშვის დანანიების დროს: სუ, სუ, სუ.

ნაბიჯის მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ბოჯი: „მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბოჯსა ვერ წარსდგმიდეს *[76, 41]*. ბიჯი ფორმა საკმაოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულია დღესაც აჭარულში. შდრ. ბიჯი გიქნია გარეთ, ბოჯს არ წადგამს *[პირადი არქივი]*. გვხვდება ამ სახელისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმა გააბიჯა: გააბიჯე, ჩქარა, ფეხი მაგრად დააბიჯე.

გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულად პოემაში გვხვდება დრამი: „ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა“ *[544, 3]*; ერთი აიღო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა *[385, 3]*; დაცოხნის, ლუკმა გატყორცის, წონა ძლივ ჩანთქის დრამისა *[923,84]*. დრამი წონა-ზომის ერთეულია ძველ ქართულში. საბას განმარტებით დრამი არის ექვსის დანგის წონა, სამ გრამზე მეტი. 2. ვერცხლის ფულის ერთეული. შდრ., შ.ნ. დრამი – პაწანა, პაწაწკინტელა, ბეწო, ნატამალი, ერთი ციცქნა, მცირე წონის. ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება დრამი „ვეფხისტყაოსანში“. იმავე შინაარსობრივი დატვირთვითაა ცნობილი აჭარულშიც. აჭარულში გვხვდება სიტყვა ერთდრამი//ერთიდრამი, რომელიც ისევ პაწაწას, ძალიან ცოტას ნიშნავს.

დიალექტიზმია ლექსიკური ფორმა მჭელი: „ისრვიან და იზა-ხიან, მხეცსა სჭრიან ვითა მჭელსა“ *[977, 4]*. ეს სიტყვა „ვეფხის-ტყაოსანში“ ერთი ხელის მონამკალს ნიშნავს. აბულაძე მას ასე განმარტავს: მჭელი – მუფი, მუშტი, მჯიღი, ძნა *[აბულაძე, 1973: 313]*. შდრ. საბა: მჭელეული. შ.ნ. ჭელი – ერთი მუჭა თივა, ჩალა. დღესაც აჭარულ დიალექტში აქტიურ ხმარებაშია აღნიშნული ლექ-სიკური ფორმა. ეს ფორმა ჩვენებურების მეტყველებასაც დაუცავს: „სიმინდ რომ მოვჭრით, ჭელებათ დავაწყობთ ყანაში“ *[ფუტკარაძე, 1993: 660]*. აქაც ჭელი//მჭელი პურის ან ჩალის წყებაა, შესაკონავად გამზადებული.

გეყურება ზმნა ზემო აჭარულ დიალექტში გესმის ზმნის სემან-ტიკური დატვირთვითაა დამკვიდრებული: გეყურება, რას აკეთებ *[პირადი არქივი]*. იმავდროულად ყურება ცქერასაც ნიშნავს. „ვეფხისტყაოსანში“ იყურებდით ფორემა გესის მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული: „აწ იყურებდით, მსმენელნო, გესმენ ფიცხელი ომნია!“ *[1411, 4]*.

აჭარულში გავრცელებული ლექსიკური ერთეულია ხასი. ხასი არაბული სიტყვაა. არაბულიდან შესული და დამკვიდრებულია აჭარულში. სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს: 1) სუფთა, ნამდ-ვილი, წმინდა, შეურეველი; 2) აბრეშუმის ქსოვილი; უმაღლესი ხა-რისხის საქონელი; 3) ღვიძლი, სისხლით ნათესავი. ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება აჭარულში: ხასი რძალია ე.ი. განსაკუთ-რებული, გამორჩეული, საუკეთესო რძალია; ხასი კევია – საუკე-თესო, სუფთა, კარგი კევია (პირადი არქივი). ხასი უფრო განსაკუთ-რებულს, გამორჩეულს, საუკეთესოს აღნიშნავს. ე.ი. ამ სიტყვამ აჭარულში დამატებითი შინაარსობრივი ელფერი შეიძინა. შ. ნიჟა-რაძე ხასს ასე განმარტავს: არაბული სიტყვაა, ძვირფასი, წმინდა, აბრეშუმეული, ფარჩა; ხასი ბიძაშვილი–ალალი, ღვიძლი ბიძაშვი-ლი. ლექსიკური ერთეული ხასი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა ხასისა“ *[20, 1]*; წიგნსა მოგეცემ, გმორჩილობდნენ, ვინცა იყოს ჩემი ხასი“ *[164,1]*. აქ ხასი

გულისხმობს მეფესთან დაახლოებულ პირს, დარბაზის ერს. ე.ი. განსაკუთრებულის, გამორჩეულის, დაწინაურებულის მნიშვნელობას თან ატარებს (მეფესთან დაახლოებული პირი ყველა ვერ იქნება).

ლექსიკური დიალექტიზმია „ვეფხისტყაოსანში“ კაპანი სიტყვა: ერთობ ლაშქრითა აავსო მინდორი, კლდე, კაპანია *[402, 4].* კაპანი ნიშნავს ხევხუვს, კლდოვან ადგილს. კაპანი (კაპნისა) –ვიწრო ადგილი ან გზა *[ამყულაძე, 1973: 192].* იმავე მნიშვნელობით გვხვდება აჭარულში: ეს რა კაპნებია; კაპანი ადგილებია *[პირადი არქივი].* შდრ. საბა: ქვა ღოჯი. შ.ნ. – კლდოვან-ღორღიანი ადგილი, ფერდობი, ქარაფი. ლაზურშიც გვხვდება კაპანი ციცაბოს მნიშვნელობით. დაცულია ჩვენებურთა მეტყველებაში. „აქევრობაში კაპნებია ბევრი“ *[ფუტკარაძე, 1993: 482].*

ლექსიკური ერთეული ნობათი „ვეფხისტყაოსანში“ რიგს, ჯერს ნიშნავს: „დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან“ *[1300, 3].* ზუსტად იმავე მნიშვნელობით ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია აჭარულ დიალექტში: დღეს ყანას წყალინა მუუშვა, ჩემი ნობათია *[პირადი არქივი].*

ნაპერწკალის სინონიმია აჭარულში წინწკალი: წინწკალი გადმოყარა ფეჩმა *[პირადი არქივი].* პოემაში დადასტურდა წინწკალი ფორმა: „მისთა ნაკვესთა წინწკალი დამეცეს ხანგრძლად მწველია (339,4).

აჭარულ დიალექტში აგებულების, მოყვანილობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულია ანაგები (ანაგებად რამე არ უჭირს). ანაგები – აგებულება *[ამყულაძე, 1973: 5].* იმავე ფორმითაა წარმოდგენილი რუსთაველთან: „მაგა ქცევით ტურფითა, ანაგებითა ნაგითა“ *[935, 3];* მათ მოახსენეს: „ტურფაო სახით და ანაგებითა“ *[970, 1].*

პოემაში გვხვდება სიტყვა დაწამწამება, რომელიც თვალების დახუჭვას ნიშნავს: „კაცმან ვერა სწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება“ *[295, 1].* ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა დღესაც დაცულია აჭარულ დიალექტში: რას აწამწამებ თვალებს? აწამწამებ ანუ და-

ხუჭავ, ისე აახელ თვალებს, აწამწამება-დახუჭვა-გახელა თვალებისა.

პოემაში ხშირად გვხვდება აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი სიტყვა-თქმა სული დაიღო: „სული დაიღო, მან ქალმან, დათმო გულისა წყლულობა“ *[224, 1];* „რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დავიღო მერმე სული“ *[895, 4];* „მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხანს სული“ *[814, 3].* „დადუმდი, სული დაიღე ჩემგან ამისმან მსმენელმან“ *[1627, 3].* „სული დაიღეს, დადუმდეს, ორთავე ცეცხლი სდებოდა“ *[922, 1].* „სული დაიღეს, დადუმდეს, მივლენ არ თურე მღერითა“ *[1009, 2].* პარალელურად დასტურდება გული დადევ: „გული დადევ, დაიკერე, ვერ წაგიტან, ვერა, ვერა!“ *[783, 4].* აჭარულში: სული შეიღო – ცოტათი ამოისუნთქა.

ამრიგად, პოემაში წარმოდგენილი დიალექტური ფორმები დღესაც ცოცხლობს ხალხის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში, ძირითადად იმავე ან დამატებითი შინაარსობრივი დატვირთვით. ეს ლექსიკური ფორმები კი საუნჯეა სალიტერატურო ენისათვის. ლექსიკური დიალექტიზმები უდიდესი ხელოვანებიითა მოხმობილი პოემაში და ამ ფორმათა გამოყენებით ავტორი ღრმად გვაგრძნობინებს სიტყვის შინაარსობრივ ძალას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, 1973: – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე, 1971: – ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

ორბელიანი, 1998: – ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I. თბილისი.

რუსთაველი, 1998: – რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“, II, თბილისი.

ფუტკარაძე, 1993: – ფუტკარაძე შ., „ჩვენებურების ქართული", ბათუმი.
ფენრიხი, სარჯველაძე, 2000: – ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი.
ჩიქობავა, 1966: – ჩიქობავა არნ., ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსანის" ენის მორფოლოგიისა და სინტაქსურ სტრუქტურებში", იკე, XV, თბილისი.
ჩიქობავა, 1938: – ჩიქობავა არნ., დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში", ენიმკის მოამბე, II, თბილისი.

Elza Phutkaradze
Doctor of Philology, Professor

Lexical Dialects in "The Knight in Tiger's Skin"

Summary

The joint analysis of the data of literary language and dialects clearly represents the picture of the evolution in the language. From this point of view the lexical material of the poem "The Knight in the Tiger's Skin" is quite interesting. There is a good deal of lexical or grammatical forms used in the live speech. The use of lexical forms, which are preserved in the folk speech, makes the poem more attractive and special. We can frequently meet the lexical forms in the poem, which are still used in the Adjarian dialect in the same or slightly changed forms. These lexical forms are under the particular attention in the work. The following lexical units are being analyzed in the work: natkhzeni, tanistan, gaqarda, daburva, dafusha, shekazma, tsadili, sule, mcheli, drami.... These forms can be considered as treasure for the Georgian literary language.

შორენა მახაჭაძე
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

„ვეფხისტყაოსანი“ მითოკრიტიკის თვალით

მითოკრიტიკა XX საუკუნის ლიტმცოდნეობაში ერთ-ერთი საინტერესო და გავლენიანი მიმდინარეობაა. მისი თეორეტიკოსი ნორტროპ ფრაი ცდილობდა პოეტიკის მითოლოგიაზე აგებას. მისი აზრით, ნებისმიერი მითი არის რომელიღაც ისტორიის თხრობა და ამიტომ – ლიტერატურა. ამდენად, ის შეიცავს მითოლოგიურ „მარცვალს“. ეს „მარცვლები“ უმარტ ვესი ფორმულებია, რომლებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ პირველყოფილ კულტურაში. ეს ფორმულები ანუ არქეტიპები ხელახლა ჩნდებიან, აღდგებიან უდიდეს კლასიკოსთა შემოქმედებაში. ფრაის აზრით ხომ, „მითი არის ლიტერატურის სტრუქტურული ელემენტი, რამდენადაც ლიტერატურა მთლიანობაში არის ადგილგადანაცვლებული მითოლოგია“ *[ფრაი, 1987: 84]*.

სწორედ ეს „მარცვლები“ – უმარტივესი ფორმულები აღმოაჩინეს „ვეფხისტყაოსანში“ თანამედროვე რუსთველოლოგებმა – ზურაბ კიკნაძემ, მარიამ კარბელაშვილმა და ხვთისო ზარიძემ. მაგრამ სანამ მათ მიგნებებს გაგაცნობთ, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში XX საუკუნის მეორე ნახევრამდეც გვხვდება უკვდავი პოემის ფოლკლორული ძირების გამოვლენა-შესწავლის არაერთი მნიშვნელოვანი ცდა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მიერ გაანალიზებული ხალხური ძირები „ვეფხისტყაოსნისა“ *[ნუცუბიძე, 1980: 34-58]*. მეცნიერი ხალხურობას პოულობს პოემის აღნაგობაში: მისი დასაწყისი და დასასრული ქართული ზღაპრის მსგავსადაა წარმოდგენილი: „იყო არაბეთს როსტევან“... ოპტიმისტურია ფინალიც პოემისა.

პოემაში ზღაპრის მსგავსად გვხვდება ფანტასტიკური არსებები: დევები და გრძნეული ქაჯები. ქაჯებს რუსთაველმა ჩამოაცილა ფანტასტიკური ელემენტი, ხაზგასმით აღნიშნა: „არ ქაჯნია, კაცნიაო“. მახინჯი ქაჯები იცავენ „პირ-ნას“ ანუ მშვენიერ ნესტანს და ეს კონტრასტული სურათი კიდევ უფრო წარმოაჩენს ნესტანის სიტურფეს. მხატვრული მთელის თვალსაზრისით, მახინჯი ქაჯები ისევე იყო საჭირო სილამაზის გამოსახვისთვის, როგორც უბედურება – ბედნიერებისთვის, ბოროტება – სიკეთისთვის.

აკად. შ. ნუცუბიძე პოემაში პოულობს ცალკეულ ადგილებს თქმულებიდან ამირანზე – გმირზე ქართული მითოლოგიური პოემისა: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება.“ მეცნიერი თვლის, რომ პოემის სამი გმირი ამირანზე თქმულების სამი გმირის მხატვრული ასახვაა.

მკვლევრის დაკვირვებით, ქართული ხალხური შემოქმედების კიდევ ერთი ელემენტი არის პოემის შემადგენელი ნაწილი – ესაა კომპოზიციური მომენტი, როცა სიუჟეტის განვითარებას საფუძვლად ედება დაკარგული მშვენიერი ქალის ძებნა, თანაც, საძებნელად მიეშურება სამი ძმა (ძმადნაფიცი).

როგორც ამ მოკლე ექსკურსიდანაც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ მითოლოგიური კრიტიკის თვალით წაკითხვას რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ნიადაგი მომზადებული დახვდა. მართლაც, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო რუსთაველის პოემის მითოკრიტიკის მეთოდების გამოყენებით შესწავლა. უპირველესად, ეს შეეხება პოემის სიუჟეტის (ამბის, კომპოზიციის) ძიებას. თანამედროვე რუსთველოლოგებს (ზ. კიკნაძეს,მ. კარბელაშვილს, ხ.ზარიძეს) სწორედ ფოლკლორულმა მასალამ მისცა საფუძველი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაექარწყლებინათ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უცხოური წარმომავლობის ყბადაღებული თეზისი. მკვლევრებს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მიკვლევის ყვე-

ლაზე რეალურ გზად მიაჩნიათ არა კონკრეტული სიუჟეტის, არამედ მისი ფოლკლორულო ძირების ძიება.

მარიამ კარბელაშვილმა სტატიაში ,,ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის ინვარიანტის საკითხისათვის" *[კარბელაშვილი, 1980 :745]* რუსთაველის პოემის სიუჟეტის კვლევა ფოლკლორისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე სცადა. მან გამოიყენა ალექსანდრე ვესელოვსკის მოსაზრება ,,სიუჟეტთა პოეტიკაში" ,,ტიპიურ სქემათა" არსებობის შესახებ, თაობიდან თაობაში მზა ფორმულებად რო გადადის, და, ასევე, ვლადიმერ პროპის მტკიცებანი ,,მუდმივ ელემენტთა" და ,,პერსონაჟთა ფუნქციების" თაობაზე.

ფოლკლორისტულია მ. კარბელაშვილის კვლევის გეზიც: ხალხური, ,,ვეფხისტყაოსნიდან" რუსთაველის პოემისაკენ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან მკვლევარი იზიარებს აკად. კ. კეკელიძის აზრს, ,,ვეფხისტყაოსნის" ლიტერატურულ ნიადაგზე აღმოცენების თაობაზე. ასე რომ, კვლევა მეორეულიდან პირველადისკენ მიემართება. მიზანი არის ხალხური ,,ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციური სტრუქტურის დადგენა მუდმივი ელემენტებისა და ფუნქციების გამოვლენით: რაც მყარი და საერთო იქნება ხალხური ,,ვეფხისტყაოსნის" ყველა ვარიანტში, ის უნდა ვიგულისხმოთ რუსთაველის პოემის სიუჟეტის წარმომავლობის სათავედ.

დასკვნა ასეთია: ხალხური ,,ვეფხისტყაოსნის" ყველა პროზაული ნაწარმოები სტრუქტურულად ჯადოსნური ზღაპარია. ისინი ვ. პროპისეულ ფორმულას სხვადასხვა ვარიანტით იმეორებენ, ამდენად, რუსთაველის ქმნილების სიუჟეტს ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი უნდა ედოს საფუძვლად.

ეს ინვარიანტი – ,,პრაფორმა" – შეიცავს გველის მიერ მეფის ასულის მოტაცებასა და გმირის ბრძოლას მის გამოსახსნელად.

დასაბუთება ასეთია: ,,მზე" და ,,ხმელთ მანათობარი" ,,ტარიელიანში" ნესტანთან დაკავშირებული მეტაფორებია, მითოსში კი

კონკრეტული შინაარსის შემცველი ცნებები: ორივე ფიზიკურ მზეს აღნიშნავს, რადგან იქ მითოსური სახე იმას გულისხმობს, რასაც გადმოგვცემს. რუსთაველის პოემაში ნესტანის ატრიბუტები – მზე, მთვარე, ცისკარი – არა მარტო მეტაფორა-ეპითეტებია, არამედ ნესტანის მხატვრული სახის მითოლოგიური ფესვების მაჩვენებელი ასტრალური სიმბოლიკაც. ფუნქციურად ტოლფარდი ცნებებია – გველი-ვეშაპი-ქაჯი-დევი-გველეშაპი (ს. ს.ორბელიანი), დევი-ეშმაკი-ვეშაპი-ბოროტი-გველი (ი. აბულაძე). ამიტომ, გამოთქმები: „მთვარე, ჩანთქმული გველისა"//ქაჯებმა წყალში ჩააგდეს; დევი იტაცებს მზეთუნახავს//ქაჯები ატყვევებენ ნესტან-დარეჯანს//გველი იტაცებს მეფის ასულს – სემანტიკურად ადექვატურნია და ერთი მითოლოგემის დერივანტებს წარმოადგენენ".

ამ მონაცემებზე დაყრდნობით ხორციელდება სიუჟეტის არქეტიპული სახის რეკონსტრუქცია და მისი მითოლოგიური მოდელის დადგენა. რუსთაველის პოემის სიუჟეტური ინვარიანტი დაშიფრულია მეტაფორაში – „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა" *[რუსთაველი, 1986: 447]*. ესაა გასაღები მრავალი შრის ქვეშ დაფარული პირველადი კომპოზიციური ბირთვისა. ამ მითოლოგემაზეა აგებული რუსთაველის პოემის სიუჟეტი, ხოლო რაკი „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის პარადიგმა ჯადოსნური ზღაპარია, მ. კარბელაშვილის აზრით, მისი „მითოსური სუბსტრატის" გამოსავლენად პოემა ჯადოსნური ზღაპრის სიბრტყეზე უნდა გავიაზროთ. რუსთველისეული ნესტანის სახე სემანტიკურად ფოლკლორულ მზეთუნახავს უკავშირდება. მზეთუნახავი კი მზის კულტზე აღმოცენებული ზღაპრული სახეა, „ბუნების დიდი დედის" – ნანას ორეულია, ნაყოფიერების ქალღვთაების მითოლოგიურ სემანტიკასაც შეიცავს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ნესტან-დარეჯანის მყარი გარეგნული ატრიბუტი მწვანე ფერის შესამოსელია და მისი გამოხსნაც მაშინ ხდება, როცა ქვეყნად

სიმწვანე იწყებს ამოსვლას (ნაყოფიერების ქალღვთაება გაცოცხლებული ბუნების სიმბოლოა): „მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა“ *[რუსთაველი, 1986: 422]*.

მ. კარბელაშვილის აზრით, ამავე სემანტიკურ სიბრტყეზე ზღაპრის ინვარიანტში „ცველი იტაცებს მეფის ასულს, გველი იტაცებს მზეს“ – მზის სადღეღამისო და სეზონური ბრუნვის ციკლია ასახული.

ამრიგად, ასკვნის მკვლევარი, ჯადოსნური ზღაპრის მსგავსად, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველში დაშიფრულია ასეთი სტრუქტურის მითოლოგემა: „დაკარგვა-ძებნა-პოვნა“. ეს სტრუქტურა, გარკვეულწილად, უნივერსალურიც არის, რადგან საერთოა სოლარული, კალენდარული და ესქატოლოგიური მითებისთვის. აღნიშნული მითოლოგემის ასპექტში ნესტანის ქაჯეთში ყოფნა (დაკარგვა) სემანტიკურად ქვესკნელში ჩასვლა//სიკვდილია, რადგან ქაჯეთის ციხის ფარული მითოსური არსი ხთონური სამყარო ანუ ქვესკნელის, სიკვდილის სამეფოა. ნესტანის როსანზე დაწინდვა კი ნაყოფიერების ქალღვთაების ქვესკნელის მეუფესთან ნაძალადევი ქორწინებაა. ტარიელის ტირილი ნესტანის გამო მისტერიული, რიტუალური ტირილია, ნაყოფიერების ქალღვთაების „წასვლა-სიკვდილის“ საკულტო გლოვაა.

ტარიელის ველად გაჭრა და მხეცებთან ბრძოლაც მითოსურ ასპექტში სიკვდილისა და მასთან ბრძოლის მეტაფორაა. ქაჯეთის ციხის დამხობა – სიკვდილის დამარცხებაა, აღდგომააა, მზის გათავისუფლებაა ხთონური სამეფოს ტყვეობიდან. ნესტანისა და ტარიელის ქორწილი კი ღვთაებათა საგაზაფხულო-საკრალური ქორწინებაა – ნაყოფიერების მითოსური და ფოლკლორული სიმბოლო. ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ინვარიანტის მ. კარბელაშვილის მიერ შემოთავაზებული გაშიფრვა, რაც მას ამგვარი დასკვნის

საფუძველსაც აძლევს: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური კომპოზიციის საფუძველია მოკვდავ და აღმდგარ მცენარეულობის ღვთაებათა ციკლის კალენდარული მითოსი თავისი უნივერსალური მოდელით: „დაკარგვა-ძებნა-პოვნა“. თუმცა, პოემის ჭეშმარიტი შინაარსი სხვა პლანშია გადაწყვეტილი, XII საუკუნის საქართველოს მასულდგმულებელ იდეათა და ინტერესთა შესაბამისად. ოღონდ, ერთი დაზუსტებაა აუცილებელი: ამას მ. კარბელაშვილი ტარიელნესტანის სიუჟეტურ ხაზთან აკავშირებს, როგორც მთავართან. ავთანდილი კი ტარიელის სუბსტიტუტად არის მიჩნეული.

საკითხის ამ მხარეს მიაქცია ყურადღება მკვლევარმა ხ. ზარიძემ და აღნიშნა, რომ პოემის ამბავთა გათიშვის ტენდენცია ვერც მ. კარბელაშვილის გამოკვლევაშია დაძლეული *[ზარიძე, 2000: 77-99]*. არადა, ამბავთა სიმრავლე (პარალელიზმი) არც არქაულმა მითოლოგიამ და ფოლკლორმა, არც ძველმა და შუასაუკუნეთა ლიტერატურამ (აღორძინების ხანის ჩათვლით) არ იცის. იცის მხოლოდ ერთი, ყველა ჟანრისთვის საერთო სიუჟეტური არქეტიპი, რომელიც სამწევრიანია: საწყისი წესრიგი, წონასწორობა, ჰარმონია; წონასწორობის დარღვევა; წონასწორობის, ჰარმონიის აღდგენა.

ეს სქემა არსებითად იგივეა, რაც „დაკარგვა-ძებნა-პოვნა“ და რაკიღა „ვეფხისტყაოსნის“ „სიუჟეტის უღრმესი შრეები მას ემყარება, ეპოსის ბუნების კვალობაზე, მთელ პოემაზე უნდა ვრცელდებოდეს. შესაბამისად, არ უნდა არსებობდეს ორი გმირი და ორი ამბავი. ხ. ზარიძის აზრით, პოემას ერთი კომპოზიცია აქვს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ავთანდილი ტარიელს ვერ გაუთანასწორდება. ასევე მოხდება მაშინაც, თუ ავთანდილს მხოლოდ სუბსტიტუტის როლს დავაკისრებთ და იმავეს ვერ შევნიშნავთ ტარიელის მოქმედებაშიც მეგობრისთვის. „ვეფხისტყაოსანს“ ერთიანი კომპოზიციური სქემა აქვს, ხოლო კომპოზიციური ერთეულები ერთმანეთს ორი პრინციპით უკავშირდება: ერთ შემთხვევაში კომპოზიციური

ერთეული „დახშულია“, შინაგანად გასრულებული და ჩაკეტილი, მეორე შემთხვევაში ღიაა, „განვითარებას ელოდება“, ასევეა პოემაში ჩართული ავთანდილის ამბავი. ავთანდილი ტარიელის სუბსტიტუტია მანამ, სანამ ნესტანის კვალს მიაგნებს და ამბავს ტარიელამდე მიიტანს. შემდეგ წინა პლანზე ავთანდილია, სიუჟეტის განვითარებას ახლა ის მიუძღვის. ამას კომპოზიციური აუცილებლობაც მოითხოვდა. ფრიდონთან გამართული ქორწილიდან მოყოლებული კი უკვე ტარიელია ავთანდილის სუბსტიტუტი.

საყურადღებოა ერთი დეტალიც: ხ. ზარიძე აღნიშნავს, რომ ტარიელის არაბეთში დაბრუნება კომპოზიციურადაც არის საყურადღებო. ამით პოემაში დასაწყისისა და დასასრულის სიმეტრიულობა (ანუ ეპოსის წესი) იკვეთება: რითაც იწყება ნაწარმოები, იმით უნდა დასრულდეს. ტარიელის დაბრუნება არაბეთში ყველაფერს განასრულებს, იმასაც, რამაც როსტევანს თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით მოწყობილ ზეიმზე ჭმუნვა და დაღრეჯილობა მოჰგვარა. თინათინს ახლა ავთანდილი უმშვენებს გვერდს. სტრუქტურულად განსაზღვრულია შედეგიც: მეფემ დალოცა თინათინ-ავთანდილი და ტახტიც რეალურად ახლა დაუთმო. თინათინ–ავთანდილის ქორწილით ეპიკური სტრუქტურა შეიკრა.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ ამბის წარმოშობის კვლევას XX საუკუნის მეორე ნახევარში მთელი სერიოზულობით მიუბრუნდა ქართული ფოლკლორისტიკაც. „ვეფხისტყაოსნის“ წყაროს ძიებამ პოემის უღრმეს შრეებში გადაინაცვლა მისი პრაფორმის გამოსავლენად.

„ვეფხისტყაოსნის“ ამბის სპეციფიკურად ფოლკლორისტული გააზრების საინტერესო ცდა ეკუთვნის პროფ. ზურაბ კიკნაძეს *[კიკნაძე, 2001: 125]*.

პროფ. ზურაბ კიკნაძე „ვეფხისტყაოსანში“ ძველი ფინიკიური მითოსის „გაშლას“ ხედავს. ესაა მითოსი მამა ღმერთსა და მის ძეზე,

მელკართზე, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: შვილი მამაში გადაიზრდება და მამა შვილში გარდაიცვლება (გადავა, გადაინაცვლებს). მეცნიერი თვლის, რომ პოემაში მოთხრობილი ამბავი ამ მითოსის ახალი, გაშლილი ვარიანტია.

ზურაბ კიკნაძის აზრით, უმთავრესი, რაც ფინიკიური მითოსისეულია „ვეფხისტყაოსანში“, ესაა დასაბამიერი სიბრძნის (მამათა სიბრძნის) შვილზე გადასვლის (ძისთვის გადაცემის) მოტივი, ხოლო ამ სიბრძნის გადამცემის ფუნქცია ავთანდილს აკისრია (სწორედ ამიტომ ჰქვია მის ნაშრომს „ავთანდილის ანდერძი“). ესაა სიბრძნის გადაცემის მისტერიულ აქტზე მინიშნება. ზ. კიკნაძის გადმოცემით, ფინიკიური მითოსი გვაუწყებს: მამა – „მეუფე წელიწადთა“ – ტახტზე ზის. ძე გარეთ არის გასული (მიზეზი შეიძლება განდევნაც იყოს). იგი წუთისოფლის ბრუნვის ტყვეობაშია, იზრდება, წლები ემატება. როდესაც წელიწადი გასრულდება („ბოლოს შეიკრავს“), ძე მამისა (მელკართი) ამ დროისათვის უკვე დაცარიელებული ტახტის დასაკავებლად ბრუნდება. მამამ სრულად გასცა წლები, დასაბამიერი სიბრძნე, თავისი თავი ამოიწურა. „მეუფე წელიწადთა“ ახლა ძე (მელკართი) გახდა. იბადება სხვა მელკართიც. იგი, წუთისოფლის წესისამებრ, ტოვებს ქალაქს და ყველაფერი თავიდან იწყება. თუ ძე აღარ დაბრუნდება, დროთა კავშირი დაირღვევა და ქვეყანა ქაოსში ჩაინთქმება. ზ. კიკნაძის მიხედვით, ეს მითი „ვეფხისტყაოსანში“ ასეა გაშლილი: „დროთა კავშირის ურღვევობა“ არაბეთში სუფევს, იგია „წესრიგიანი“ ქვეყანა. სამეფო კარზე გამართული ზეიმი მეფობის გადაცემის მისტერიაა. როსტევანი თინათინს გვირგვინთან ერთად „დასაბამიერ სიბრძნესაც“ გადასცემს. თინათინიც მზად არის ამ სიბრძნის მისაღებად და განსახორციელებლად, გავიხსენოთ: „ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა“. ეს სიბრძნე საიდუმლო ცოდნაა და

გადაცემის უშუალო აქტში ცხადდება. გადაცემის აქტი კი ,,ანდრეზული ქცევაა".

მართალია, ახალი მეფე მემკვიდრეობით შექმნილ სამეფოს იღებს, მაგრამ მან ხელახლა უნდა შექმნას ქვეყანა. ამიტომ, მეფობის გადაცემის აქტში, ზურაბ კიკნაძის თქმით, ,,დემიურგული სიმბოლიზმია".

ინდოეთში კი ასეთი წესრიგიანობა არ სუფევს, ამიტომ არის ეს ქვეყანა დანგრეული. ფარსადანს ტახტის გადაცემის ,,ანდრეზული ვალი არ აღუსრულებია" – მამათაგან გადმოცემული დასაბამიერი სიბრძნეც არ გაუცია. ფარსადანი ,,ზის ტახტზე, როგორც დახავსებული ანაქრონული ,,მეუფე წელიწადთა", ხოლო მემკვიდრე დაკარგულია. იგი ამოვარდნილია თაობათა ჯაჭვიდან, ,,მხეცად ქმნილია" და ამის მიზეზი ინდოეთის კარზე მიღებული ,,მართალი სამართლის" მანკიერი პოლიტიკაა. ეს მემკვიდრეა ტარიელი. იგი ყველას და ყველაფერს არის მოწყვეტილი (ნესტანს, ტახტს, სამშობლოს) და ,,ისტორიის მიღმა, უანდრეზო ხანაშია" გადასროლილი. ტარიელს ხსნა ესაჭიროება, როგორც ტახტდაკარგულ (ორჯერ) მემკვიდრეს (ძეს მამისას). მხსნელი (ავთანდილი) სხვა სამყაროდან მოდის და მოაქვს სიბრძნე (,,იგავებად დაწნეხილი მამათა ანდერძი"), რომელიც არაბეთის კარზე არსებობდა და მის ისტორიას წარმართავდა. ამ სიბრძნეს ავთანდილი სიჭაბუკეშივე დაეუფლა, რადგან ადრე დაუდგა, ,,ანდრეზული სიბრძნის" გაცნობიერების ჟამი. ამ სიბრძნის გაცემის მისიაც დაეკისრა და ამ ანდრეზული სიბრძნით როსტევანსაც კი გადაასწრო და მამათა რიგში დადგა, რადგან მისმა ჟამმა მოაწია. ამ სიბრძნემ დაიხსნა ნესტანი, ტახტზე აიყვანა ტარიელი და აღადგინა მისი მეუფება წელიწადთა, წესი კვლავ წესად დაამკვიდრა და ინდოეთის ახალ შენებას დაუდო სათავე".

როგორც ვხედავთ, ვახტანგ მეექვსიდან მოყოლებული ვითარდება და მდიდრდება რუსთველოლოგია. მეცნიერთა ახალი და ახალი თაობები სწავლობენ, აანალიზებენ, თავისებურად კითხულობენ რუსთაველის უკვდავ პოემას. ამ გენიალური ქმნილების მითოლოგიური კრიტიკის თვალით წაკითხვის უაღრესად საინტერესო ცდაა ზ. კიკნაძის, მ. კარბელაშვილისა და ხ. ზარიძის ზემოთ განხილული ნაშრომებიც.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ზარიძე, 2000: – ზარიძე ხვთისო, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია“, – კრ.: „შოთა რუსთაველი“, №1, თბილისი.

კარბელაშვილი, 1980: – კარბელაშვილი მარიამ, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ინვარიანტის საკითხისათვის“, ჟურ. საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. 99, №3, სექტემბერი, თბილისი.

კიკნაძე, 2001: – კიკნაძე ზურაბ, „ავთანდილის ანდერძი“, თბილისი.

ნუცუბიძე, 1980: – ნუცუბიძე შალვა, შოთა რუსთაველის შემოქმედება, შრომები, ტ. VII, თბილისი.

რუსთაველი, 1986: – რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი.

ფრაი, 1987: – Фрай Н., „Анатомия критики“, Москва.

Shorena Makhachadze
Doctor of Philology, Professor

"The Knight in the Panther's Skin" Through the Eyes of Mythocritics

Summary

Since the second half of the twentieth century studying of "The Knight in the Panther's Skin" has been begun using the methods of mythological criticism. Z. Kiknadze, M.Karbelashvili, Kh. Zaridze consider that the most practical way to find the subject matter is not to search for a concrete theme,, but to study its folkloric roots.

In M. Karbelashvili's opinion the basis of the theme of Rustaveli's work must be an invariant of a fairy-tale. This invariant – "Praform"- includes abduction of the king's daughter by the snake and the hero struggles to save her. In the basis of "The Knight in the Panther's Skin", as well as in fairy-tales, there is ciphered a mythologema of the following structure: "losing – searching – finding".

In "The Knight of the Panther's Skin" Zurab Kiknadze sees "spreading" of an old Phoenician myth. It is a myth about the father God and his son – Melkarth, the content of which is the following: the son will grow into his father and father will move into his son. The story in the poem is a new and spread variant of this myth.

So, old folkloric motives or brainwork material, ciphered in "The Knight in the Panther's Skin", turned out to be so tangible that, even on the level of collective artistic thinking and intuition, people did not find it difficult to decipher them.

არჩილ ხალვაშის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“
ახალი რუსული თარგმანის პრეზენტაცია
(2016 წლის 17 თებერვალი)



„ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა

სტუდენტთა ნახატების გამოფენა

შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია